სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 12 აგვისტო 2000 №154 (1176) | ფასი 50 თეთრი

ზამერმა არჩილ არველაძეს ვარაუდი გაუმართლა

ბუნდესლიგა დორტმუნდმა დაიწყო

არჩილ არველაძე მეუღლითურთ

ევროპის ჩემპიონატზე შერცხვენილმა გერმანიამ ანუ კონტინენტზე ერთ-ერთმა უძლიერესი ბუნდესლიგამ გუშინ ჩემპიონატი დაიწყო.

დღეს ლევან კობიაშვილის, ალექსანდრე იაშვილის და ლევან ცქიტიშვილის „ფრაიბურგი" „შტუტგარტს" ძასინძლობს, ხვალ კი ბუნდესლიგაში წლეულს აღზევებული არჩილ არველაძის „კიოლნი" გელზენკირხენში „შალკეს" ესტუმრება.

ფრაიბურგელი ქართველები ბუნდესლიგაში უკვე ნაცადნი არიან და სპეციალისტთა მოწონებაც ხშირად დაუმსახურებიათ, არჩილს კი წლეულს გერმანიაში დებიუტი ექნება. მან ჩვენი გერმანელი კოლეგების ყურადღება უკვე მიიპყრო. ამხანაგური მატჩი არ იქნებოდა, ჩვენებურს მინდორი უგოლოდ დაეტოვებინა. ის გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც აღიარეს მიუხედავად იმისა, რომ არველაძემ სულ ერთი თვეა, გუნდთან ერთად ვარჯიში დაიწყო.

— ყველაფერი კარგად მიდიოდა, სასურველ ფორმაშიც ვიყავი — გვითხრა არჩილმა წუხელ, კიოლნში რომ შევეხმიანეთ — მაგრამ ერთი კვირის წინ ვარჯიშზე დავშავდი, არც ვიცი, რას დავაბრალო — მუხლი შემიშუპდა. საფენებითა და სხივებით ვიმკურნალე რამდენიმე დღე. ვარჯიში კი დღეს განვაახლე, გუნდთან ერთად ვიყავი და დატვირთვა არ დამიკლია. 17 აგვისტოს ირანთან საქართველოს ნაკრებში ალბათ ვერ ვითამაშებ, ამ დღეებში რევაზ ძოძუაშვილს და დავით ყიფიანს დავურეკავ და თუ გამათავისუფლებენ,

REUTERS დორტმუნდიდან

გუშინ „ჰანზას" „დორტმუნდმა" ჰაიკო ჰერლიხის ერთადერთი გოლით მოუგო

ხომ კარგი, არადა, სხვა რა გზაა, ნაკრებს ირანში შევუერთდები.

— „შალკესთან" პირველ მატჩს გამოტოვებ?

— არ ვიცი. ისე, გუნდის მწვრთნელ ევალდ ლინენს გუშინ ვესაუბრე და მითხრა, კვირას გათამაშებო. ვნახოთ, თუ არ გადაიფიქრა...

— წლეულს მიზნად რა გაქვთ? ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება?

— ახლა მიჭირს ამის თქმა. გააჩნია დასაწყისს. თუ ქულები დავაგროვეთ, ეგებ მერე ევროტურნირებზე სათამაშოდაც ვიბრძოლოთ. ვფიქრობ, ნორმალურად მოვემზადეთ. ყოველ შემთხვევაში, ამხანაგურ მატჩებში გუნდმა ქომაგებზე და ჟურნალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მწვრთნელიც კმაყოფილია, დაგეგმილი შეასრულეთო, ამბობს. გუნდიც კარგი ბიჭებით არის დაკომპლექტებული, ყველასთან ვმეგობრობ.

— ფრაიბურგელებს ხშირად ნახულობ?

— წარმოიდგინე, რაც გერმანიაში ვარ, ჩვენები ჯერ არ მინახავს. ფრაიბურგი კიოლნიდან შორს არის და ერთმანეთთან შესახვედრად დრო არ გვაქვს. ტელეფონით კი ხშირად ვსაუბრობთ.

— ბუნდესლიგის ფავორიტებად ვის თვლი?

REUTERS დორტმუნდიდან

მათიას ზამერმა ბუნდესლიგა გამარჯვებით დაიწყო

— წლეულსაც, ალბათ, „ბაიერნი", „ლევერკუზენი" და „ჰამბურგი" იქნებიან სხვებზე ძლიერნი. გამორიცხული არ არის, საჩემპიონო-საპრიზო დავაში დორტმუნდის „ბორუსიაც" ჩაერიოს, მათიას ზამერმა კარგი გუნდი გააკეთა.

ძოგბა ინასარიძე

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

გადათელავენ სისხლისფერ ბედაურს?



REUTERS ბუდაპეშტიდან

მიხაელ შუმახერს მიკა ჰაკინენის „მაკლარენი" სახიფათოდ მიუახლოვდა

14 წლის „ჰუნგაროორინგს" ასეთი პატივი დღემდე არ რგებია. უნგრეთის დიდი პრიზის გათამაშება, როგორც წესი, ერთი რიგითი რბოლა იყო, ბუდაპეშტში მარცხი არსებითად ვერ ცვლიდა საერთო ჩათვლაში საგრძნობლად დაწინაურებულთა სატურნირო მდგომარეობას.

ამჯერად ვითარება შეიცვალა: მიხაელ შუმახერის ორ ქულამდე დაიცრობილი უპირატესობა ჩემპიონატის ხელმეორედ დაწყების ტოლფასია და პირველობისთვის უმძაფრეს ბრძოლას გვიმზადებს. შუმი ან შეინარჩუნებს კონკურენტებთან სხვაობას (უკეთეს შემთხვევაში კი უფრო გაზრდის კიდეც) ან ლიდერს ნელ-ნელა წამოპარული „მაკლარენები" ისე გადათელავენ სისხლისფერ ბედაურს, რომ შეიძლება ერთბაშად მესამე ადგილზეც გადააგდონ. თუ ეს ვარაუდი გამართლდა, შუმახერი ექვსი თვის ნაჯაფს ქარს გაატანს და არა გვგონია, მისი დაბრუნება და ყველაფრის თავიდან დაწყება შეძლოს.

ერთი სიტყვით, იქნებ სწორედ ვიწრო, მტვრიან, ოღონდაც უხიფათო „ჰუნგაროორინგის" ტრიუმფატორი გახდეს წლევანდელი სეზონის ჩემპიონი. პირველი ადგილისთვის ბრძოლა ბუდაპეშტში არ დაწყებულა და არც იქვე დასრულდება, მაგრამ ხვალინდელი რბოლა გამორჩეული რომ იქნება, ცხადია.

გულშემატკივარსაც ხომ ამგვარი ინტრიგა იზიდავს — მოულოდნელი, სენსაციური სიუჟეტით გამძაფრებული, ჩემპიონის ვინაობას მხოლოდ ბოლო ეტაპზე რომ გაგვიმხელს.

იხილეთ მეცხრე გვერდი

შელახული ღირსება

ჯკვიან კაცს უთქვამს, ჯერ გადახტი და ჰოპ მერე დაიძახეო. ბევრს და მათ შორის მეც გუშინწინდლამდე ეგონა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, „ვიტ ჯორჯია“ მართალ გზას ადგა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა აღმა. 10 აგვისტოს თბილისში ნასტუმრებმა „ბეითარმა“ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ყველამ ვნახეთ, რომ ის გზა, რომელსაც ვეტერინარები მიუყვებიან, მცდარია, ჯერჯერობით წყალში ჩაიყარა ნაშრომი, დახარჯული ფული ქარმა წაიღო.

ყველა მარცხს აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი. შემთხვევით ამქვეყნად არაფერი ხდება. ვეცადოთ, იქნებ ყველაფრის თავიდათავი როგორმე ვიპოვოთ, რაც სამომავლო საქმეს წაადგება.

„ვიტ ჯორჯიას“ თავკაცმა სერგო კოტრიკაძემ „ბეითართან“ წაგების ერთ-ერთ მიზეზად გამოუცდელობა დაასახელა. რა თქმა უნდა, არც უამისობა იყო. რამდენიმე მოთამაშემ ასეთი რანგის მატჩში პირველად მიიღო მონაწილეობა, მაგრამ გუნდის ძირითად ბირთვზე ამას ვერაფრით იტყვი.

ედიკ საჯაია, გიორგი ჭანკოტაძე, თენგიზ კობიაშვილი, ჯაბა მუჯირი, ლაშა ნოზაძე, დავით დიღმელაშვილი, გიორგი ყიფიანი. ლამის მთელი გუნდი გამოვიდა. ამათზე, გამოუცდელები არიანო, თქვა, იგივეა, თეთრს შავი უწოდო. თითოეული მათგანის ზურგზე თვრამეტწლამდელთა და ახალგაზრდული ნაკრებების არაერთი რთული მატჩის სიმძიმეს გადაუვლია. მაინც შებოჭილები იყვნენ.

კოტრიკაძემ ისიც გვითხრა, წაგება დაცვისა და მეკარის სუსტმა თამაშმა განაპირობაო. დიდი კრძალვით და ბოდიშის მოხდით ვეცდები, არ დავეთანხმო მწვრთნელის მოსაზრებას. მირზა მერლანისგან სასწაულს არ ველოდით. ბიჭი პირველად ჩადგა კარში და პირდაპირ საპასუხისმგებლო მატჩში მოუწია თამაშმა. საქართველოში არ მეგულება მეკარე, რომელიც გუშინწინ ვეტერინართა კარში გატანილ გოლებს წინ აღუდგებოდა. ჯერ გამოვიდოდა კარიდან და არც უნდა გამოსულიყო, როცა მიზრახმა და განონმა თავით დაარტყეს. მერლანმა ორიოდ მომენტში შეძლო, თანაგუნდელები განსაცდელისგან ეხსნა. მეტის გაკეთებას ვერ მოახერხებდა, რადგან ეს მის შესაძლებლობებს ჯერჯერობით აღემატება. მწვრთნელებს მეტი საშველი მაინც არ ჰქონდათ. გუნდის ძირითადი გოლკიპერი სერგო ჭურაძე ფეხს იტკივებდა.

დაცვამ მართლაც ვერ ითამაშა ისე, როგორც მოველოდით. საჯაიას ტრავმამ ბევრი რამ არია. მწვრთნელებმა დანაკლისის ანაზღაურება სამკაციანი უკანა ხაზითა და საჭიროებისას მარჯვენა ფრთაზე უკანდაწეული ნოზაძით სცადეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მცდარი ნაბიჯი იყო. ტელასნიკოვი, ჰალფონი, განონი, როსო, მიზრახი და სივილია შეტევას მაქსიმალურად ფართოდ ავითარებდნენ. ვეტერინართა დაცვაც იწელებოდა და ნაპრალებიც ხშირად ჩნდებოდა.

არადა, თავისი საიმედოობითა და აგრესიულობით „ვიტ ჯორჯიას“ უკანა ხაზი აქამდე გამორჩეული (რა თქმა უნდა, ეროვნულ ჩემპიონატში) იყო.

დაცვას რომ ასე გაუჭირდა, ეს მაინც ნახევარდაცვის სისუსტეზე მიგვანიშნებს. ხუთკაციანმა შუა ხაზმა, ყველაფერში წამით რომ აგვიანებდა, დავალებას თავი ვერ გაართვა. მინდვრის შუაგულში ყიფიანის, დიღმელაშვილის, ნოზაძისა და დეკანოსიძის თავმოყრა შეცდომა იყო. დეკანოსიძე, ეს მართლაც ნიჭიერი და საზრიანი ახალგაზრდა მოთამაშე, დანარჩენებში ჩაიკარგა. გიორგიმ თავისი ადგილი ვერსად იპოვა და გაცილებით ადრე იყო შესაცვლელი.

„ბეითარის“ ნახევარმცველები ბურთს თავისუფლად იღებდნენ და სრულიად უპრობლემოდ აწვდიდნენ თავისუფალ პოზიციაში მყოფ პარტნიორს. იქნებოდა შთაბეჭდილება, რომ მეტოქე რიცხვრავალი თამაშობდა. საფიქრალი იყო ჩვენი შუახაზელების დაბალი სისწრაფეც. მაშინ, როცა მეტოქე სიჩქარეს აკრეფდა, ჩვენებურთა დაცვასა და ნახევარდაცვას შორის დიდი სივრცე რჩებოდა.

ჯერი თავდასხმაზე მიდგა. მათ, კერძოდ, მელქაძემ, კარში სულ ერთხელ დაარტყეს, ისიც სტანდარტული მდგომარეობიდან. დანარჩენ შემთხვევებში ბურთი ფეხებში ებლანდებოდათ და თავიანთ ჩანაფიქრებში იხლართებოდნენ.

გიორგი ჭანკოტაძისა და მეკარე მირზა მერლანს ებრაელმა კობი განონმა (მარცხნივ) დაასწრო

ძირითადი შეცდომა მაინც გერმანული შეკრებისასაა დაშვებული. „ვიტ ჯორჯიამ“ ორ კვირაში რვა საკონტროლო მატჩი ჩაატარა, რვიდან ოთხი კი მიყოლებით ბოლო ოთხ დღეში. გუნდი ძალებისგან დაიცალა და მისი აღდგენა ერთ კვირაში ვერ მოხერხდა. ამიტომ იყო, „ვიტ ჯორჯიას“ სიმსუბუქე რომ აკლდა.

ვერავინ იტყვის, ჩვენებურებმა არ იბრძოლესო. პირიქით, მეტოქეს თავდაუზოგავად ეომნენ, მაგრამ თავი იჩინა გუნდის ტაქტიკურმა გაუმართაობამ. „ვიტ ჯორჯიამ“ თამაში ისე დაიწყო და დაამთავრა, სათამაშო სქემაში არაფერი შეუცვლია.

ვეტერინარები წინ იწევდნენ მაშინაც კი, როცა თამაშის ბედი უკვე გადწყვეტილი იყო, თუმცა მათი შეტევები არანაირ ლოგიკას არ ემორჩილებოდა.

საუკეთესო პირობები, არანაირი პრობლემა, უცხოური შეკრებები და კომფორტული გარემო. კიდევ რა არის ფეხბურთის სათამაშოდ საჭირო? ზოგადად ვთქვათ, სავალდებულოა გუნდის სწორად მომზადება, სწორი ტაქტიკა, სწორი აზროვნება. ეს მოკლედ ასე გამოითქმის — ფეხბურთელს სწორად თამაში უნდა შეეძლოს. გუშინწინ გამოჩნდა, რომ ვეტერინარებს ეს ჯერ ვერ აუთვისებიათ.

დუელი მაშინ წავაგეთ, როცა მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის ავანჩავანის გაგება-შესწავლა დაასრულეს. აღმოჩნდა, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ თითქმის ვერაფერი გაიგო მეტოქეზე. უფრო მართლები ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ „ბეითარზე“ გაგებული ჭორ-მართალი „ვიტ ჯორჯიამ“ ვერაფერში გამოიყენა.

სამაგიეროდ, ელი გუტმანმა სანიმუშოდ წარმართა საინფორმაციო ბრძოლა. მისი თანაშემწე გერმანიაში ვეტერინართა ყველა თამაშს დაესწრო. ერთხელ თავად გუტმანმა იხილა საქმეში ჩვენებურები.

„ბეითარის“ სტრატეგებმა ზუსტად გათვალეს ჩვენებურთა ყველა ჩანაფიქრი. სამი მცველი, ხუთი ნახევარმცველი და ორი თავდამსხმელი. თავისი გუნდის ტაქტიკაც ამაზე ააგეს.

„მეტოქის დაცვის ცენტრში ჭანკოტაძე და კობიაშვილი ერთმანეთს საზრიანად აზღვევენ, მაგრამ დიდი სისწრაფით ვერც ერთი გამოირჩევა და ვერც საჰაერო ბრძოლებში დაჯაბნიან მიზრახსა და განონს.

ნახევარდაცვა ტექნიკური, მებრძოლი, მაგრამ ნაკლებად მოძრავია. ამათი გაუვნებლება ადვილი საქმეა.

თავდასხმაში ერთი სწრაფია, მაგრამ ბურთის ფლობის დიდი კულტურით არ გამოირჩევა, მეორე საჰაერო ბრძოლებში კია ძლიერი, მაგრამ ფეხზე მყარად ვერ დგას“.

ელი გუტმანმა და ფელიქს ნაიმმა ჩვენებურთა ყველა დადებით-უარყოფითი მხარე ხელისგულზე გადაიშალეს. მათი ნაფიქრალ-ნაშრომი სწორი გამოდგა. თამაში მოწინააღმდეგის თავკაცებმა მოიგეს და არა „ბეითარის“ ფეხბურთელებმა. „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცებმა კი მეტოქე კოლეგებთან ვერაფერი გააწყვეს.

„საჯაია ტრავმირებულია“. არ ვიცი, საიდან გაიგო ნაიმმა ვეტერინარის გასაჭირი, მაგრამ „ცხუმთან“ ბოლო საკონტროლო მატჩის შემდეგ თავის ჩანაწერებს ასეთი რამ მიუმატა, საჯაია სასტარტოში არ იქნება, მის ადგილს ერთ-ერთი ნახევარმცველი შეავსებს და ეს უნდა გამოვიყენოთო.

ყველაფერი საბოლოოდ თამაშის შემდეგ გაამხილეს „ბეითარის“ მწვრთნელებმა. ისინი გამარჯვებას მაინცდამაინც არ გაუხარებია, იმიტომ, რომ თავიანთი გუნდის თამაშში არაერთი ხარვეზი აღმოაჩინეს.

რითი სჯობს „ბეითარი“ „ვიტ ჯორჯიას“?! ვითომ საქმე მარტო ფულშია? რატომღაც არა მგონია, თუმც წარმატების ერთ-ერთი უპირველესი საწინდარია. ფული და პირობები არც „ვიტ ჯორჯიას“ აკლია (რა თქმა უნდა, ჩვენი ყოფის კვალობაზე).

„ბეითარი“, ფაქტობრივად, ერთი თვის წინ შეკოწიწებული გუნდია. ჰყავს შეძლებული მეპატრონე, რომელმაც თავისი ჭკუით და სხვების დაუკითხავად მხოლოდ ერთი რამ გააკეთა — გუნდი ჩაბარა ისრაელში საუკეთესო სპეციალისტს და ყველაფერი მას მიანდო. მერე მოხსნა ყულაბას თავი და მწვრთნელის მითითებებს დაელოდა. ელი გუტმანმა გად ზევეის გვარიანი ფული ხარჯა. შეიძინა ის მოთამაშეები, რომლებიც მწვრთნელის ნაფიქრს მინდორზე რეალობად აქცევენ. „ბეითარში“ ყველამ ზუსტად იცის თავისი მოვალეობა და მასზე აგებს პასუხს, სხვის საქმეში არ ჩაერევა. ამითი გვჯობნიან უცხოელი კლუბები. გუნდში მწვრთნელით იწყება ყველაფერი და წარუმატებლობის შემთხვევაში მასზევე ტყდება ჯოხი.

ვნახეთ თუ არა გუშინწინ მორიგი სირცხვილი? ვისთვის როგორ. ჩემი აზრით, ეს არ იყო ტრაგედია. „ვიტ ჯორჯია“ იბრძოდა. მართალია, დაპირისპირებაში განწირული ჩანდა, მაგრამ მაინც ცდილობდა, ნამუსი ჩამოეწმინდა. მინდორზე წამოწოლილი არავინ გვინახავს და იქნებ ოდესმე...

„ბეითარი“ შემდეგ ეტაპზე გავიდა. მართალი იყო ის, ვინც თქვა, გამარჯვებულის ბედი პირველივე მატჩში გირკვევაო. შეცდომები თვალნათლივია და არც უსაშველო. მართალია, ღირსება შეილახა, ჩრდილიც მოადგა, მაგრამ გამოუსწორებელი არაფერია. ჭკვიანი შეცდომებზე სწავლობს და მეორედ აღარ გაიმეორებს. მთავარი კი ის მიზანია, რისთვისაც „ვიტ ჯორჯია“ არსებობს. ცოტა ხანში წყლული მოშუშდება, გუშინწინდელი მარცხიც დაავიწყდება ბევრს, იმედი კი იცოცხლებს, ოღონდ მას გასაქანი და დაკვალიანება უნდა. ალბათ, ახალგაზრდული „ვიტ ჯორჯია“ ამას მოახერხებს.

მამუკა ძვანტალიანი

ალონ მიზრახის ამ თავფურს „ვიტ ჯორჯიას“ კარში პირველი გოლი მოჰყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი და ფული

ერთი რამაა საინტერესო — ნუთუ ქართული კლუბების ხელმძღვანელები არ დაფიქრებულან, ევროტურნირებში მონაწილეობით მარტო თავს კი არა, მთელ ქვეყანას რომ არცხვენენ?

არ დაფიქრებულან იმაზე, ქართულ კლუბებს მასხრად რომ იგდებენ?

ადექი, ვიდრე ევროპაში ითამაშებ, შეამოწმე შენი შესაძლებლობები, რისი თავი გაქვს და ბოლო-ბოლო უარი თქვი ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობაზე. დაგიჭერს ვინმე, თამაშს აგიკრძალავს თუ რა... მწვრთნელი რომ გქვია და მოჭარბებული ამბიცია გაქვს, შენი გუნდის პოტენციისაც უნდა იცოდე და ხელმძღვანელებს უთხრა, „ბეითარი", „ცრვენა ზვეზდა", „ცემენტარნიცა", პაოკი და აეკი რომ შეგვხვდეს, თავი მოგვეჭრება, ჯობს, უკეთ მოვემზადოთ და ევროპაზე სამომავლოდ ვიფიქროთო. ეგებ მწვრთნელს კლუბის პრეზიდენტისთვის ასეთი რამ ათასში ერთხელ უთქვამს კიდეც, მაგრამ ჩანს, ხელმძღვანელი არ დათანხმებია. ან კიდევ რატომ დაეთანხმება, როცა იცის, რომ თამაშის გარდა არაფერს წააგებს. წააგებს კი არა, მოგებულიც დარჩება.

უეფას სალარო არ დაიცალოს და ზოგიერთი იმასაც ნატრობს, ევროტურნირების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე დალხენილი ქვეყნის შედარებით ძლიერი კლუბი შეგვახვედრო. ისე, კლუბთა პრეზიდენტებს რა უნდა მოსთხოვო, როცა თავად ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნები იმას ნატრობდნენ, საქართველოს ნაკრების ჯგუფში გერმანია-იტალია მოხვდნენო და გული შეუწუხდათ, როცა ახლახან გასრულებულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეობა ნორვეგიას, სლოვენიასა და დანარჩენებს ერგოთ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, მათთვის კარგ შედეგზე მთავარი სხვა რამ იყო.

ნეტავ, რა..? ფულის საშოვნელად შრომობს ყველა, რა თქმა უნდა, მაგრამ... საკუთარი ავტორიტეტი თუ არად გიღირს, ქვეყნისას და სხვისას მაინც ხომ უნდა გაუფრთხილდე!

შარშანდელ ევროტურნირებში ოთხი ქართული გუნდი მონაწილეობდა. დავიწყოთ ჩემპიონ „დინამოთი". მას ქვეყანაში გაჩემპიონებისთვის უეფასგან 150 ათასი შვეიცარიული ფრანკი ერგო და 80 ათასიც საკლუბო ტურნირში მონაწილეობისთვის. შედეგი — დასაწყისშივე „ზიმბრუსთან" წაგება. ქუთაისის „ტორპედომ" უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშისთვის უეფასგან 80 ათასი ფრანკი მიიღო, ამდენივე მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის. შედეგი — აიკთან განადგურება. თბილისის „ლოკომოტივმაც" „ტორპედოსავით" 160 ათასი შვეიცარიული ფრანკი მიიღო, „ლინფილდი" დაამარცხა და... შედეგი — პაოკთან საშინელი წაგება. ფოთის „კოლხეთი" ინტერტოტოს გათამაშების პირველივე ეტაპზე შერცხვა „ცემენტარნიცასთან". შედეგი — უეფასგან 50 ათასი ფრანკი.

წლეულს გაჩემპიონებისთვის „ტორპედოს" გაისად, მაისს-ივნისში 150 ათასს გადაურიცხავენ, 80 ათასს კი „ცრვენა ზვეზდას" მეტოქეობისთვის. „დინამო" ინტერტოტოზე თამაშისთვის 50 ათასს აიღებს. „ვიტ ჯორჯია" 80 ათასს, ვეტერინარებმა, აბა, რა უნდა მოხდეს, „ბეითარი" დაამარცხონ. „ლოკომოტივიც", თუ „სლოვანთან" წააგებს — ამდენივეს. აქვე იმასაც შეგახსენებთ, ერთი შვეიცარიული ფრანკი 58 ცენტია.

რა გამოდის? ის, რომ უეფასგან სამადლოდ მიღებული ამ ფულით კლუბები თამაშებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ინაზღაურებენ, თავის ჩარტერული რეისით და სასტუმროში დაბინავებით ანუ დაზარალებულნი არ რჩებიან.

ახლა ის ვთქვათ, ქართულ გუნდს შეძლებული ქვეყნიდან თუ ეყოლება მეტოქე, იმ ქვეყნის რომელიმე სატელევიზიო არხი საქართველოდან მატჩის პირდაპირი ტრანსლაციის ჩვენებას რომ მოითხოვს და ქართული კლუბისგან ამ უფლებას მიიღებს, რამდენს გადაიხდის? არ დავაკონკრეტოთ, ჩვენი პირობებისთვის კაი ბლომად ფულს დახარჯავს. ეს უკვე მოგებაა.

მერე რეკლამა. რეკლამა ხომ ფულია! მასპინძელი ამ საქმიდანაც ხეირობს, თუმც ჩვენი კლუბებისთვის ამას მაინცდამაინც დიდი შემოსავალი არ მოაქვს.

და კიდევ. ალბათ უმთავრესი, რისთვისაც ქართული გუნდები ევროტურნირზე თამაშობენ, ტრანსფერება. საერთაშორისო მატჩებს აგენტები არ აკლდებიან. მით უმეტეს, თუ შენი ფეხბურთელების სანახავად დაპატიჟე, უარს არავინ იტყვის. ერთი მაგალითი. ბელგრადში „ცრვენა ზვეზდა" — „ტორპედოს" მატჩს 30-მდე აგენტი დასწრებია. ეს თავად ქუთაისური გუნდის ერთ-ერთმა წევრმა თქვა. სხვა საქმეა, ბელგრადში „ტორპედოს" ფეხბურთელებმა როგორ ითამაშეს და დამსწრეთ თავი მოაწონეს თუ ვერა. ის კი ნადდია, რომ ერთი კარგად ნათამაშევი საერთაშორისო მატჩი სატრანსფერო საქმის ნახევარია და დიდია შანსი იმისა, ფეხბურთელი გაიყიდოს, თუნდ ჩალის ფასად, როგორც ქართული კლუბები აკეთებენ. ესეც თუ გამოუვიდათ, მაშინ ევროტურნირებზე მოთამაშე ქართველებს რაღა უჭირთ.

სატელევიზიო უფლებების გაყიდვით, რეკლამიდან, სატრანსფერო საქმიანობით მიღებული თანხების გარდა კი, როგორც ამბობენ, ევროტურნირებზე მოთამაშე ქართული კლუბები ხეირის ნახვის სხვა ხერხებსაც იყენებენო...

ყველაფერი ზემოთქმულის შედეგი რა არის?

დღითი-დღე უარესდება მათი სათამაშო დონე.

სირცხვილისა და წახდენილი ავტორიტეტის გარდა ქართული კლუბების ევროტურნირებში მონაწილეობას ქვეყნისთვის არაფერი მოაქვს. ევროპაში თამაში სახელიაო, ამბობენ. სახელია შინ სამბურთიანი, შვიდბურთიანი სხვაობით წაგება?

ნეტავ, იმაზე თუ დაფიქრებულან ქართული კლუბების მწვრთნელ-ხელმძღვანელები, ევროპის საკლუბო ტურნირებში გავლილი ყოველი ეტაპის შემდეგ უეფა მათთვის მისაცემ თანხას რომ აორმაგებს?

თუ ის სჯობს, პირველსავე საკვალიფიკაციო ეტაპზე უსახელო გუნდებთან მარცხით სასაცილონი რომ ხდებიან?

„ვიტ ჯორჯიას" მეტოქეობაზე უკეთესი აბა, რა უნდა იყოს" — ჩვენი ებრაელი კოლეგის თქმით, აი, ასე დაასათაურა თელ ავივში გამომავალმა ერთ-ერთმა გაზეთმა „ვიტ ჯორჯია" — „ბეითარის" თბილისური მატჩის მიმოხილვა.

თითქმის ასეთივე სათაურებით გამოდის გაზეთები იმ ქვეყნებშიც, სადაც ქართული კლუბები თამაშობენ.

კლუბების ხელმძღვანელთა, ფეხბურთის ფედერაციის გასაგონად — დაფიქრებულხართ ამაზე?

ბოგა ინასარიძე

ცხადაძე არ ეგუება და თამაშს აპირებს

ბადრი ჯეელაძის ფოტო

კახა ცხადაძე

კარგა ხანია, კახა ცხადაძის შესახებ არაფერი გვსმენოდა. ბოლო დროს საქართველოს ნაკრების ყოფილ მცველს არცთუ სახარბიელოდ წაუვიდა საქმეები. ტრავმას ტრავმა ცვლიდა, ოპერაციას ოპერაცია. შედეგად ცხადაძის კარიერასაც საფრთხე შეექმნა. მან ბოლოს „მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში ითამაშა და მძიმედ დაშავებული საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. კახას ქირურგიული ჩარევა დასჭირდა და ბევრმაც მისი კარიერა დასრულებულად მიიჩნია.

ბუნდესლიგის პირველ ქართველ ლეგიონერს (თავისი კარიერის საუკეთესო პერიოდი ცხადაძემ გერმანულ „აინტრახტში" გაატარა) გუშინწინდელ „ვიტ ჯორჯია" — „ბეითრის" მატჩის შემდეგ შევხვდით. აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვითამაშე, საოცრად მომწყურდა მოედანზე გასვლა — სინანულით გვითხრა კახამ.

ორიოდე კვირის წინ ცხადაძემ გერმანიაში პროფილაქტიკის მიზნით კიდევ ერთი ოპერაცია გაიკეთა ფეხზე. აჟამად იგი ტრენაჟორებზე ვარჯიშობს და მალე მოედანზეც გადაინაცვლებს. ტრავმასთან შეგუებას არ ვაპირებ, მე უნდა ვითამაშო, თანაც ექიმები მიიმედებენ — ასე ფიქრობს დღეს „მანჩესტერ სიტის" ყოფილი მცველი.

სად ითამაშებს ცხადაძე ჯერაც გაურკვეველია. მისი თქმით, მოწვევები აქვს როგორც უცხოეთიდან, ასევე ქართული კლუბებიდანაც.

სავარაუდოდ კახა ცხადაძე კარიერას უცხოეთში გააგრძელებს.

კაატა კვანტალიანი

კოლხეთმა გაარკვია

კარგა ხანია, მიმდინარეობს დავა კოლხი ჯონი შალამბერიძის შესახებ. როგორც იცით, ეს ფეხბურთელი „კოლხეთმა" საევროტურნირიოდ „ტორპედოში" გაანათხოვრა. სამწუხაროდ, შალამბერიძეს რიონისპირელთა შემადგენლობაში არ უასპარეზია „ცრვენა ზვეზდას" წინააღმდეგ. მიზეზი ფეხბურთელის ავადმყოფობა იყო. მოკლედ, „ტორპედო" იუგოსლავიურ კლუბს ვერ გასცდა და, წესით და რიგით შალამბერიძეც „კოლხეთს" უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ ფეხბურთელს „ტორპედოში" დარჩენის დიდი სურვილი ჰქონდა. ქუთათურებიც ამის მომხრე იყვნენ, ფოთელები კი ჯიუტად აცხადებდნენ, შალამბერიძის განათხოვრებას, მით უფრო გაყიდვას, არ ვაპირებთო.

გუშინ კი გადაწყდა, რომ შალამბერიძე „ტორპედოში" ითამაშებს. კოლხები ბოლოს და ბოლოს ფეხბურთელის სურვილს წინ ვერ აღუდგნენ და ზღვისპირელთა გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ „სარბიელს" განუცხადა: „შალამბერიძის საკითხი საბოლოოდ გავარკვიეთ. ეს ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე გავანათხოვრეთ „ტორპედოში".

საბოლოოდ გადაწყდა კიდევ ორი კოლხის — ქობულაძის და ქვაჩახიას საკითხი. ორივე ფეხბურთელი XII ეროვნულ ჩემპიონატში „ბათუმში" ითამაშებს. „კოლხეთი" ყვავილნარში ემზადება და გუშინ გუნდს ირაკლი მაღლაკელიძე შეუერთდა. ეს ფეხბურთელი ქუთაისელებმა სეზონის ბოლომდე ფოთში გაანათხოვრეს. მოკლედ, „კოლხეთს" და „ტორპედოს" ერთგვარი გაცვლაც გამოუვიდათ. ვინ დარჩება აქედან მოგებული, ამას ჩემპიონატი ცხადყოფს.

და ბოლოს, ყვავილნარში გია ტყებუჩავას გუნდი კიდევ ერთ ფეხბურთელს ელის. ელდარ გვასალიას „კოლხეთის" დატოვება და კარიერის ისრაელში გაგრძელება სურდა, მაგრამ ეს ფეხბურთელი დღესდღეობით საქართველოშია და სავარაუდოდ ისევ ძველი გუნდის შემადგენლობაში შეხვდება ახალ სეზონს.

კაატა კვანტალიანი

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
○ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
○ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
○ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა შფასო კონსულტაციით.
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56; 8 99 10 71 09

გიო ახვლედიანის

სვეტი

დღეის ძველი ფიქრი

ქართული კლუბები ლაწალუწით აგებენ მესამეხარისხოვან, ან იქნებ მეოთხეხარისხოვან ევროპულ გუნდებთან. კარგა ხანია, ევროპული ტურნირები საქართველოსთვის აგვისტოში მთავრდება. სექტემბრის პირველი ორი კვირა პირდაპირ სანატრელი გახდა.

მაგრამ განა ეს მოულოდნელია? განა ეს საწყენი და სანერვიულოა? მგონია, რომ არა.

ქართული ფეხბურთი მეტად სუსტია იმისთვის, რომ რაიმე საკლუბო წარმატებაზე, თუნდაც სექტემბრის თვის დაძლევაზე იფიქროს. თანაც, არც რაიმე ჩანს ისეთი, რომ რაღაც მოულოდნელობით რომელიმე ქართულმა კლუბმა ევროსარბიელზე თუნდაც ძალიან მკრთალი კვალი დატოვოს. არადა, ჩვენში საკლუბო პერსპექტივისა უფრო სჯერათ, ვიდრე სანაკრებოსი. ამ დროს კი, თუნდაც მეორეხარისხოვან ევროპულ გუნდთან მიახლოება დღევანდელი შესაძლებლობებით წარმოუდგენელია.

ჩემპიონატის დაძაბულობა, გულშემატკივართა ომები და ასეთი რამეები ფეხბურთის პოპულარობას თუ მოემსახურება, თორემ თამაშს რა უნდა უშველოს. ქართულზე ბევრად უფრო განვითარებული, მოწყობილი, მოწესრიგებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურის და ცხოვრების მქონე ქვეყნების ჩემპიონატებიც კი ვერ სცდებიან მეორეხარისხოვან საკლუბო დონეს.

აჰ, ჩვეულებრივ, გიხსენებენ ხოლმე ქართულ ნიჭიერებას, რომელიც სულ პატარა ხელის წყვრავს საჭიროებს და მერე ისე გაიფურჩქნება, რომ, ვთქვათ, დანიურ ნიჭიერებას დაჩრდილავს. დიახაც, დანგრეულ სტადიონზე ვერაფერი გაიფურჩქნება, მაგრამ საქართველოში უკვე შენდება სტადიონები. სტადიონები აშენებულია ბულგარეთში, მაგრამ იქაური კლუბები და ჩემპიონატი ხარისხით ვერ დაიკვეხნის. მოწყობით — კი, ხარისხით — ვერა. სამაგიეროდ, ბულგარეთი დაიკვეხნის მსოფლიოში სახელგავარდნილი ფეხბურთელებით. თოვლიანი ნორვეგიის ლამის ორმოცი ფეხბურთელი პრემიერლიგაში თამაშობს. ქართველი იქ ორია. — დანიური სასწაული პატარა დანიური კლუბების ხარჯზე არ შობილა. არც ნიგერიული.

მოკლედ, ჩვენი საფეხბურთო გამოღვიძების უმთავრესი პირობა ნიჭიერ ყმაწვილთა ევროპისკენ სწლაა. იქიდან კი ღირსეული და კვალის დამტოვებელი ნაკრების შენება. ასეთია დღეს ფეხბურთი და რაც უნდა ამტკიცო, რომ დიდი წარსული გაქვს, მომავალს ეს მხოლოდ სიტყვით თუ დაეხმარება. ფეხბურთი ისე მიდის, რომ თუნდაც „რუსენბორგი" ას წელიწადს ვერ დადგება „ბარსაზე" მაღლა, ნორვეგიის ნაკრები კი ეგებ ჯაბნიდეს კიდეც ესპანეთისას.

ეს ძველი ფიქრია, მაგრამ გამეორებით არაფერი დაშავდება.

იხილეთ წინა „სარბიელი“

მოკვლევა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბატონ გია არსენიშვილს

ინფორმაცია თბილისის „დინამოსა“ და ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონის პრობლემების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მეორე კონტრაქტით, რომელსაც ხელს აწერს თბილისის „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი მ. რატიანი, აღნიშნულია, რომ საფეხბურთო კლუბ „ალანიამ“ „თბილისის დინამოს“ გ. დემეტრაძეში უნდა გადაუხადოს 720 ათ. აშშ დოლარი. ამავე კონტრაქტის მე-6 პუნქტში აღნიშნულია, რომ „თბილისის დინამოს“ არა აქვს უფლება მოითხოვოს გ. დემეტრაძის სხვა კლუბში გადასვლასთან მიღებული სატრანსფერო თანხა. საფეხბურთო კლუბ „ალანიას“ მხრიდან კონტრაქტს ხელს აწერს ისევ კლუბის დირექტორი ზ. ბითაროვი.

გარდა ამისა, შს სამინისტროს გაჩნია საფეხბურთო კლუბ „ალანიაში“ გაგზავნილი წერილის ქსეროასლი მ. ჟორდანიას ხელმოწერით, სადაც იგი ითხოვს გ. დემეტრაძის სატრანსფერო თანხიდან 70 ათ. აშშ დოლარის მოქ. ვ. გუცაევის პირად ანგარიშზე გადარიცხვას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ვისბადენში, თუმცა 1992 წლიდან დღემდე ვ. გუცაევი არ ყოფილა კლუბის თანამშრომელი და არც შრომითი ხელშეკრულება ჰქონია მასთან გაფორმებული.

1998 წლის 17 აგვისტოს აღნიშნული თანხა გადარიცხულია ვ. გუცაევის პირად ანგარიშზე გერმანიაში. ამავე დღეს საფეხბურთო კლუბ „ალანიადან“ შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში განთავსებულ „ფინანს ბანკში“ გადარიცხულია 130 ათ. აშშ დოლარი, ხოლო 26 აგვისტოს საქართველოს ბანკის ჩულურეთის ფილიალში ს.ს. „მზიურის“ ანგარიშზე გადარიცხულია 100 ათ. აშშ დოლარი. ამ შემთხვევაში ორივე თანხა გადარიცხულია მ. რატიანის მითითებით.

აღსანიშნავია, რომ შპს საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამოს“ ბუღალტერის მონაცემებით საზღვარგარეთ კლუბს ანგარიში გახსნილი არა აქვს, გარდა ამისა მ. რატიანს საფეხბურთო კლუბ „ალანიადან“ 1998 წლის 6 აგვისტოს ხელზე მიღებული აქვს 128 ათ. რუბლი.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოსა“ და მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან დადებული საკონტრაქტო ხელშეკრულებები ძალზე ზოგადი სახისაა. მასში არ არის განსაზღვრული და დაზუსტებული უმთავრესი ფინანსური მხარე, ხოლო კონტრაქტის ანაზღაურების გრაფაში კონკრეტული თანხის ნაცვლად ჩაწერილია სიტყვა „შეთანხმებით“.

ა/წ 25 ივლისს, სამთავრობო კომისიის მორიგ სხდომაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნა ინფორმაციები, კერძოდ, სფფ-ის ცნობის თანახმად

უეფადან გრანტის სახით, სფფ-ს ანგარიშის გავლით, ს.კ. თბილისის „დინამოს“ საქართველოს ჩემპიონობისა და ევროტურნირებში მონაწილეობისათვის 1995-1999 წლებში მიღებული აქვს შემდეგი თანხები:

31.05.1995 — 310 000 შვეიცარული ფრანკი (მ.შ. 150 000 ჩემპიონობისთვის, 160 000 ევროტურნირებში მონაწილეობისთვის)

31.05.1996 — 230 000 შვეიცარული ფრანკი (მ.შ. 150 000 ჩემპიონობისთვის, 80 000 ევროტურნირებში მონაწილეობისთვის)

31.05.1997 — 470 000 შვეიცარული ფრანკი (მ.შ. 150 000 ჩემპიონობისთვის, 320 000 ევროტურნირებში მონაწილეობისთვის)

31.05.1998 — 470 000 შვეიცარული ფრანკი (მ.შ. 150 000 ჩემპიონობისთვის, 320 000 ევროტურნირებში მონაწილეობისთვის)

31.05.1999 — 390 000 შვეიცარული ფრანკი (მ.შ. 150 000 ჩემპიონობისთვის, 140 000 ევროტურნირებში მონაწილეობისთვის)

31.05.2000 — 80 000 შვეიცარული ფრანკი (80 000 ევროტურნირებში მონაწილეობისთვის)

სულ 1 950 000 შვეიცარული ფრანკი (მ.შ. 750 000 ჩემპიონობისთვის, 1 200 000 ევროტურნირებში მონაწილეობისთვის)

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ინფორმაციით:

საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ გუნდები სასწავლო პროცესს ატარებენ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, რომელიც იმყოფება ნორმალურ მდგომარეობაში, რაც გამორიცხავს ვარჯიშების წყვეტილობას. ბაზაზე წვრთნას გადიოდა თბილისის „დინამო“ ძირითადი გუნდი, თბილისის „თბილისი“ (სბაზო გუნდი 1999-2000 წლებში ასპარეზობდა უმაღლეს ლიგაში), და „დინამო II“ (ფარმ კლუბი 1999-2000 წლებში ასპარეზობდა მეორე ლიგაში). ფუნქციონირებს ბალახის საფარიანი ორი საფეხბურთო სტანდარტული მოედანი, ერთი ხელოვნურსაფარიანი მოედანი, სასტუმრო, კვების ბლოკი და სხვა.

კლუბის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ თბილისის „დინამოს“ არ გააჩნია იურიდიული სტატუსი, რაც არ აძლევს კლუბს საშუალებას სრულად გამოავლინოს არსებული რეზერვები და სპორტული პოტენციალი. უფრო მეტიც, პარადოქსია, რომ გუნდი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში, თუმცა სამართლებრივი თვალსაზრისით გუნდი არ არსებობს. ამასთან, დეპარტამენტის აზრით, კლუბში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სატრანსფერო და სასელექციო მუშაობის წარმართვას, უცხოეთის პრესტიჟულ კლუბებთან საქმიანი, ურთიერთხელსაყრელი კონტრაქტის დამყარებას, საწვრთნელი პროცესის თანამედროვე ევროპული სტანდარტების დონეზე წარმართვას, სამეცნიერო უზრუნველყოფას, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურეობას და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კლუბს ჰყავდეს ოფიციალური, გენერალური სპონსორი და ასევე სხვადასხვა სპონსორები (უცხოეთის და ყოფილი სსრკ-ს ბევრ კლუბს 10 და მეტი ოფიციალური სპონსორი გააჩნია), გაზარდოს შემოსავლები რეკლამიდან და ტელევიზიიდან, მოაწყოს თამაშების მსვლელობისას გასართობი სანახაობები, კომერციული მიზნით გამოიყენოს კლუბის ატრიბუტიკა, მუზეუმი, საგამომცემლო საქმიანობა, სპორტული ტურიზმი, მეტი ყურადღება დაუთმოს გულშემატკივრებთან და მაყურებლებთან ურთიერთობას და ა.შ.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს მიაჩნია, რომ კლუბის განვითარების პროგრამა უნდა მოიცავდეს გრძელვადიან პერიოდს და მასში გარდა ფინანსური საკითხებისა, უნდა იყოს წარმოდგენილი საქმიანობის სხვა ასპექტებზეც.

გარდა ამისა, ამავე კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ს.ს. „აგრომრეწვბანკის“ ინფორმაცია, საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ ბანკის მიმართ დავალიანების შესახებ, კერძოდ, ამავე ინფომარციით, საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისმა“ ს.ს. „აგრომრეწვბანკიდან“ ქ. მოსკოვში თანამეგობრობის ჩემპიონთა თასზე მონაწილეობის მისაღებად 1999 წლის იანვარში სესხის სახით გაიტანა 50 ათ. ლარი, რომელიც საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ დაუბრუნებიათ.

ს.ს. „აგრომრეწვბანკმა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა დიდუბე-ჩულურეთის რაიონის სასამართლოს, რომელმაც დააკმაყოფილა სარჩელი და კლუბს დააკისრა 38532 აშშ დოლარის ექვივალენტით თანხის გადახდა. აღნიშნული თანხიდან დაფარულია 7 ათ. დოლარი, ხოლო დარჩენილ თანხაზე კლუბის ხელმძღვანელობას 2000 წლის 22 მაისის №65 წერილით აღებული აქვს ვალდებულება, ფეხბურთელების გ. დიდავას და კ. წიტაიშვილის სატრანსფერო თანხებიდან დავალიანების დაფარვის შესახებ.

ს.ს. „აგრომრეწვბანკი“ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში ითხოვს სამთავრობო კომისიის თანადგომას.

ამჟამად შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოში“ შსს ატარებს დოკუმენტურ რევიზიას. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მოწვეული სპეციალისტები სხვა საკითხებთან ერთად სწავლობენ 1996-2000 წლებში კლუბიდან საზღვარგარეთ გაყიდული ფეხბურთელების სატრანსფერო თანხების მოძრაობას.

P. S. *აი, აქ მთავრდება სახელმწიფო კომისიის მოკლევა. სახელმწიფო მინისტრ გია არსენიშვილის სახელზე შედგენილი ეს ვრცელი ინფორმაცია შემდგომი მოქმედებისთვის საკმაო საფუძველს ტოვებს. მოკლედ, სიტყვა საქმეს საჭიროებს. რა იქნება შემდეგ? ეს ჯერაც გაურკვეველია, მით უფრო, რომ სახელმწიფო კომისია საბოლოო დასკვნის გაკეთებას ერთობ აჭიანურებს. სახელმწიფო კანცელარიაში კომისიის შემაჯამებელი სხდომა მომავალ კვირასაა დანიშნული.*

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (მილანი), მაღლაკელიძე (კოლხეთი), გოგიაშვილი, გრ. ჭანტურია (თავისუფალი აგენტი), მეგრელაძე, (ტრანსფერზე არიან)	გუჩუა, სიქინავა, გაბიდაური (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), სტურუა, გ. გოგოლაძე (სამგურალი)	დილა 4:0, 2:0, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0, თსუ 1:0
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინნკირველი (თსუ), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), ჭილაძე (ს.ა. იბერია)	თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, ჰანზა 0:1, ლიუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენჰაფენი (რვაგე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1
	დინამო *რევაზ არველაძე*	ხი ზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (შაკაბი, თა, ისრაელი), გუჩუა, სიქინავა, გაბიდაური (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), მინაშვილი (მერანი), ხუციშვილი (?)	კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბაითაშვილი, ტყებუჩავა, ჩიგაძე, კანდელაკი, ნორაკიძე, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ნ. ლობჟანიძე (არ თამაშობდა)	შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, შუქურა 2:0, ლოკომოტივი 1:0, 2:3
	ბათუმი *ჯანი კარნეგალი*	მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მეავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ), კაკაბაძე (მერანი)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1, შუქურა 2:1
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი)	მაღლაკელიძე (ტორპედო), რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კარასოვსკი, თედეევი, დ. კვირკველია, გ. ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეფავა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, ბათუმი 1:2, გურია 3:0, 3:1
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი, დ. ჯანელიძე (მილანი), მესიაჩენკო (ოკეანე), ბაქრაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 3:1, მილანი 0:2
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე (ტორპედო ზილი, რუსეთი), ნაროუშვილი (ლოკომოტივი), ივეჩიანი (გორდა)		სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი) 1:2, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი)	ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	ტორპედო 0:4, 0:2 ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4
	მერანი *სერგო გაბელაია*	ჯიშკარიანი (კარიერა დაასრულა), კაკაბაძე (ბათუმი), დავითაშვილი (ლოკომოტივი)	მინაშვილი (დინამო), ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), გ. ჩიხრაძე (ჰ.ბეით შანი, ისრაელი), კაციაშვილი, გ. გვაზავა (მეტალურგი), ბაქრაძე (სიონი), ჭიჭვეიშვილი (ჰ.ქვარსავა, ისრაელი), ჩხაიძე (ტორპედო), დ. გოდერძიშვილი (მერანი), ჯულელი (?, კვიპროსი ან ისრაელი), ნიკურაძე (გორდა), რ. ონიანი (?)	გონჩაროვი (თბილისი), ნაროუშვილი (იბერია), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიპადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი), ლონდლაძე (სამგურალი)	გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, სიონი 1:0, 3:1, დინამო 0:1, 3:2
	თსუ *თენგიზ კაცია*	მერლანი, დეკანოსიძე, ადამია, ინნკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ფარქოსაძე (?, გერმანია), ხართიშვილი (?)	მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არუშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ჭედია (ლაზიკა)	ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2, ტორპედო 0:1
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), ს. ბურნაძე (ლოკომოტივი), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი)	ივეჩიანი (იბერია), კიბირია (საუ), სურმავა, ფოჩხუა (მრეტები), ნიკურაძე (ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იატაკქვეშა ტრანსფერი ვისი ხარ, სტივ?

მაკმანამანი (მარჯვნივ) სატრანსფერო გზაზე დაიბნა

ნარკოტიკებით და იარაღით ფარული ვაჭრობა გაგვიგია. სოციალიზმის დროინდელი დახლს ქვემოთ გადამალული საქონელიც გვახსოვს. ღამღამობით სპეკულიანტებთანაც გვირბენია. აი, ფეხბურთელების ბნელ სადარბაზოებში ყიდვა-გაყიდვა კი ახალი ხილია.

კარგა ხანია, ვწერთ, რომ მადრიდის „რეალს“ სტივ მაკმანამანის გუნდიდან გაშვება სურს და ხელსაყრელ შეთავაზებას ელის. ფეხბურთელის ხვეწნა-მუდარამაც, ნუ გამყიდითო, გვარიანად აგვიჩუყა გული. ლამის მარჩიელობაც დავიწყეთ, შელეოდნენ თუ არა „მაკას“. გუშინ კი უცხოურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომლის თანახმადაც მელანი ტყუილად გვიხარჯია, რამეთუ „რეალს“ მაკმანამანი უკვე გაუყიდია, თუმცა ჯერჯერობით ამ ამბის გახმაურებას ერიდება. ინგლისელის ახალი მეპატრონე კი „მიდლსბროა“.

რაა აქ დასამალი? ის, რომ „სამეფო კლუბის“ დირექტორს გატეხილი თავი ჯერ არ შეხორცებია და ქვა მეორედაც რომ მოხვდეს, ეგებ ვერც გადაიტანოს. ვფიქრობთ, აქ განმარტებაა საჭირო.

„სარბიელი“ წერდა, რომ „მილანისთვის“ ფერნანდო რედონდოს მიყიდვის შემდეგ „რეალის“ ქომაგები კლუბის ოფისთან მივიდნენ და ტრანსპარანტები გაშალეს, რომლებზეც სხვადასხვა შეურაცხმყოფელ სიტყვებს თუ გამოვტოვებთ, ეწერა, რომ მადრიდელები რედონდოს გაყიდვას ვერ შეურიგდებოდნენ და ლუიშ ფიგუს გადმოყვანა არგენტინელის გაშვების საბაბი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ქომაგთა სოლიდურმა ნაწილმა კლუბის ხელმძღვანელობისადმი სიტყვიერი მუქარის საქმით დადასტურება განიზრახა და ოფისის ფანჯრები ერთიანად ჩატეხა. სწორედ მაშინ მოხვდა ერთი ქვა თავში „რეალის“ დირექტორს, რომელმაც საშშვიდობოს გაქცევა ვერ მოასწრო.

თავისთავად, „რეალს“ რაგინდ დიდი ვალები ჰქონდეს, ჩალეწილ ფანჯრებს როგორმე შეცვლის, დირექტორსაც თავი მოურჩება, მაგრამ ფლორენტინო პერესი შიშობს, მაკმანამანის გაყიდვის ცნობამ არეულობების ახალი ტალღა არ გამოიწვიოსო და დუმილს ამჯობინებს. დაე, ხალხი ჯერ იმ აზრს შეეგუოს, რომ „მაკას“ გაყიდვას უპირებენ, შემდეგ დაუდასტურებელი ცნობა გაჩნდეს, ამასობაში აღშფოთების პირველი ტალღა გადაივლის და ხალხიც ფეხბურთელის გაშვებას უფრო მშვიდად შეხვდება.

ერთხელაც გავიმეოროთ, რაც აქამდე ვთქვით, ზოგიერთი სააგენტოს გავრცელებული ცნობაა და მას ვირწმუნებთ თუ არა, თითოეული ჩვენგანის პირადი საქმეა.

თუმცა არიან ისეთებიც, სანამ ბეჭედდასმულ ქაღალდს არ იხილავენ, არაფერს იჯერებენ. მაგალითად, სერ ალექს ფერგიუსონი. მანჩესტერელთა მწვრთნელს სწამს, „რეალი“ მაკმანამანს ყიდის, რადგან ამის თაობაზე მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობის განცხადება მოისმინა. აი, ფეხბურთელის მიდლსბროელობას კი ეჭვის თვალით უყურებს და „მიდლსბროს“ პრეზიდენტის ნაცვლად „რეალისას“ მიმართავს: „მოგვყიდეთ მაკმანამანი“.

სერ ალექსის განზრახვა ასეთია — მარცხნივ რაიან გიგზი, მარჯვნივ მაკმანამანი, შუაში კი დევიდ ბექჰემი, ვისაც ჯადო-პასების ჩასაწოდებლად არეალი მნიშვნელოვნად გაეზრდება.

ვინ იცის, ვინ იცის...

გიორგი დარჯანია

სერჯიო კრანიოტი და პაველ ნედვედი

იტალია მსოფლიოზე დიდია

ვინ არის მსოფლიოში ყველაზე ძლიერი კლუბი? ძალიან ძნელია რაიმეს ხელაღებით თქმა. თუმცა მათ მარაქაში აუცილებლად „ლაციო“ უნდა გავრიოთ. ეს კლუბი თანხებს არ აშურებს, რათა მსოფლიოს წამყვანი ვარსკვლავები თავისთან დაიგულოს. პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ ამას წინათ ხურჯინს თავი მოხსნა და მსოფლიო გააოცა, როცა არგენტინელ ერნან კრესპოში სარეკორდო თანხა გადაიხადა... რამდენიმე კითხვაზე იგი თავად გვიპასუხებს.

— ყველა იმაზე საუბრობს, რომ წლეულს „ლაციო“ ძალიან ძლიერი გუნდი იქნება, ძნელია, არ დაეთანხმო. თავად თქვენ ბოლოხანს გუნდის თამაში თუ ნახეთ?

— დიახ, „ლაციოს“ თამაშს ტელევიზორში ვუყურე. მოგეხსენებათ, კლუბმა დაახლოებით ერთი კვირის წინ ამსტერდამის ამხანაგურ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ „ვოლენდამსაც“ შეხვდნენ და კლაუდიო ლოპესს უყოჩაღია. ეს ერიკსონმა მითხრა და ძალიან გამეხარდა. სასიამოვნოა, როცა გუნდში ახალწვეულები გაამართლებენ. ერიკსონის მოღვაწეობით კმაყოფილი ვარ. მან გუნდს კარგი განწყობა და ხასიათი შეაუნერგა. „ლაციო“ იტალიის გარეთ დიდ კლუბად ითვლება და ძალიან ბევრი ადამიანი ქომაგობს, იტალიაში კი ჯერჯერობით პატარა კლუბად მიგვიჩნევენ.

— პატარად? გუნდში ხომ უამრავი ვარსკვლავია. სულ ახლახან სარეკორდო თანხად ერნან კრესპო შეიძინეს. გუნდში მას სალასი დახვდა, სხვა ფეხბურთელებზე რომ არაფერი ვთქვათ... ის ხომ არ ავიწყდებათ, რომ ჩემპიონები ხართ...

— „ლაციოში“ მართლაც ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელია. ეს კლუბისთვის ერთობ მნიშვნელოვანია. ჩვენ გეგმები ორივე მიმართულებით გვაქვს, როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

— სალასზე გკითხავთ. იგი ადრე წასვლას აპირებდა, ახლა რა მოხდა?

— მარსელომ „პრამას“ ხელსაყრელი წინადადება უარყო. ძალიან მესიამოვნა, „ლაციოში“ დარჩენა რომ ისურვა. ვგონებ, საბოლოოდ გადაწყვიტა ჩვენთან ყოფნა. იგი გუნდისთვის საჭირო მოთამაშეა. თანაც ფორვარდები ძალიან გვჭირდება. ასე რომ არ იყოს, კრესპოს რატომ ვიყიდიდით. „რომამაც“ იყიდა ბატისტუტა, მაგრამ დანარჩენი თავდამსხმელები შეინარჩუნა, ჩვენც ასე ვაპირებთ.

— ბუდვინ ზენდენის საკითხი თუ გაირკვა, ბოლოს და ბოლოს აპირებს „ლაციოში“ გადმოსვლას?

— ამ საკითხზე ჯერჯერობით დაფიქრება მოგვიწევს. რადგან ძალიან რთულია, სათადარიგოთა სკამზე ამდენი ბრწყინვალე ფეხბურთელი დასვა, „ლაციოში“ კი კონკურენცია ძალიან დიდია.

— „ლაციოს“ შეტევის ხაზი როგორ წარმოგიდგენიათ? კლაუდიო ლოპესი, ალბათ ფლანგიდან ითამაშებს. უშუალოდ თავდასხმის ცენტრში კი კრესპო და სალასი, ან მის მაგივრად სიმონე ინძაგი გაირჯებიან...

— დიახ, ასე ვფიქრობ. ლოპესი და ნედვედი ფლანგებზე ითამაშებენ, მაგრამ ჯერ კიდევ დაფიქრებაა საჭირო. ერიკსონს ალბათ ზენდენის ტრანსფერზეც გავესაუბრები და ყველა მნიშვნელოვან დეტალს განვიხილავთ. აჩქარება არ არის საჭირო, რამეთუ წინ საკმაო დროა. ჰოლანდიელის შეძენის საბოლოო ვადა თვის ბოლომდეა, რათა მან შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში თამაში შეძლოს.

— ივან დელა პენიას რას უპირებთ?

— მისთვის ახალი კლუბის მოძებნაა საჭირო. აუცილებელია, კარგ გუნდში ითამაშობს, ჩვეულ ფორმაში რომ ჩადგეს. დე ლა პენიას საკითხზე ჩვენი წარმომადგენლები მუშაობენ, კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი, დრო გვიჩვენებს.

თარგმნა ნიცა შუბლაძემ

რონალდომ პროფესია შეიცვალა

ფეხბურთელის გზა სტადიონიდან თეატრამდე

რონალდოს სპექტაკლზე ბილეთი ძვირი ეღირება

რონალდოს ადგილზე ბევრი სხვა განცხრომას მიეცემოდა. ვერც გაამტყუნებდით, მოიშუშებს ტრავმას და მინდორზე გამოსვლიდან ექვს წუთში კვლავ საოპერაციო მაგიდაზე ხვდება (გაიხსენეთ, იტალიის თასის ფინალში „ლაციო“ — „ინტერის“ მატჩი), ასე რომ ფეხბურთზე გულის აცრუების მიზეზი ნამდვილად აქვს. ფული არ უჭირს — იმდენი აქვს (და რეკლამებით კიდევ იმდენს იშოვნის) ბევრი ჩვენთაგანის ბარე ას თაობას ეყოფა. სახელი, მშვენიერი ცოლ-შვილი — მოკლედ, მშვიდად შეუძლია პენსიაზე გავიდეს.

მაგრამ რონალდო ვერ ისვენებს, ფეხბურთის თამაშს მინიმუმ 2001 წლის თებერვლამდე ვერ შეძლებს, ხმაურიან წვეულებებზე სიარულიც მობეზრებია, თავისი „ფერარიც“ გაყიდა და გადაწყვიტა, სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი.

რონალდოს ბოლო გატაცება თეატრი გახლავთ. თან ლიდერობას დაჩვეულს მაყურებელთა შორის ჯდომა არ ეპატნავება და პროდიუსერობა განიზრახა. „ბოლო თვეებია, თეატრების ხშირი სტუმარი ვარ — ამბობს რონალდო — უამრავი წარმოდგენა ვნახე და ვატყობ, რომ ხელოვნება სულ უფრო და უფრო მომწონს. თანდათან ვხვდები, პიესის დადგმა ურთულესი საქმეა, მაგრამ უკან დახევა არ მჩვევია. პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ: ჩვენ, ფეხბურთელებმა უბრალო ხალხს მაგალითი უნდა მივცეთ და ხელოვნების სამყაროში ჩავითრიოთ“.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხა დაუჯდება რონალდოს იდეის ხორცშესხმაში, თუმცა სასურველი პიესა უკვე შერჩეული აქვს — „დავა-კამათი ვალიადოლიდში“. პიესაში მოქმედება მე-16 საუკუნის ესპანეთში ხდება და მისი გმირები იმაზე საუბრობენ, თუ როგორ უნდა მოექცნენ კონკისტადორები ინდიელებს. პრემიერა სექტემბერში რიო დე ჟანეიროშია დაგეგმილი.

დაველოდოთ, ეგებ ისეც მოხდეს, რომ რონალდოს გულში თეატრისადმი სიყვარულმა ისე იმძლავროს, ფეხბურთზე სულაც ხელი ააღებინოს.

გიორგი დარჯანია

ჩემპიონთა ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

სამხრეთ ამერიკა

ჩილე — ბრაზილია

ხუთშაბათს ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც მომავალ კვირაში ჩილეს ნაკრებს შეხვდებიან. ეს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მე-7 ტურის მატჩია.

ნაკრებში მოხვდა კორინთიანსელი ლუიზაო, ხოლო რომარიოსთვის ეროვნულ გუნდში ადგილი კვლავ არ მოიძებნა. 34 წლის რომარიომ ტრავმა ახლახან მოიშუშა და ქომაგებს იმედი ჰქონდათ, ხანგრძლივი არყოფნის მერე ვეტერანი ვარსკვლავი ყვითელი მაისურით დაგვიბრუნდებაო, მაგრამ არ გაუმართლათ. რაც შეეხება ლუიზაოს, ის ბრაზილიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირია, მაგრამ ნაკრებში თავის გამოჩენის საშუალება აქამდე იშვიათად ეძლეოდა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული გუნდის მეორე მეკარედ სანპაულელი როჟერიუ სენია მოწვეული. ამ მეკარეს მეორე ჩილავერტობა განუზრახავს და წლეულს საჯარიმოდან სამი გოლი აქვს გატანილი.

საინტერესოა, რომ ვანდერლეი ლუქსემბურგომ ნაკრებში სამშობლოში მოთამაშე შვიდი ფეხბურთელი მიიწვია. აქამდე, როგორც წესი, შემადგენლობაში ფაქტობრივად მხოლოდ ლეგიონერები ხვდებოდნენ.

შემადგენლობა:

მეკარეები: ნელსონ დიდა (მილანი, იტალია), როჟერიუ სენი (სან პაულუ);

მცველები: კაფუ ძაგო (ორივე რომა, იტალია), ევანილსონი (ბორუსია, გერმანია), ბელეტი, ედმილსონი (ორივე სან პაულუ), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ჟუნიორი (პარმა, იტალია), როკე ჟუნიორი (მილანი, იტალია), ფაბიო ბილიკა (ვენეცია, იტალია);

ნახევარმცველები: ემერსონი, მარკუს ასუნსაო (ორივე რომა, იტალია), ჯალმინია (დეპორტივო, ესპანეთი), ალეესი (პარმა, იტალია), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი), მარკოს პაულუ (კრუზეირო), რივალდინიო (კორინთიანსი);

თავდამსხმელები: ამოროზო (პარმა, იტალია), მარკეში (ატლეტიკო მინეირო), ლუიზაო (კორინთიანსი)

ყველაფერი არის კარგად, ყველაფერი არის ცუდად
ევროპაში ჩვენზე სუსტებიც არიან

10 აგვისტოს უეფას თასის შეხვედრები ჩატარდა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპია და ბუნებრივია, ბევრი ისეთი გუნდი გამოჩნდა, რომელთა სადაურობის გამოცნობაც ფეხბურთის თაეგადაკლულ ქომაგსაც კი გაუჭირდება. გუნდებს შორის ძალთა თანაფარდობაც აშკარად შეუსაბამო იყო და ამაზე ანგარიშებიც მეტყველებს.

თანამედროვე ფეხბურთში, ალბათ, იშვიათია შემთხვევა, გუნდს შინ 0:10 წაეგოს, როგორც ეს ანდორულმა „კინსტელასიომ“ „მოახერხა“. თუმცა ანდორული კლუბისგან ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, თანაც მეტოქედ მასზე ათი თავით მაღლა მდგომი „რაიო ვალეკანო“ ჰყავდა. ესპანელებმა მოწინააღმდეგე არ დაინდეს და გოლებით დასეტყვეს.

ჩამოვყვეთ და ისეთი მატჩები მიმოვიხილოთ, რომლებშიც შედარებით ნაკლები ბურთი გავიდა. ასეთი კი დანიური „აკადემისკისა“ და ფარერული „ტორსჰაგენის“, შეხვედრა გახლდათ. რვა გოლი და რვავე კუნძულელთა კარში — ამგვარია მატჩის შედეგი. უელსელებიც დაიჩაგრნენ, შვედურმა „ჰალმსტადმა“ „ბანგორი“ შვიდჯერ გაამწარა.

ამის შემდეგ მოდიან გუნდები, რომლებმაც 0:4 ან 1:5 წააგეს, მაგრამ 0:10-თან შედარებით ეს არაფერია.

შინ დამარცხებულთა შორის „ვიტ ჯორჯიაც“ ვახსენოთ. ჩვენმა ვიცე-ჩემპიონებმა სამი უპასუხო ბურთი გაუშვეს „ბეითარისგან“ და მომდევნო ეტაპს და ევროთასებს, ალბათ, დაემშვიდობებიან. მეორე ქართულმა კლუბმაც წააგო — „ლოკომოტივი“ „სლოვანმა“ შინ დაჯაბნა. ასეა, ფარერული და ანდორული კლუბების მსგავსად პირველივე ეტაპზე უნდა ჩავიქნიოთ ხელი. მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ ევროპაში თურმე ჩვენზე სუსტებიც ყოფილან.

შედეგებს გადავავლოთ თვალი. შედარებით ძლიერი ევროპული კლუბები მოვიძიოთ. ერთ-ერთი უიშვიათესი წარმომადგენელი გლაზგური „სელტიკია“. შოტლანდიის საევროპო კოეფიციენტი რა ვთქვათ, თორემ „სელტიკს“ამ კლუბებს შორის რა ესაქმებოდა? მაგრამ არაფერია, მომდევნო ეტაპზე გასვლა არ გაუჭირდებათ, ლუქსემბურგული „ჟენესი“ სტუმრად 0:4 დაამარცხეს. ეს მატჩი კი, ალბათ, ვარჯიშად უფრო ჩაეთვლებათ, თანაც თავის თავში დარწმუნდებიან. სწორედ ამას ამბობს გლაზგოელთა თავკაცი მარტინ ონილი.

„ფეხბურთელებს საკუთარი თავის უნდა სჯეროდეთ. მომდევნო ეტაპზე, ალბათ, უპრობლემოდ გავალთ, შემდეგ კი ძლიერი მეტოქეები შეგვხვდებიან, ნებისმიერი გუნდის გამკლავება უნდა მოვახერხოთ“ — აცხადებს „სელტიკის“ მწვრთნელი.

მეორე შოტლანდიური კლუბის, „აბერდინის“ მარცხი ერთობ გასაკვირია. გუნდმა შინ ირლანდიური „ბოჰემიანსისგან“ ორი გოლი გაუშვა, თავად კი მხოლოდ ერთი გაუტანა, ამით მომდევნო ეტაპზე მოხვედრაც გაირთულა. ეს თავად „აბერდინის“ მწვრთნელმა აღნიშნა: „შედეგმა ნამდვილად გამაწბილა. მომდევნო ეტაპზე გასვლა ახლა გაგვიჭირდება. „ბოჰემიანსმა“ დაცვაში მწყობრად ითამაშა, მათ კარამდე მიღწევა ძალიან ძნელი აღმოჩნდა. მართალია, პირველი გოლი ჩვენ გავიტანეთ, მაგრამ უპირატესობა ვერ განვამტკიცეთ და ბოლო წუთებზე ორჯერ გავწბილდით. მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით, ცუდად არ გვითამაშია. უბრალოდ, შოტლანდიაში იშვიათად თუ შეხვდებით გუნდს, რომელიც ასეთ დაცვას დაგიპირისპირებს“.

ირლანდიელთა თავკაცმა კი განაცხადა: „ირლანდიის ლიგაში ახლა ბევრი კარგი ფეხბურთელია, ოღონდ ესაა, იქაურ ფეხბურთში დიდი ფული არ ტრიალებს. მომდევნო ეტაპზე გასვლაზე საუბარი კი ნაადრევია, წინ საპასუხო მატჩი გველის. „აბერდინი“ არაა ის გუნდი, ფარ-ხმალი იოლად დაყაროს“.

კიდევ ერთი შოტლანდიური კლუბი, „ჰართსი“, ისლანდიას ესტუმრა და იქაური „ვესტმანაეიარი“ 2:0 დაამარცხა.

„ჰართსის“ თავკაცი ჯიმ ჯეფერსი: „სტუმრად ორბურთიან უპირატესობას მივაღწიეთ, საპასუხო მატჩში ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ და მომდევნო ეტაპზე მოვხვდებით“.

„ჰართსისგან“ განსხვავებით, მომდევნო წრეში გასვლა ბრიტანეთის კიდევ ერთ წარმომადგენელს, ჩრდილოირლანდიურ „გლენტორანს“ ძალიან გაუჭირდება, გუნდმა შინ ნორვეგიულ „ლილესტრიომთან“ 0:3 წააგო. მატჩის შემდეგ ბრიტანელთა მწვრთნელმაც აღნიშნა, რომ მისი გუნდი ძალიან სუსტად გამოიყურებოდა.

ქართველთა ძველმა ნაცნობმა, „ბოავიშტამ“, უელსურ „ბერის“ შინ 2:0 სძლია და ორი მატჩის ჯამში უნდა იმარჯვოს კიდეც.

ჩვენი მეზობელი ქვეყნების გუნდებზეც ვთქვათ. ბაქოს „ნეფთჩიმ“ შინ სლოვენიური „ნოვა გორიცა“ 1:0 დაჯაბნა, თანაც ეს ერთადერთი გოლი მატჩის პირველ წუთზე გავიდა. ერეკვნის „არარატმა“ სლოვაკურ „კოშიცესთან“ 2:3 დათმო ორთაბრძოლა, კიდევ ერთმა სომხურმა კლუბმა, „მიკა აშტარაკმა“ კი, რუმინეთში „რაპიდთან“ 0:3 წააგო.

ერთი ინფორმაცია ლიტვიდანაც. ვილნიუსში იქაური „ჟალგირისი“ პოლონურ „რუხს“ შეხვდა და 2:1 მოუგო. თუმცა შეხვედრას ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. პოლონელ და ლიტველ ფანებს შორის შეტაკება მოხდა. როგორც ვილნიუსის პოლიცია იტყობინება, ჩხუბი დაახლოებით 40 გულშემატკივარმა ატეხა. სამი პოლონელი დაშავდა, მათგან ორი საავადმყოფოში წაიყვანეს, მესამემ კი სამედიცინო დახმარებაზე უარი განაცხადა.

ნიკა შუბლაძე

ლოზანა — კორჯ სიტი 1:0. მასპინძელი დანიელ პუნე (მარცხნივ) და სტუმარი პატრიკ მორლი

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩები. 10 აგვისტო

UEFA CUP

ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 1:0 ნოვა გორიცა (სლოვენია)
1:0 ბუსეინოვი (1)
არარატი (სომხეთი) 2:3 კოშიცე (სლოვაკეთი)
0:1 ბარსეგიანი (15 სკ), 1:1 მიგოიანი (53 პ), 1:2 ლუბარსკი (54), 1:3 ორავეცი (84), 2:3 მესროპიანი (90)
შერიფი (მოლდოვა) 0:0 ოლიმპია (სლოვენია)
კონსტრუქტორული (მოლდოვა) 2:3 ცსკა (ბულგარეთი)
0:1, 0:2 ბერბანოვი (10, 25), 1:2 დრუჭე (30), 2:2 ზაბოლოტნი (83), 2:3 მირჩევი (89)
ჰიკ (ფინეთი) 4:1 გრევენმახერი (ლუქსემბურგი)
1:0 რაფაელი (3), 2:0 როიი (17), 2:1 ჰუსი (56), 3:1 იერემუნკო (78), 4:1 ჰაარალა (83)
სლავია (ბელარუსი) 1:1 მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
0:1 კატანი (47), 1:1 შუტოვი (50)
უნივერსიტატეა (რუმინეთი) 1:1 პობედა (მაკედონია)
1:0 ბაპურა (31), 1:1 ზდრავესკი (88)
ეკრანასი (ლიტვა) 0:3 ლიერსი (ბელგია)
0:1 კლაესი (5), 0:2 ვან მეირე (10 პ), 0:3 კაფენსი (79)
ნაპრედაკი (იუგოსლავია) 5:1 ტულევიკი (ესტონეთი)
1:0, 2:0 ბელიჩი (4, 21), 3:0, 4:0 კოიციჩი (23, 45), 4:1 ულტრიცკი (47), 5:1 კოიციჩი (82 პ)
ტომორი (ალბანეთი) 2:3 აპოელი (კვიპროსი)
0:1 ობიკუ (23), 0:2 შკორიჩი (25), 0:3 იასუმისი (37 პ), 1:3 ლაკო (62), 2:3 ფანი (90)
გაძღვება: ბბოელი — ბეტრუ (32)
ჟალგირისი (ლიტვა) 2:1 რუხი (პოლონეთი)
0:1 ბაელაკი (13), 1:1 საულენასი (32), 2:1 ვილინისკისი (55)
ვენტსპილსი (ლატვია) 2:1 ვაშაში (უნგრეთი)
1:0, 2:0 ლანდირეკი (17, 43), 2:1 შილი (88)
მეტალურგსი (ლატვია) 1:1 ბრანი (ნორვეგია)
0:1 კარადასი (5), 1:1 სოლონიცინი (80 პ)
დრნოვიცე (ჩეხეთი) 3:0 ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)
1:0 ზავადილი (47), 2:0, 3:0 ჩუბაკი (65, 72)
რაპიდი (ავსტრია) 2:0 ტეუტა (ალბანეთი)
1:0 რ. ვაგნერი (51), 2:0 შოეტელი (77)
სლიმა (მალტა) 2:1 პარტიზანი (იუგოსლავია)
1:0 სილა (10), 1:1 ილიჩი (34), 2:1 ბუზუტილი (73)
ვორსკლა (უკრაინა) 2:0 რაბოტნიჩკი (მაკედონია)
1:0 კობზარი (34), 2:0 მელაშჩენკო (65)
აიკ (შვედეთი) 1:0 გომელი (ბელარუსი)
1:0 ტიერნსტრიომი (27)
ომონია (კვიპროსი) 0:0 ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი)
რაპიდი (რუმინეთი) 3:0 მიკა აშტარაკი (სომხეთი)
1:0 იენისი (37), 2:0 მალდარასანუ (40), 3:0 კონსტანტინი (88)
ლოზანა (შვეიცარია) 1:0 კორკ სიტი (ირლანდია)
1:0 ბორიაკი (89)
აკადემისკი (დანია) 8:0 ტორსჰაგენი (ფარერები)
1:0 მიკაელსენი (32), 2:0 იოჰანსენი (45), 3:0 დაუგაარდი (47), 4:0, 5:0 სულე (57, 58), 6:0 რასმუსენი (67), 7:0 ბიური (68), 8:0 მიკაელსენი (69)
ამიცა (პოლონეთი) 3:0 ვადუცი (ლიხტენშტაინი)
1:0 კრიუტალოვიჩი (33), 2:0 დავიდოვსკი (79), 3:0 კროლი (87)
ბრიუგე (ბელგია) 4:1 ფლორა (ესტონეთი)
0:1 სავიბუკი (21 პ), 1:1, 2:1 ფადიგა (41 პ, 54 პ), 3:1 მენდოსა (79), 4:1 ვერპეიენი (83)
გოტუ (ფარერები) 0:2 ნორჩიოპინგი (შვედეთი)
0:1 ბიურსტრიომი (55), 0:2 ბერგსტრიომი (86)
მტკ (უნგრეთი) 1:0 იოკერიტი (ფინეთი)
1:0 ილეში (7)
ფოლგორი (სან მარინო) 1:5 ბაზელი (შვეიცარია)
0:1, 0:2 ჩუგა (10, 20), 0:3 მუფი (38), 0:4 აზიავონუ (60), 0:5 მაგრო (80), 1:5 ზანოტი (81)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 0:0 ვისლა (პოლონეთი)
ბანგორი (უელსი) 0:7 ჰალმსტადი (შვედეთი)
0:1 რ. ანდერსონი (28), 0:2 სვენსონი (30), 0:3 არვიდსონი (43), 0:4, 0:5 სელაკოვიჩი (50, 81), 0:6 კარლსონი (86), 0:7 ბერტილსონი (89)
კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) 1:2 იორგრიტე (შვედეთი)
0:1 ჰემბერგი (8), 1:1 მაკგლაულინი (59), 1:2 იოჰანსონი (80)
კონსტელასიო (ანდორა) 0:10 რაიო ვალეკანო (ესპანეთი)
0:1 მიჩელი (12), 0:2 ლუის სემბრანოსი (27), 0:3 ბოლიჩი (31), 0:4 ბოლო (35), 0:5 ბოლიჩი (39), 0:6 ბოლო (42), 0:7 ბოლიჩი (60), 0:8 მიჩელი (66), 0:9 ბოლიჩი (67), 0:10 ბაბლო სასი (72)
გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) 0:3 ლილესტრიომი (ნორვეგია)
0:1 ბოული (20), 0:2 ბრენსტემი (37 პ), 0:3 სანდგოტი (53)
ჟენესი (ლუქსემბურგი) 0:4 სელტიკი (შოტლანდია)
0:1, 0:2 მორავჩიკი (37, 58), 0:3 ლარსონი (61), 0:4 ბეტა (81)
რიეკა (ხორვატია) 3:2 ვალეტა (მალტა)
აბერდინი (შოტლანდია) 1:2 ბოჰემიანსი (ირლანდია)
1:0 ვინტერსი (62), 1:1 მაპერი (82), 1:2 მოლოი (90პ)
ვესტმანაეიარი (ისლანდია) 0:2 ჰართსი (შოტლანდია)
0:1 სეფერინი (49), 0:2 ჯეფერსონი (67)
ბოავიშტა (პორტუგალია) 2:0 ბერი (უელსი)
1:0 სილვა (21), 2:0 როდერიო (40)

საჭირბოროტო კითხვა - პასუხი

— წელსაც გაქვს რაიმეს იმედი?

— ოო, წელს დიდი იმედი მაქვს.

— ეს რიო კინი ლოთი ყოფილა და რისი იმედი გაქვს?

— ეგ რა შუაშია? ჩერჩილიც წაილოთებდა.

— ხო, მაგრამ, ჩერჩილი აპორნის არ თამაშობდა.

— შენ თუ იმის თქმა გინდა, რომ „ბაიერნმა“ „მანჩესტერს“ მოუგო და ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს...

— ხომ მოუგო.

— როცა უნდა მოეგო, მაშინ წააგო და დაბადების დღეზე, ამხანაგურში რა მნიშვნელობა აქვს?

— კარგად კი გაუჭედა...

— ოჰ, ოჰ. წარმოიდგინე, რომ შენი დაბადების დღეა და მე მოვედი. მოვედი და ვამბობ — მე გამიმარჯოს, მე გამიმარჯოს, მე გამიმარჯოს. რა წესია?

— ეგ რა შუაშია?

— რა შუაშია და „ბაიერნის“ იუბილეზე „მანჩესტერი“ ხო არ მოიგებდა?

— მაინც გაუჭირდება. არავინ უყიდია...

— ვინ უნდა იყიდოს? ყველაზე კარგი ფეხბურთელები ჰყავს.

— მაგალითად ბერგი, არა?

— ნუ, ესე იგი... როგორც წყალი არ დაილევა მდინარეში, ისე თითო ბერგი არ გამოილევა თითო გუნდში.

— კარგი და ფილ ნევილი?

— რა გინდა ფილ ნევილისგან?

— რა უნდა მინდოდეს? ვითომ ფეხბურთელია...

— გინდა ჩამოგითვალო რამდენი ფილ ნევილია თუნდაც „რეალში“, „მილანში“. „ინტერში“, ბიჭო „ინტერში“...

— ენას ძვალი არა აქვს.

— იტოგში, რა გინდა?

— ვინმე უნდა ეყიდათ.

— ბარტეზი ხო იყიდეს...

— ეგ ჯერ კუთხურებზე გამოსვლას მიეჩვიოს.

— დედა, საწყალი...

— და გაზა?

— გაზასგან რა გინდა?

— გაზა მაინც ეყიდათ.

— ეჰ, ათი წლის წინათ...

— ხო?

— ყიდულობდნენ და...

— მერე?

— მერე წამოვიდა მანქანით, გზა აერია და „ტოტენჰემში“ მოხვდა.

— გზა ხომ ბარტეზს აერია? მანჩესტერის მაგივრად ლივერპულში ჩავიდა.

— ეგეც თუ გაზას კვალს გაჰყვა...

— მერე იტირე მოთქმით.

— არა, რას ამბობ? „ლივერპულში“ ვინ მიიღებდა? იქ სხვა ფერის ფრანგები უყვართ.

ინტერიდან ინტერნაციონალში

„ჩელსი“ ინგლისელებს ვერ ყიდულობს

ინგლისი

„როცა ჯანლუკა ვიალი პირველად შემეხმიანა და „ჩელსიში“ გადასვლა შემომთავაზა, მადლობა კი გადავუხადე, მაგამ უარი ვუთხარი. მაშინ უფრო დიდ კლუბში თამაში მსურდა“.

დღეს ამ სიტყვების ავტორი ლონდონშია, ხვალ კი „უემბლიზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შებმას აპირებს: ვიალიმ თავისას მიაღწია და მილანის „ინტერის“ მცველი კრისტიან პანუჩი ერთი წლით ინათხოვრა.

ადვილი მისახვედრია, რომელ დიდ კლუბში სურდა კარიერის გაგრძელება იტალიელ მცველს — ცხადია, „რომაში“, რომელსაც ფაბიო კაპელო თავკაცობს. ეს კაცი იყო პანუჩის მწვრთნელი „მილანში“, მერე მადრიდის „რეალში“. შარშან კი 27 წლის ფეხბურთელს მარჩელო ლიპისთან მუშაობა მოუხდა, რაც სეზონის ბოლოს უთანხმოებით დამთავრდა და ყველა კვლავ კაპელო-პანუჩის მორიგ შეწყვეტებაზე ალაპარაკდა. მითუმეტეს, რომ „რომამ“ ბრაზილიელი მცველის ანტონიო კარლოს ზაგოს გაყიდვა გადაწყვიტა. სწორედ მაშინ დაურეკა ვიალიმ თანამემამულეს, უარი მიიღო, თუმცა მალე გაირკვა, რომ ზაგო რომში რჩებოდა და საქმეც გაიჩარხა.

„კარგი არჩევანი გავაკეთე. პრემიერლიგა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. იმედი მაქვს, ჩემს ძალას კვირასვე დავამტკიცებ“ — ახლა ასე აჭიკჭიკდა პანუჩი, ვისაც „ჩელსიში“ ნახევრადშობლიური გარემო და ერთ დროს თანაკლუბელი, ფრანგი მარსელ დესაი დახვდებიან.

მოკლედ, „ჩელსი“ კვლავ იტალიური ბაზრისკენ იხედება. აბა რა ქნას, როცა შინაურზე არაფერი გამოსდის. აგერ, „ასტონ ვილასა“ და ინგლისის ნაკრების მცველი გარეთ საუთგეიტი მოინდომა, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, ბირმინგემელებმა ფეხბურთის ასოციაციაში იჩივლეს — ჩვენს ფეხბურთელს ჩვენს ზურგს უკან, ანუ უკანონოდ, ეჩალიჩებიანო. „რას ბრძანებთ“ — თავი იმართლა ლონდონელთა დირექტორმა კოლინ ჰჩისონმა — „მაგათ ჯერ კიდევ ივნისში იცოდნენ, რომ საუთგეიტის ყიდვა გვსურდა. ფასიც ვუთხარით, 6 მილიონი გირვანქა, მაგრამ „ასტონ ვილასთან“ დიალოგი შეუძლებელი აღმოჩნდა. ეგენი საერთოდ არ გველაპარაკებიან“.

„ჩელსიშ“ თუ იტალიელი იყიდა, „არსენალი“ მორიგი შავკანიანით გაბედნიერდა — არსენ ვენგერის დაჟინებული თხოვნით კლუბმა ესპანურ „მალიორკას“ 7 მილიონი გირვანქა გადაუხადა და კამერუნელი ნახევარმცველი ლორანი შეიძინა. „თითქმის გადაწყვეტილი მქონდა „რეალში“ გადასვლა. მადრიდელები საუცხო პირობებს მთავაზობდნენ, მაგრამ ამ დრომ ვენგერი შემხვდა, მასთან საუბარმა კი გონება გადამიტრიალა. მან ამიხსნა, რომ ჩემპიონთა თასის მოპოვება სურს და ამისთვის მე ვჭირდები“ — თქვა 23 წლის ფეხბურთელმა. „ბარსელონაში“ გაყიდულ ემანუელ პეტის შემცვლელად მიჩნეულმა ლორანმა „არსენალთან“ ხელი ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა.



კრისტიან პანუჩი ახალ გუნდში, ოღონდ ისევ იტალიელ მწვრთნელთანაა

დიდი შემთხვევითობაა, უოდლის ფოტო შავ ჩარჩოში რომ არაა

ნასამ ლონდონური გრანდები უცხოელებით ივსებიან, „ევერტონი“ და მისი მწვრთნელი უოლტერ სმიტი მობერებულ ექს-ვარსკვლავებს უყრიან თავს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ 20 თვიანი განწორების შემდეგ გუნდში, შესაძლოა, შოტლანდიელი დანკან ფერგიუსონი დაბრუნდეს. მართალია, „ნიუკასლის“ თავკაც ბობი რობსონს სულაც არ სურს 28 წლის თავდამსხმელის გაყიდვა, მაგრამ კლუბის საბჭო თავის დროზე 8 მილიონად ნაყიდი სქოთის უკან ხუთ მილიონად დაბრუნებაზე დათანხმდა. ეტყობა, ამ ოც თვეში გატანილი 12 გოლი მეტად მცირე კომპენსაცია გამოდგა კლუბისთვის, რომელიც შოტლანდიელს თვით ალან შირერზე მეტს უხდიდა — კვირაში 40 ათას გარვანქას. ასეა თუ ისე, „ევერტონში“ მოკალათებულ ერთ გიუმაუს, პოლ გასქოინს, მალე ალბათ მეორეც დაემატება: ხუთიოდ წლის წინ ფერგიუსონმა ისე იჩხუბა, რამდენიმე თვით თავი ციხეში ამოჰყო.

რაც შეეხება შირერს, მისი მუხლის ტრავმა არც ისე სერიოზული გამოდგა, როგორც ეჭვობდნენ და ახლა ფეხბურთელი გულმოდგინედ ემზადება თავისი 30-ე წლისთავის აღსანიშნავად — 20 აგვისტოს „ნიუკასლი“ ქვეყნის ჩემპიონთან მატჩით ხსნის პრემიერლიგის ახალ სეზონს და თავის იუბილეზე შირერი „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარის „დასველებას“ შეეცდება.

„ლივერპული“ კი სეზონს წინა დღით, 19 აგვისტოს „ბრედფორდ სიტის“ მასპინძლობით დაიწყებს. გუშინწინ ჟერარ ულიეს გუნდი ნორვეგიაში გახლდათ, სადაც „ვალერენგასთან“ 1:1 ითამაშა, მერე კი პენალტებით 2:4 წააგო. თუმცა ფრანგი მწვრთნელი შედეგმა კი არა, მორიგმა ტრავმამ გაანაწყენა — ამჯერად შვეიცარიელი სტეფან ენჩოსი დაზარალდა და აქამდე ტრავმირებულების დიდ ჯგუფს (ფაულერი, ჰესკი, მატეო, ტაიორე, ჯერარდი, რედნაპი) შეუერთდა. ეგ კი არა, გერმანელი მარკუს ბაბელი და ფინელი სემი ჰიიპიაც კოჭლობით ტოვებდნენ ნორვეგიულ სარბიელს, მაიკლ ოუნი კი ერთ მომენტში თავით შეეტაკა მეტოქეს და ისიც შესაცვლელი შეიქნა. ამათი ამბავი კვირისთვის გაირკვევა, როცა „ლივერპული“ ბოლო საწვრთნელ მატჩს მშობლიურ „ენფილდ როუდზე“ იტალიურ „პარმასთან“ გამართავს. ამ შეხვედრის პირდაპირი ტრანსლაცია „ევროსპორტს“ აქვს დაგეგმილი.

ბოლოს კი, ტრადიციულად, ინგლისში მომხდარ მორიგ ფათერაკზეც ვთქვათ. სიკვდილს გადაურჩა ეროვნული გუნდის, „ტოტენჰემისა“ და „შეფილდ უენსდეის“ ყოფილი ვარსკვლავი კრის უოდლი, რომლის 1986 წელს თბილისში გატანილი გოლიც (სსრკ — ინგლისი 0:1), ალბათ, გემახსოვრებათ. მავანი ალისონ ჰაბარდი, ორი შვილის დედა, საკუთარი მანქანით და 160 კმ/სთ სიჩქარით შეასკდა უოდლის BMV-ს და ეს უკანასკნელი (ანუ მანქანა) გვარიანად დაჭმუჭნა. „საოცარია, ამ მანქანის ჰატრონი რომ გადარჩა“ — უთქვამს შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელს. გაირკვა, რომ ქალბატონი ჰაბარდი, ვისაც ადრე ლოთიანი ტარებისთვის ორი წლით „დისკვალიფიკაცია“ ჰქონდა მიღებული, ამჯერადაც შეზარხოშებული იჯდა საჭესთან

39 წლის კრის უოდლის პირველი სიტყვები სასამართლოში ასეთი იყო: დიდი შემთხვევითობაა, ახლა აქ რომ ვარ...

გიგა კოგბახიძე

ფეხბურთის რუბანთან

ხორვატიის ნაკრების მწვრთნელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა გუნდში ვეტერანი რობერტ პროსინეჩკის დაბრუნება განიზრახა. „ცრვენა ზვეზდას“, მადრიდის „რეალისა“ და „ბარსელონას“ ყოფილ ფეხბურთელს, რომელმაც სანაკრებო კარიერა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა, ჯერჯერობით არ განუცხადებია, დაბრუნდება თუ არა ეროვნულ გუნდში. თუმცა ხორვატული სააგენტოები იუწყებიან, რომ პროსინეჩკი ალბათ დათანხმდება და შესაძლოა სლოვაკებთან ამხანაგურ შეხვედრაშიც ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ პროსინეჩკი ცოტა ხნის წინ ზაგრების „დინამოდან“ წავიდა და თამაში გაცილებით სუსტ კლუბში გააგრძელა.

საფრანგეთის 18-წლამდელი ნაკრებისა და „ოსერის“ მეკარემ ჟერომ სობალსკიმ ტრავმა მიიღო და კლუბს რამდენიმე კვირას ვერ დაეხმარება. სობალსკი საფრანგეთში პერსპექტიულ მეკარედ ითვლება, „ოსერში“ კი ის ჯერჯერობით სათადარიგოთა შორისაა. საფრანგეთის მორიგ ტურში „ბასტიის“ წინააღმდეგ ალბათ ფინელი ნახევარმცველი ტეემუ ტაინიო ვერ ითამაშებს, მას ტრავმა აწუხებს.

ჩრდილოირლანდიელმა ნახევარმცველმა ნილ ლენონმა „ლესტერთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელს „ასტონ ვილაში“ და გლაზგოს „სელტიკშ.“ იწვევდნენ, მაგრამ მან „ლესტერში“ დარჩენა არჩია. „მოლაპარაკებას რამდენიმე კვირას ვაწარმოებდით. ბოლოს კლუბში დარჩენა გადავწყვიტე, მწვრთნელმა პიტერ ტეილორმა ამიხსნა, რომ ვჭირდები და მისი მომავალი გეგმები ჩემს გუნდში ყოფნას ითვალისწინებს“ — განაცხადა 29 წლის ლენონმა, რომელსაც თურმე „სელტიკის“ თავკაცი მარტინ ონილი იწვევდა თავისთან. ეს სპეციალისტი გლაზგოში სწორედ „ლესტერიდან“ გადავიდა.

ფრანგულ „პარი სენ ჟერმენს“ მალე ტრავმირებული ჯიმი ალჟერინო დაუბრუნდება. ფეხბურთელი თებერვალში დამავდა და მას შემდეგ ველარ თამაშობდა. ვარაუდობენ, რომ 28 წლის ალჟერინო კვირას „სედანის“ წინააღმდეგ ითამაშებს, თუმცა ფორმის სრულ აღდგენამდე მას კიდევ ბევრი უკლია. „მიხარია, თამაშს რომ შევძლებ, თუმცა ვგრძნობ, ჩვეული ფორმიდან შორს ვარ, რის აღდგენასაც მხოლოდ თამაშით შევძლებ“ — განაცხადა ალჟერინომ.

ამხანაგური მატჩები

გერმანია — ესპანეთი

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ ის 18 ფეხბურთელი დაასახელა, რომელთაც 16 აგვისტოს გერმანელებთან თამაში მოუწევთ.

შემადგენლობას თუ გადავხედავთ, თვალნათლივ ჩანს, რომ ევრო 2000-ზე მოთამაშე გუნდისგან პრაქტიკულად აღარაფერი დარჩა.

ნორვეგიასთან გაშვებული უპატიებელი გოლი ხოსე ფრანსისკო მოლინას, როგორც ჩანს, ნაკრებიდან საბოლოოდ მოკვეთად დაუჯდა. აი, სატიაგო კანიარესის და იკერ კასილიასის შემადგენლობაში არ შეყვანა ერთგვარ მოულოდნელობად იქცა. მათ ნაცვლად კამაჩომ „ვალიადოლიდიდან“ „რეალში“ გადასული სესარ სანჩესი და ოვიედოელი ესტებანი იხმო.

საევროპო შემადგენლობიდან მწვრთნელმა ასევე აღარ მიიწვია მიჩელ სალგადო, სერხი, აუგუსტინ არანსაბალი, ვისენტე ენგონგა, ხუან კარლოს ვალერონი, ფრანი, პედრო მუნიტისი, ალფონსო და ისმაელ ურსაისი. ტრავმის გამო ნაკრებს გამოაკლდა კაპიტანი ფერნანდო იერო და ივან ელგერა.

როგორც ვხედავთ, ცვლილებები მართლაც ძალიან ბევრია, თუმცა ასპროცენტიანი ახალწვეულები მხოლოდ დეპორტივოელი მანუელ პაბლო და მეკარე ესტებანი არიან. დანარჩენებს ნაკრების მაისურა ერთხელ მაინც ცმიათ.

აღსანიშნავია, რომ ნაკრების შემადგენლობებიდან სხვადასხვა მიზეზით ხუთი „რეალის“ ამოვარდნის მიუხედავად, იქ ხუთი მადრიდელი მაინც დარჩა.

შემადგენლობა:

მეკარეები: სესარ სანჩესი (რეალი), ესტებანი (ოვიედო);

მცველები: აბელარდო ფერნანდესი (ბარსელონა), ხუანფრანი, ხუან ველასკო (ორივე სელტა), მანუელ პაბლო (დეპორტივო), ივან კამპო (რეალი), პაკო ხემესი (სარაგოსა);

ნახევარმცველები: ხოსეპა ეჩებერია (ბილბაო), ხერარდ ლოპესი, ხოსეპ გვარდიოლა (ორივე ბარსელონა), ვიქტორ სანჩესი (დეპორტივო), ხოსე მარია გუტი (რეალი), ფრანისკო რუფეტე (მალაგა), გაისკა მენდიეტა (ვალენსია);

თავდამსხმელები: დანი გარსია (ბარსელონა), ფერნანდო მორიენტესი, რაული (ორივე რეალი)

პორტუგალია — ლიტვა

პორტუგალიისა და ლიტვის ნაკრებების ამხანაგური მატჩი იმითაც არის საინტერესო, რომ ერთი ჩვენი მომავალი მეტოქეა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ხოლო მეორეს ევროპის ჩემპიონატის მერე ახალი მწვრთნელი ჰყავს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ანტონიო ოლივეირა უმბერტო კოელიუს გზის გამგრძელებელია, პორტუგალიის ნაკრებში ახალი ფეხბურთელების მიწვევა[1]. არ აპირებს და იმათ ენდობა, ვინც ბელგია-ჰოლანდიაში ნახევარფინალამდე მიაღწია.

ლიტვასთან შეხვედრაში ოლივეირას სამი იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუხდება. გეხსომებათ, საფრანგეთთან დარმატული მატჩის შემდეგ უეფამ ნუნუ გომეშს, აბელ შავიერსა და პაოლუ ბენტუს გრძელვადიანი დისკვალიფიკაცია მისცა, თუმცა სასჯელის ვადის გასვლის შედეგ ეს ფეხბურთელები ნაკრებს კვლავ დაუბრუნდებიან, მათ არყოფნაში კი ნაკრებში სიმაო ბარბოზა მოხვდა.

აღსანიშნავია, რომ ლიტვასთან ამხანაგური შეხვედრა პორტუგალიის ნაკრებისთვის ერთადერთი იქნება მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე, პირველი მატჩი პორტუგალიელებს 3 სექტემბერს ესტონეთის წინააღმდეგ უწევთ.

შემადგენლობა:

მეკარეები: ვიტორ ბაია (ბარსელონა, ესპანეთი), პედრო ეშპინია (პორტუ), ჟოაკიმ სილვა კიმი (ბრაგა);

მცველები: ჟორჟე კოშტა, კარლუშ სეკრეტარიუ, ფერნანდუ ნელსონი (ყველა პორტუ), რუი ჟორჟე, მანუელ დიმში, რობერტუ ბეტუ (ყველა სპორტინგი), ფერნანდუ კოუტუ (ლაციო, იტალია);

ნახევარმცველები: ჟოზე ვიდიგალი (ნაპოლი, იტალია), პაულუ სოუზა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ლუიშ ფიგუ (რეალი, ესპანეთი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა, იტალია), სერჟიუ კონსეიასუ (პარმა, იტალია), კოშტინია (მონაკო, საფრანგეთი), სიმაო სარბოზა (ბარსელონა, ესპანეთი);

თავდამსხმელები: ჟოაუ პინტუ რიკარდუ ზა პინტუ (ორივე სპორტინგი), პედრო პაულეტა (დეპორტივო, ესპანეთი)

საფრანგეთის I დივიზიონი 2000-2001. ყველა გუნდის განაცხადი

მონაკო

მეკარეები
1 სტეფან პორატო 27
16 ანდრე ბიანკარელი 29
29 პატრის ბერნარდი 20
30 ჟან-მარი ობრი 31

მცველები
2 პაბლო კონტრერასი 22
3 იონ არნე რიისე 20
4 რაფაელ მარკეში 21
5 ფილიპ კრისტენვალი 21
6 მარტინ ჯეტუ 25
15 ფრანკ ჟურიეტი 25
17 ფილიპ ლეონარი 26
19 დავიდ დი ტომასო 21
23 ბრუნო ირლი 23
27 ჟულიენ როდრიგესი 21

ნახევარმცველები
7 ჟოზე და კოშტა კოშტინია 26
8 ლუდოვიკ ჟიული 23
9 ქსავიე გრაველენი 32
10 მარსელო გალიარდო 24
12 უსმან დაბო 23
21 პონტუს ფარნერუდი 20
22 ნიკოლა ბონალი 23
26 იულიანო კურვილი 22

თავდამსხმელები
11 მარკო სიმონე 31
14 ვანიო ელუა 26
18 შაბანი ნონდა 23
20 დადო პრსო 26

მწვრთნელი: კლოდ პიუელი

პარი სენ ჟერმენი

მეკარეები
1 დომინიკ კასაგრანდე 29
16 ლიონელ ლეტიზი 27

მცველები
2 ფაბრის კელბანი 21
3 გრეგორი პესლი 23
4 ტატალ ელ კარკური 23
6 გოდვინ ოკპარა 27
15 ერიკ რაბესანდრატანა 27
17 ჯიმი ალჟერინო 28
21 სილვენ დისტენი 22
22 იგორ იანოვსკი 26
26 ალიუ სისე 24

ნახევარმცველები
5 პეტერ ლუქსენი 20
8 ალი ბენარბია 32
10 აუგუსტინ ოკოჩა 26
12 სტეფან დალმა 21
14 ფაბრის აბრიელი 21
20 ედუა სისე 22
23 პიერ დიუკრო 23
29 ნიკოლა ფაბიანი 19

თავდამსხმელები
7 კრისტიანი 25
9 ნიკოლა ანელკა 21
11 ლორან რობერი 25
18 კაბა დიავარა 24
19 ლორან ლერუა 24
27 გაელ ირუ 20

მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო

ლიონი

მეკარეები
1 გრეგორი კუპე 27
30 ანჟელო იუგი 34

მცველები
2 ერიკ დეფლანდრე 27
3 პატრის კარტერონი 30
4 ფლორან ლავილი 27
5 იაცეკ ბაკი 27
12 სერჟ ბლანი 27
19 ჟან-მარკ შანელე 32
20 პატრიკ მიულერი 23
26 ჟერემი ბრეშე 20

ნახევარმცველები
6 ფილიპ ვიოლო 29
8 პიერ ლეგლი 29
10 ვიკაშ დორასო 26
15 კრისტოფ დელმოტი 30
17 მარკ-ვივიენ ფოე 25
18 სტედ მალბრანკი 20
22 დავიდ ლინარესი 25

თავდამსხმელები
7 სტივ მარლე 25
9 სონი ანდერსონი 29
11 ტონი ვერელი 26
14 სიდნი გოვუ 22

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

ბორდო

მეკარეები
1 ფრედერიკ რუ 27
16 ულრიხ რამე 27

მცველები
2 დავიდ ჟემალი 25
4 ნიშა საველიჩი 30
5 ჟერომ ბონისელი 28
15 დავიდ სომეი 25
19 ბრუნო ბასტო 22
20 ლორან ბატლე 24
21 კოდჯო აფანუ 21
24 ერვე ალიკარტე 26
ფრანსუა დიუბურდო 20

ნახევარმცველები
7 მიშელ პავონი 32
8 ალექსი სმერტინი 24
12 სილვენ ლეგვინსკი 27
14 ფრანსუა გრენე 25
17 ბრუნო და როშა 22
18 ლასინა დიაბატე 25
23 ნიკოლა სანუნი 20
25 მატიე ბედა 19
29 მარკ ვილმოტსი 31
ჯუზეპე კოლუჩი 22

თავდამსხმელები
9 ლილიან ლასლანდი 29
11 სილვენ ვილტორდი 25
26 კრისტოფ დიუგარი 28
27 პასკალ ფეინდუნო 19
33 ერვე ბიუნე 18

მწვრთნელი: ელი ბოპი

ლანსი

მეკარეები
1 გიიომ ვარშუზი 30
16 სებასტიან შაბერი 21
30 სედიკ ბერტელენი 23

მცველები
2 ერიკ სიკორა 32
4 ფრანკ დიუმა 32
14 ფერდინანდ კოლი 26
19 პატრიკ ბარული 23
23 ადამა კულიბალი 19
24 ჟოზე პიერ-ფანფანი 25
25 ვალერიან ისმაელი 24
28 ფრანკ კედრიუ 21
ერნესტ ეჩი 25

ნახევარმცველები
5 ჟოსლინ ბლანშარი 28
6 სირილ რული 25
7 მიკაელ დებერი 30
10 დანიელ მორეირა 23
15 რადეკ ბეიბლი 27
21 ანტუან სიბირსკი 26
27 შარლ-ედუარ კორიდონი 26
რუდი ზეიტუნი 21
რედუან ელ უარდი 18

თავდამსხმელები
11 ელჰაჯი დიუფი 19
12 ესტებან ფუენტესი 27
18 ფილიპ ბრუნელი 27
20 ლამინ საკო 2

მწვრთნელი: როლან კურბისი

სენტ ეტიენი

მეკარეები
1 ჟერომ ალონზო 27
16 მაქსიმ ლევიცკი
30 ჟერემი ჟანო 22

მცველები
2 ალან ოლესენი 26
4 ლიონელ პოტიონი 25
6 ბიორნ ტორე კვარმე 28
19 სილვენ მესლიანი
23 სტეფან ერნანდესი 20
25 ლუსიენ მეტომო 23
26 ჟან-ბი ვალემი 32

ნახევარმცველები
5 ალენ მასუდი ეკაკანგა 21
7 ჩირესუა გუელი 24
8 ფაბიენ ბუდარენი 22
10 სტეფან პედრონი 29
11 კარიმ ფელაი 25
13 ალასან ნდური
15 პაპე სარი 23
17 ლორან უარი 26
27 ჟულიენ საბლი 19

თავდამსხმელები
9 ალექსანდრ პანოვი
12 ალუზიო 25
14 ლოიკ შავერია 23
20 პატრიკ რეველი 31
21 ალექსი 28
22 კრისტოფ სანჩესი 28

მწვრთნელი: რობერ ნუზარე

ოსერი

მეკარეები
1 ფაბიენ კული 27
16 რონან ლე კრომი 26
30 ჟერემი სოპალსკი 19

მცველები
2 ტომაშ კლოსი 27
3 სირილ მანიე 30
4 ჟან-ალენ ბუმსონგი 20
5 პედრო რეიესი 27
6 ფილიპ მექსი 18
12 ჟოსეფ ასატი 25
13 ჟან სებასტიან ჟორე 22
15 ფრედერიკ ჟეი 23
21 იოან რადე 23
24 უმარ დინგი 27
26 ჟან-ნოელ პერიე დუმსი 21

ნახევარმცველები
7 პიერ დებლოკი 27
8 კუამი აგბო 22
11 ალექსანდრ კომიზეტი 27
14 სირილ ჟენშანი 24
17 ამდი ფეი 22
20 სტეფან კარნო 27
22 ლიონელ მატისი 19
27 ფრანსუა სერიექსი 20

თავდამსხმელები
9 სტეფან გივარში 30
10 ტეემუ ტაინიო 20
18 ჯიბრილ სისე 18
19 ნიკოლა მარენი 19
23 ნარსის ოლივიე კაპო ობუ 19
25 დავიდ ვანდენბოში 19
29 ჟერომ ლემპერერი 27

მწვრთნელი: დანიელ როლანი

სედანი

მეკარეები
1 ნიკოლას საში 32
16 პატრიკ რენიო 26

მცველები
2 ჟან-ლუი მონტერო 29
3 ლუი სატორა 30
4 ედი კაპრონი 29
5 ედუარდო ოლივეირა 27
12 ფაბიენ ბრანდი 28
18 სედრიკ ელზეარი 25
19 ჟერომ ანრო 22
24 პასკალ გურვილი 24
28 კრისტოფ ჟუო 25

ნახევარმცველები
6 მაჯიდ აჯაუ 28
14 სალიფ დიაო 22
15 ერიკ კროსნიე 27
17 მატიე ვერშეერი 28
25 ჟერომ ფრეტარი 25

თავდამსხმელები
7 მუსა ნდიაი 21
8 ოლივიე კენი 29
9 ფილიპ სელდრანი 27
11 პიუს ნდიეფი 25
20 სედრიკ მიონე 26
21 ალექს დი როკო 29
22 ქსავიე ბეკა
ტონი ბრონო 27

მწვრთნელი: ალექს დიუპონი

სტრასბური

მეკარეები
1 ტიერი დეგე 26
16 კრისტოფ ეუიმენი 23

მცველები
2 პიერ ნჯანკა 25
3 ჟან კრისტოფ დევო 25
5 ტედი ბერტენი 31
7 მამადუ ბაკაიოკო 21
14 მალიკ დიოპი 25
17 გარიბ ამზინი 27
18 ალექსანდრ ნუნო მენდესი 24
24 იანიკ ფიშერი 25
28 დანი კანტე 24

ნახევარმცველები
4 იბრაჰიმ ჰემდანი 22
6 პასკალ ჟოანსენი 21
10 კორენტინ მარტენსი 30
12 დიეგო-ეკტორ გარეი 25
15 ჟოზეფ სირილ ნდო 24
20 ვენსან დუკანტი
21 რაფიკ მეზრიში 22
22 ფაბრის ერე 20
23 აბიბ ბეი 22
25 სტეფან როდა 27
29 იასინ აბდესადკი 19

თავდამსხმელები
8 პეგი ლუინდულა 21
9 დანიელ ლიუბოია 22
11 ჟაკ რემი 28
13 გონსალო ბელოსო 26
19 მარიო ჰაასი 26
26 პასკალ კამადინი 28
27 დავიდ ზიტელი 31
33 დენი კონტე 24

მწვრთნელი: კლოდ ლე რუა

ბასტია

მეკარეები
1 ერიკ დიურანი 34
16 ალი ბუმნიჟელი 34
30 ნიკოლა პენეტო 19

მცველები
2 პატრიკ ვალერი 31
3 მორლეი სუმა 29
4 დემეტრიუს ფერეირა 26
5 კრისტოფ დეგერვილი 30
12 პატრიკ მორო 27
20 ლორან კაზანოვა 24
22 ჟოზე კლეიტონ რიბეირო 26
25 სტეფან ოდე 23

ნახევარმცველები
6 ლილიან ნალი 28
7 პიოტრ სვიერჩევსკი 28
10 იან ლაშუერი 27
13 დავიდ მაზონსინი 28
14 ფრედერიკ მენდი 26
17 ფრანკ მატინგუ 21
24 პოლ ესოლა 18
29 პასკალ ვერენგერი 19

თავდამსხმელები
8 დან პეტერსენი 28
9 ფრედერიკ ნე 25
11 პიერ-ივ ანდრე 26
18 დეი პრენსი 21
19 პიერ ლორანი 29
21 სირილ ებოკი პო 20
27 უსმან სუმა 24

მწვრთნელი: ფრედერიკ ანტონეტი

მეცი

მეკარეები
1 ფარიდ მონდრაგონი 29
16 დავიდ კლეინი 26

მცველები
2 პასკალ პიერი 32
3 ფილიპ გაიო 35
4 სებასტიან შემელი 25
5 სილვენ კასტენდოში 36
14 ჟოფრეი ტუაი 27
18 სილვენ მარშალი 19
21 ოსვალდო კონდი 22
23 სტეფან ბორბიკონი 21
26 დავიდ რეჟისი 32

ნახევარმცველები
6 მარიო ესპარტერო 22
7 ლუდოვიკ ასუარი 23
8 კრისტოფ ბასტიენი 23
10 ფრედერიკ მეირო 31
12 გრეგორი პრომანი 21
13 გიუნტერ ვან ჰანდენჰოვენი 21
19 სტეფან მორიზო 21
24 არიკ ასლი
25 დენი ბოფინი 34
28 იუნ დიანი 22

თავდამსხმელები
9 სერგეი სკაჩენკო 27
15 ნენად იესტროვიჩი 23
20 ჯონათან ჟაკერი 22
27 ჟერალ ბატიკლი 30

მწვრთნელი: ჟოელ მიულერი

ნანტი

მეკარეები
1 მიკაელ ლანდრო 21
16 ვილი გრონდენი 25
30 ჟერემი გი 19

მცველები
2 ნესტორ ფაბრი 32
3 ნიკოლა ლასპალი 28
4 მარიო ფერნანდო სილვა 23
5 ნიკოლა ჟილე 24
21 პასკალ დელომო 21
24 ივ დეროფი 21
28 ჟონ გოპ-ფენეპე 21

ნახევარმცველები
6 სალომონ ოლემბე 19
10 ერიკ კარიერი 27
12 სებასტიან პიოსელი 21
13 მატიე ბერსონი 20
14 მედი ლერუა 22
15 ნიკოლა სავინო 24
20 შარლ დევინო 21
22 სილვენ არმანი
23 სებასტიან მასი 21
26 გორან რუბილი 18
29 სტეფან ზიანი 28

თავდამსხმელები
7 ალიუნ ტურე 21
8 ფრედერიკ და როშა 25
9 ვიორელ მოლდოვანი 28
17 ასან ამადა 19
18 ოლივიე მონტერუბიო 24
19 მარამა ვაირუა 19
25 მირზა მეშიჩი 20
27 პიერ არისტუი 20

მწვრთნელი: რეინალდ დენუე

რენი

მეკარეები
1 ბერნარ ლამა 37
30 ფაბიენ დებეკი 24

მცველები
3 ზურე პრიმორაკი 18
4 სეზარი 24
6 დომინიკ არიბაჟე 28
13 ლამინ დიატა 25
17 ჟულიენ ესკუდე 20
21 ანტონი რევეიერი 20
25 კრისტიან ბასილა 23
სტივ პელე 18
ჟან-ფელიქს დოროთე 19

ნახევარმცველები
5 ოლივიე ეშუაფნი 27
7 იოან ბინი 22
10 ჟოსელინ გურვენეკი 28
15 სტეფან გრეგუარი 32
22 მახტარ ნდიაი 18
23 ფრანკ გავა 30
29 პერეირა ვანდერი 25
კრისტოფ ლე რუ 31
გაელ დანიკი 18

თავდამსხმელები
9 სედრიკ ბარდონი 23
11 მარიო ეტორ ტურდო 21
12 მიკაელ სიტონი 19
14 ფილიპ დელეი 25
18 ლუიშ კლემენტე ფაბიანო 19
19 სეევერინო ლუკაში 21
24 მიკაელ ბელი 22
28 სირილ შაუი 21

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

მარსელი

მეკარეები
1 სტეფან ტრევიზანი 26
16 დამიან გრეგორინი 21
ლორან სპინოზი 30

მცველები
2 პატრიკ ბლონდო 32
3 მანუელ დოს სანტუში 26
4 პიერ ისა 24
5 ბრუნო ნგოტი 29
15 სებასტიან პერესი 26
17 ჟან-კრისტოფ მარკე 26
18 აბდულეი შეიტი 20
20 ზუმანა კამარა 21
23 უილიამ გალასი 22
27 ჟაკ აბარდონადო 22
ლილიან მარტენი 29

ნახევარმცველები
6 კლას ინგესონი 31
8 ფრედერიკ ბრანდო 26
10 კარლოს სოუზა ადრიანო 22
13 ჟერომ ლერუა 26
19 ჟამელ ბელმადი 24
25 მიკაელ მარსილია 24
დანიელ მონტენეგრო 21

თავდამსხმელები
9 ფლორიან მორისი 26
11 სირილ პუჟე 27
26 სედრიკ მურე 21
28 იბრაიმ ბაკაიოკო 23
პაბლო კალანდრია 19
გიიომ დეშანი 21
დოს სანტუშ მარსელინო 20

მწვრთნელი: კარლოს აბელი

ტრუა

მეკარეები
1 ტონი ერტებისი 24
16 ერვე სეკლი
30 ედი ერლი 22

მცველები
2 ლუსიანო სავანიო 23
3 პასკალ რენიე 29
4 მედი მენირი 23
5 ოლივიე ფუჟანი 29
6 რიშარ ჟეზიერსკი 29
15 სამბა დიავარა 22
20 ედუარ ტომასი 28
21 მოამედ ბრაჯა 30
22 იანიკ ზამბერნარდი 22
23 დავიდ ამედი 26
24 სეკუ ბერტე 22
26 კარლ ტურენი 28

ნახევარმცველები
10 ფრედერიკ არპინო 30
14 ფრედერიკ ადამი 27
17 ჟერომ მონიე 29
25 ჟერომ როტანი 22
29 ფაბიო სელესტინი 24

თავდამსხმელები
7 ნორდენ ჟბარი 25
8 სამუელ ბუტალი 30
9 ფარიდ გაზი 26
11 სლადან ჯუკიჩი 33
13 ნიკოლა გუსე 24
18 რაფი საიფი 25
19 დამბალა მენდი 24

მწვრთნელი: ალენ პერენი

გენგამი

მეკარეები
1 ერიკ ლუსუარი 25
16 რონალ ტომასი 26
30 ჟერარ განუანი 20

მცველები
2 ჟერომ ფულონი 29
3 მორტენ ნილსენი 29
4 მარეკ იუჟვიაკი 32
5 პიერ-ემანუელ ბურდო 25
18 ჯონათან ჟუზეფოგუსტენი 19
19 უბერ ფურნიე 33
20 რომენ ფერიე 24
23 ორიოლ გიომი 20
24 ლორან გიო 30

ნახევარმცველები
6 კლოდ მიშელი 29
7 ედვინ ვან ანკერენი 25
8 იანიკ ბარე 27
9 სილვენ დეპლასი 28
10 აბდელაფიდ ტასფაუ 31
12 სილვენ პრა 26
13 ფაბრის კოლო 23
14 ლორან ერვე 24
17 დავიდ რომო 22

თავდამსხმელები
11 ფაბრის ფიორეზე 25
15 სამუელ მიშელი 28
21 ბრუნო როდრიგესი 27
ფაბრის პანკრატი 20

მწვრთნელი: გი ლაკომბი

ტულუზი

მეკარეები
1 კრისტოფ რეგო 28
16 ალენ გუამენი 34
29 დამიენ რასკლი 20
30 ფაბიენ ოდარი 22

მცველები
2 სედრიკ ურა 22
3 უილიამ პრუნიე 33
4 დიანბობო ბალდე 24
7 სტეფან ლიევრი 27
14 ბრუნო კაროტი 27
17 ნიკოლა პავიო 25
23 ჟულიენ ბოდე 21
25 ამადა ჟამბეი 25
28 ლუი გომი 29

ნახევარმცველები
6 ჟან-კრისტოფ რუვიერი 26
8 ვლადიმირ პეტროვიჩი 28
10 ტიერი მორო 33
12 ალფრედო რაულ კასინი 29
13 პატრის მორელი 21
19 ხოსე ხავიერ ბარკერო 21
20 მედი ნაფტი 21
21 ლორან კურტუა 21
22 ნიკოლა სები 20
26 ფაბრის ჟო 22
27 დარიო კაბროლი 28
დერეკ მაკინესი 22

თავდამსხმელები
5 ეფენ დადი 20
9 ვიქტორ მანუელ ბონილა 29
11 ნიკოლა დიეზი 21
15 აულიდ რეგრაგი 24
18 სამუელ იპუა 27
24 მარკ ლიბრა 28
ამედ მაარზი 20

მწვრთნელი: ალენ ჟირესი

ლილი

მეკარეები
1 გრეგორი ვიმბე 28
16 ტედი რიშერი 25
30 ერიკ ალიბერი 30
გრეგორი ლეგრანი 25

მცველები
3 პასკალ სიგენი 26
4 აბდელილა ფამი 27
6 კრისტოფ პინიოლი 30
20 დიდიე სანტინი 32
21 ჯონი ეკერი 27
23 მატიე დელპიერი 19
რიად ამადუ 24

ნახევარმცველები
8 პატრიკ კოლო 33
9 ედვინ მიურატი 24
11 ჟან-ლუი ვალუა 26
12 ტედ აგასონი 26
18 სტეფან პიშო 24
22 ბენუა შეირუ 19
24 კრისტოფ ლანდრინი 23
25 სილვენ ნდიეი 24
27 ფერნანდო დამიკო 24
28 ბრუნო შეირუ 21

თავდამსხმელები
5 მიქაელ ბეკი 26
7 ლორან პეირელადი 30
10 დაგი ბაკარი 26
15 ჯეზონ ბუტუა 24
ჟოფრეი დერნი 19

მწვრთნელი: ჟაჰიდ ჰალილოვიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

F1

მეთორმეტე ეტაპი **უნგრეთის დიდი პრიზი**

ჰუნგარორინგი

ბუდაპეშტი, 13 აგვისტო



ბრასის სიგრძე ..... 3.975 კმ
რბოლის დისტანცია ..... 77 წრე — 306.075 კმ

რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე

შარშანდელი შედეგები

1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 კულჰარდი (მაკლარენი); 3 ირვინი (ფერარი); 4 ფრენცენი (ჯორდანი); 5 ბარიჩელო (სტიუარტი); 6 ჰილი (ჯორდანი)

კვალიფიკაცია: ჰაკინენი (მაკლარენი) 1:18.156

წინა წლების გამარჯვებულები

1990 — ბუტსენი (უილიამსი); 1991, 1992 — სენა (მაკლარენი); 1993 — ჰილი (უილიამსი); 1994 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1995 — ჰილი (უილიამსი); 1996, 1997 — ვილნევი (უილიამსი); 1998 — მ. შუმახერი (ფერარი)

საუკეთესო წრე: 1992 — მენსელი (უილიამსი) 1:18.308

მიხაელ შუმახერს ფინიში მოეენატრა

დევიდ კულჰარდი

ბუდაპეშტის გარეუბანში წარმოუდგენლად მოკლე ვადაში — სულ რაღაც ათიოდე თვეში ააგეს ყოფილ სოციალისტურ ბანაკში პირველი და დღემდე ერთადერთი საფორმულო ავტოდრომი. ერთი კია, სარბოლოდ შერჩეული ადგილი უნაკლო ვერ გამოდგა — ტრიალ მინდორზე ხშირია ქარი, რაც მახლობელი გორაკებიდან ტრასას მტვრითა და კენჭებით ავსებს, ეს კი ისედაც ჩახლართულ წრეზე პილოტებს სამუშაოს კიდევ უფრო უმძიმებს. ამიტომაა, რომ უმეტესობას მაინცდამაინც არც ეხალისება „ჰუნგარორინგზე“ ჯირითი.

1986 წლის 10 აგვისტოს გათამაშებული უნგრეთის პირველი დიდი პრიზი ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ („უილიამსი“) დაისაკუთრა, სამი მოგებით კი რეკორდსმენია მისი ლეგენდარული თანამემამულე აირტონ სენა, რომლის ანგარიშზე ოთხი მეორე ადგილიცაა. „ჯადოქარი“ ზედიზედ შვიდჯერ იდგა პოდიუმზე და 53 ქულის დაგროვებაც მოასწრო. შვიდი წლის წინანდელი ყველა ეს მაჩვენებელი ამჟამადაც „ჰუნგარორინგის“ მიღწევებად რჩება.

სამეფო რბოლებში ოთხ კილომეტრზე მოკლე სულ ორი ტრასაა — მონტე კარლოსი და ბუდაპეშტისა. აზარტული გართობის დედაქალაქის აღმართ-დაღმართიან ქუჩებს თუ არ ჩავთვლით, „ჰუნგარორინგის“ 14-მოსახვევიანი წრე ყველაზე ნელია, თუმც იმავდროულად თითქმის ყველაზე უხიფათოც. გზა ვიწროა და არც გრძელი სწორი მონაკვეთებია საადმ, რის გამოც იქ გასწრება პრაქტიკულად შეუძლებელია, სიჩქარე კი, ძალიანაც რომ ეცადოთ, 300 კმ-მდე მაინც ვერ ავა. ამდენად, ზემძლავრი ძრავების 40-50 ცხენისძალიანი უპირატესობა მეტოქეებზე არც იგრძნობა.

სწორედ ამიტომ, ბუდაპეშტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რბოლის პირველი რიგიდან დაწყებას, ანუ უჩვეულოდ ბევრი რამაა დამოკიდებული დღევანდელი კვალიფიკაციის შედეგებზე.

უნგრული ეტაპი ჩემპიონების რბოლაა — მათ მხოლოდ ერთხელ (1990) „აუშვეს“ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ჩვეულებრივი მოკვდავი. რაკი ასეა, ხვალაც მიკა ჰაკინენმა ან მიხაელ შუმახერმა უნდა დაასველოს შამპანურით ორიგინალური პრიზი — „უილიამსით“ ორგზის ტრიუმფატორ ჟაკ ვილნევის BAR-ი სათვალავში ჩასაგდები არაა.

ხვალინდელ რბოლას, აღრინდელებისგან განსხვავებით, რიგითზე გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს. ბოლო სამ ეტაპზე შუმის მარცხმა პირველობისთვის ბრძოლა ისე გაამწვავა, რომ შეიძლება ითქვას, ჩემპიონატი ხელმეორედ იწყება. სამივე დაწინაურებული პრაქტიკულად თანაბარ პირობებშია — შუმახერის ორქულიანი უპირატესობა ჰაკინენთან და კულჰარდთან არაფერს ნიშნავს. ამბიციურმა გერმანელმა ბოლოდროინდელი უიღბლობის მერე ამჯერად ერთობ მოკრძალებული ამოცანა დაისახა — დათარსული პირველი წრის უხიფათოდ გავლა და ფინიშზე ექვსეულში მისვლა. მაგრამ, ცხადია, არც ასეა საქმე — მიხაელი „ჰუნგარორინგზე“ მხოლოდ გამარჯვებისა და ლიდერობის შესანარჩუნებლად იბრძოლებს, წარმატების შემთხვევაში კი მოგებას ალბათ ერთი კვირის წინ დაქორწინებულ „ფერარის“ პრეზიდენტ ლუკა დი მონტეზემოლოს მიუძღვნის.

რაც შეეხება ნაავარიებ ჟან ალეზისა და ალექსანდრ ვურცს, ექიმებმა მათ ტრასაზე გავარჯიშების ნება დართეს, თუმცა რბოლაში მონაწილეობის საკითხი საბოლოოდ დღეს გადაწყდება.

ირაკლი ნიკოლაძე

კოლინ ჯეკსონი

რომ გავიქცე და წავიქცე?!

კვირას ბრიტანული „ტრაიელსი“, წინასაოლიმპიადო შესარჩევი ტურნირი იწყება და იქ უნდა გამოვიდეს ყველა მძლეოსანი, ვისაც სიდნეის ოლიმპიადაზე მოხვედრა სურს, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონი კოლინ ჯეკსონიც, მიუხედავად იმისა, რომ 110 მეტრზე თარჯრბენში მას მთელ ბრიტანეთში ბადალი არ ყავს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯეკსონს ბარძაყის ტრავმა აწუხებს. ახლა იგი თითქმის გამოჯანმრთელდა, თუმცა... აი, რას ამბობს ათლეტის მწვრთნელი, ალკოლმ არნოლდი ბრიტანელ მძლეოსანთა ვებსაიტზე: „საეჭვოა, კოლინმა „ტრაიელსზე“ ირბინოს. ის 98 პროცენტით გამოჯანმრთელდა, მაგრამ დარჩენილი ორი პროცენტი მაინც გვაფიქრებს. კვირას ექიმი უნდა ნახოს და საბოლოო სიტყვა მასზეა. ყოველ შემთხვევაში, იმის იმედი უფრო გვაქვს, რომ 18 აგვისტოს მონაკოს „ოქროს ლიგაზე“ მაინც გამოვა, ეს ბევრად რეალურია“.

კონსერვატორმა ბრიტანელებმა (მძლეოსნობის ფედერაციის ჩინოვნიკებს ვგულისხმობთ) აქედანვე განაცხადეს, რომ ნაკრები მხოლოდ „ტრაიელსის“ შედეგებით დაკომპლექტდება და გამონაკლისს არ დაუშვებენ. ამ დროს კი ჯეკსონი მძლეოსნობაში ერთადერთი ბრიტანელი მსოფლიოს ჩემპიონია. ნუთუ მას „უადლდ ქარდის“ მოსაპოვებლად რბენა მოუწევს? ამ კითხვას მომავალი კვირისთვის გაეცემა პასუხი.

დავით გულუა

კუბელებმა ნიურკას გრძელი ნახტომი არ აპატიეს

ამ რამდენიმე წლის წინ კუბელმა სიგრძეზე მხტომელმა ნიურკა მონტალვომ ჰავანის აეროპორტში ესპანელი ხოსე სანლეანდრო გაიცნო, ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი და ხოსემაც გადადებული საქმე ეშმაკისაო და ნიურკას ხელი სთხოვა. ქალმაც დასტური მისცა, კაცს ესპანეთში გაჰყვა და ტკბილი ოჯახიც შეიქნა. შარშანდელ მაისში ნიურკა მონტალვომ ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და კარსმომდგარი სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას გამალებით შეუდგა, აქაოდა, მნახეთ, ესპანელებო, როგორი რძალი გყავთო.

29 აგვისტოდან სევილიაში მართლაც საუკეთესო მძლეოსნებმა მოიყარეს თავი და სანაქებო შეჯიბრიც გაჩაღდა. ნიურკამ თავი გამოიდო და სიგრძეზე მხტომელ ქალებში ყველას ავჯობა — თავის ახალ სამშობლოს მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო აჩუქა. ცხადია, პირნეელები ზეიმობდნენ, აი, კუბელები კი მაგრად დაიბოღმნენ. ნიურკას მისამართით მაშინაც თქვეს მწარე-მწარე სიტყვები, მაგრამ საქმე ამის იქით აღარ წასულა.

მას შემდეგ თითქმის მთელი წელი გაილია, ამ ხნის მანძილზე აწ უკვე ესპანელი მონტელვო მძლეოსანთა „დიდი პრიზისა“ და „ოქროს ლიგის“ ტურნირებში ხეირიანად ასპარეზობდა და ქმრის სამშობლოს სიდნეის ოლიმპიადიდან მედალს ჰპირდებოდა, მაგრამ ნიურკა ბჭობდა, კუბელები კი იცინოდნენ.

მონტელვოს ავსტრალიაში გამოსვლა ერთობ საეჭვოა. საქმე ისაა, რომ კუბელებმა ძველი წყენა არ დაივიწყეს და თვისტომს ესპანეთის სახელით ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლება არ მისცეს. ვითარებაში გასარკვევად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დავთრებში ჩავიხედოთ. სოკ-ის წესებრ, თუ მოქალაქეობაშეცვლილ სპორტსმენს ყოფილი სამშობლო ოლიმპიადაში მონაწილეობის ნებას არ დართავს, მაშინ მას მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეუძლია ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა. ნიურკა მონტალვო ესპანეთის მოქალაქე შარშან გახდა, სიდნეის ოლიმპიადა კი წლეულს, სექტემბერში იწყება. აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული. კუბელები ამბობენ, ნიურკამ ოლიმპიადაზე რამდენიც უნდა, იხტუნოს, ოღონდ სოკ-ის დებულება არ დავარღვიოთო.

ცხადია, მონტელვო გაულგატეხილია, არც ესპანეთის მძლეოსნობის მამები არიან კარგ გუნებაზე, თუმცა იმედს არ კარგავენ და „თავისუფლების“ კუნძულელებთან დიდ მიწერ-მოწერაში არიან, იქნებ ფიდელ კასტროს ქვეშევრდომებს ჩვენი რძლისთვის თავისუფლება დავტყუოთო.

ძახა ხურციძე

ნიურკა მონტალვო

რა გაანცდა, რის ნერვიულობა!..

გუნდმა-სიურპრიზმა ყველა მეტოქეს სიურპრიზი შეესთავაზა

მერაბ ცირეკიძე

— ბატონო მერაბ, ბულგარეთში წასვლამდე გვითხარით, გათამაშების კალუნდრით უკმაყოფილო ვარო, პროგნოზებისგანაც თავს იკავებდით. გამოდის, რომ ბიჭების ასეთ კარგ თამაშს თქვენც კი არ ელოდით.

— გუნდის მიზანი სამეულში მოხვედრა და მომდევნო ეტაპზე გასვლა იყო, მაგრამ უკლებლივ ყველა შეხვედრას თუ ამხელა უპირატესობით მოვიგებდით, ნამდვილად არ მეგონა.

— თუ გამოარჩევდით ვინმეს, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ჩვენი გუნდის წარმატებაში?

— დელეგაციის ხელმძღვანელ ვაჟა ჭკუასელით დაწყებული და გუნდის უფროს მერაბ კეკელიძით დამთავრებული, ყველა ხაზმა ჩინებულად გაართვა თავი საქმეს, მაგრამ მე მაინც გამოვყოფდი ექიმ გამყრელიძეს, რომელმაც ბევრი უსიამოვნება აგვაცილა თავიდან.

— რას გულისხმობთ, სერიოზული ხომ არაფერი ყოფილა?

— რომ არა ექიმი, კალათბურთელებს უთოდ გაურთულდებოდათ მცირე ტრავმები და სურდო, რაც პრობლემებს შეგვიქმნიდა.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ გულშემატკივრებს მაინც სპორტსმენების დამსახურება აინტერესებთ.

— ამ შემთხვევაში თერთმეტივე კალათბურთელის ჩამოთვლა მომიწევს, რადგან თავისი მოვალეობა ყველამ პირნათლად შეასრულა. რომელიმე მათგანის განსაკუთრებით გამოყოფა ნამდვილად გამიჭირდება.

— მოზარდ კალათბურთელთა ნაკრებ გუნდებში არის მწვრთნელთა კატეგორია, რომლებიც შეგნებულად არიდებენ თავს ამა თუ იმ ახალგაზრდის წარმატებაზე გამორჩევით საუბარს. თქვენც მათ რიცხვს ხომ არ მიეკუთვნებით?

— გეთანხმებით, ასეთი კატეგორია მართლაც არსებობს, ეს სხვა შემთხვევაა, ყველამ ნამდვილად კარგად ითამაშა. ნაკრებს არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი და აღნიშნულიდან გამომდინარე, არც ისეთი კალათბურთელი, რომელიც მთელი ორმოცი წუთის მანძილზე იქნება მოედანზე და შეხვედრაში 30-35 ქულაზე მეტს გააკეთებს.

ტურნირზე პრიზები არ დაუწესებიათ, თორემ ყველას თუ არა, ნახევარს მაინც ჩვენი ბიჭები აიღებდნენ. ბომბარდირთა ათეულში 4 ქართველი მოხვდა, 6 — ჩაჭრებში, 5 — მოხსნებში, 4 — პასებში. ყველა კალათბურთელმა სხვადასხვა ამპლუაში გამოიჩინა თავი და, აბა, მითხარით, ერთმანეთისგან როგორ განვასხვავო.

ერთ პატარა მაგალითსაც მოვიყვან. ისრაელის გუნდები დალაგებული და ორგანიზებული თამაშით არიან ცნობილნი. გადავწყვიტეთ, პრესინგი გვეთამაშა და მთელი ორმოცი წუთის განმავლობაში არ მოგვიხსნია. პირველი ათი წუთი მეტოქე გაგვიძალიანდა და საგრძნობი უპირატესობის მოპოვებას არ გვანებებდა. როდესაც იძულებულნი გავხდით, დაღლილი კალათბურთელები შეგვეცვალა, აღმოჩნდა, რომ გუნდში ყველა სრულფასოვანი მოთამაშე გვყავს. ეს მეტოქეს აშკარად დაეტყო, ხოლო ჩვენმა სათადარიგოებმა 20 ქულა მოუგეს მეტოქეს და ტაიმი 25 ქულის უპირატესობით დაასრულეს.

— ჩვენი გუნდის ასეთი წარმატება რამ განაპირობა, კარგმა პრესინგმა?

— მხოლოდ და მხოლოდ სისწრაფემ და ქართველებისთვის თანდაყოლილმა ნიჭიერებამ.

— ნიჭიერი ხალხი მარტო პრესინგის იმედად ვერ იქნება...

— იტალიასთან, მაგალითად, ზონური დაცვა ვითამაშეთ. მომდევნო შეხვედრაში ისრაელიც, ალბათ, იგივეს ელოდა, მაგრამ მათ პრესინგი დავუპირისპირეთ და გაამართლა. ვცდილობდით, რომ ყველა მატჩში მეტოქისთვის სიურპრიზი შეგვეთავაზებინა.

— კადეტ კალათბურთელთა ამჟამინდელ თაობას პირველ ოფიციალურ შეხვედრაში ისეთი საკალათბურთო და ტიტულიანი ქვეყანა შეხვდა, როგორც იტალიაა. ბიჭები ზედმეტად ხომ არ ნერვიულობდნენ?

— პირველ ტურში იტალია ბულგარეთს ეთამაშებოდა, ხოლო ჩვენ ვისვენებდით. არჩევანის წინაშე დავდექი: დავსწრებოდით თუ არა იტალიელთა თამაშს, რომლებსაც მეორე დღეს ვხვდებოდით. გადავწყვიტე, რომ არ გვნახა ეს შეხვედრა, იტალიელებს რომ მოეგოთ, შეიძლება ამას მატჩისწინა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოეხდინა. აპენინელებმა მართლაც გაიმარჯვეს, თანაც 28 ქულის სხვაობით. თურმე ტყუილად ვღელავდით. რა განცდა, რის ნერვიულობა!.. ეტყობა, სიდუხჭირე და ის გაუსაძლისის პირობები, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით, აწრთობს და ავაჟკაცებს ადამიანს. უკვე მე-7 წუთზე ჩვენი გუნდი 24:5 უგებდა იტალიას. ერთმა კალათბურთელმა, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ და მის გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, რამდენიმე გაუთვალისწინებელი ჯარიმა მიიღო და მოედანი ვადაზე ადრე დატოვა. ისე განიცადა, რომ იტირა, ჩემი უნებლიე შეცდომით ბიჭები რატომ დავაღალატეო. ეჭვიც არ მეპარება, რომ ის დიდ კალათბურთს ითამაშებს.

— ბატონო მერაბ, ისე ლაპარაკობთ, რომ გამოსულა ქართული კალათბურთი კრიზისიდან და ეს არის.

— მე არ ვთვლი, რომ ქართული კალათბურთი კრიზისში იმყოფება. რუსეთს, რომელიც უამრავ ფულს ახმარს კალათბურთს და ნაკრების და საკლუბო დონეზე დიდ წარმატებას აღწევს, ნბა-ში მოთამაშე არ ჰყავს, ჩვენ კი გვყავს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მეტიც გვეყოლება. სახელებსაც ჩამოგითვლით: ჯერჯერობით ზაზა ფაფალია და ნიკოლოზ ცქიტიშვილი. გამორიცხული არაა, რომ მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს. თუ ვინმე ეროვნული ნაკრებით საზღვრავს, ერთი და ორი კვირის წინ შეკრებილი გუნდით ვერაფერს გავაკეთებთ. პირობები იყოს და შედეგები შემდეგ მოითხოვონ.

— მართალია, ტანმაღალი და ნიჭიერი კალათბურთელები მოგვიმრავლდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ გამთამაშებლების პრობლემა გვაქვს.

— თავს უფლებას არ მივცემ, სხვა გუნდებზე ვისაუბრო, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთან ეგ პრობლემა არ არის.

— კადეტებში ვინ ასრულებს გამთამაშებლის მოვალეობას?

— ნიკოლოზ (ტატო) ვაშაკიძე, რომელიც ტურნირზე საუკეთესო იყო ჩაჭრებში და გიორგი გამყრელიძე.

— ჩვენს მეტოქეებზე ხომ არაფერს გვეტყვით?

— კარგი გუნდები ჰყავდათ იტალიელებს და ებრაელებს. არც მასპინძლები, ბულგარელები გამოიყურებოდნენ ურიგოდ, მაგრამ არ გაუმართლათ. გუნდის ლიდერი ჰყავდათ ტრავმირებული და თითქმის ცალი ხელით მოთამაშე ბომბარდირთა საუკეთესო სამეულში შევიდა. ეს ფაქტი რომ არა, მათაც შეეძლოთ სამეულში მოხვედრა. იტალიელები გრძელი სკამით არ გამოირჩეოდნენ, თორემ 5-6 ისეთი კალათბურთელი ჰყავდათ, უეჭველად დიდ კალათბურთს ითამაშებენ.

— სულ ცოტა ხნის წინ თქვენი და ბატონ თამაზ ოქრუაშვილის ცალცალკე მუშაობა წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა. ბოლოს თქვენ ერთად სტუ-ში იყავით, ახალ კი...

— მე იურიდიულ მხარეს ყურადღებას არ ვაქცევ, ჩვენ ახლაც ერთად ვსაქმიანობთ. ნაკრებში უმნიშვნელო საკითხებსაც კი ჩემს თანაშემწეებს, კობეშავიძესა და სამხარაძესაც ვუთანხმებ და თამაზ ოქრუაშვილსაც. ბულგარეთში გამგზავრებამდე მის მიერ შედგენილი გეგმით ვემზადებოდით და ბატონი თამაზის უდიდესი დამსახურებაა, რომ გუნდმა ასეთ დიდ წარმატებას მიაღწია.

— თუ ოქრუაშვილი რეალურად გუნდში იმყოფება, ამ ფაქტს იურიდიული სახე რატომ არ მიეცა?

— არ ვიცი, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

— არც შეგითავაზებიათ?

— მხოლოდ კონსულტანტობაზე დათანხმდა. მითხრა, ჩვენ ფაქტობრივად ერთად ვართ და რა მნიშვნელობა აქვს, ოფიციალურად სად ვიქნებიო.

— არ შემიძლია არ გკითხოთ ყველა დროის ყველაზე ტანმაღალ ქართველ კალათბურთელ სერგო ათუაშვილზე, რომლის სიმაღლე ბულგარეთში გამგზავრებამდე 215 სანტიმეტრი იყო და როგორც გავიგეთ, ტურნირის დღეებში კიდევ უფრო გაზრდილა.

— მართალია, 3 სანტიმეტრი მოიმატა და ახლა 218 სანტიმეტრია. თავს მშვენივრად გრძნობს, შეუპოვარია და რაც ყველაზე სასიამოვნოა, მოედანზე აზროვნებს.

წარმატებაც არის და წარმატებაც. მართალია, კადეტ კალათბურთელთაგან კარგ თამაშს ჩვეულ ქართველ გულშემატკივრებს ბულგარეთის ქალაქ რაზგრადში გამართულ ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირშიც ეიმედებოდათ ჩვენებურების, მაგრამ უნგრელებსა და ბულგარელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იტალიის და ისრაელის ასეთ გაბითურებას, აბა, ვინ წარმოიდგენდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ჭაბუკებმა მეტოქეებს, განურჩევლად სიძლიერისა, იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვეს. რომელ შანსებზეა ლაპარაკი, როდესაც ერთი წამითაც კი არ აძლევ მეტოქეს წინ გასვლის საშუალებას და საბოლოოდ 20 ქულაზე მეტი სხვაობით ამარცხებ. გვესაუბრება საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ ცირეკიძე.

— თქვენ ნაკრებსა კალათბურთელების თამაშს, დონეს, ტურნირთისგან არ ასხვავებთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორ აყენებთ სასტარტო ხუთეულს?

— ნაკრებში ძირითადი სასტარტო ხუთეული არ გვყავს.. შეხვედრას იმის მიხედვით ვიწყებთ, როგორ თამაშსაც ვთავაზობთ მეტოქეს.

— შესარჩევ ტურნირამდე, რომელიც მომავალი წლის აპრილშია დაგეგმილი, საკმაო დროა დარჩენილი. ნაკრებში მეთორმეტე ადგილი ვაკანტურია თუ არც სხვა კალათბურთელებს აქვთ გუნდში ადგილი განაღდებული?

— ჩემი აზრით, ნაკრებსა თუ საკლუბო გუნდში კონკურენციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. როცა შეკრებაზე 15-16 კალათბურთელი იმყოფება, ადგილი კი თორმეტია, გუნდი შეკრული არ არის, ყველა საკუთარი ადგილის დამკვიდრებაზე ზრუნავს და კალათბურთელებს შორის ურთიერთობაც დაძაბულია. მე ასე მოვიქცევი — გუნდში დავტოვებ იმ კალათბურთელებს (თუ რომელიმე კანდიტატი სასწაულს არ მოახდენს), რომლებმაც ბულგარეთში ითამაშეს. ვინც მოედანზე ბოლომდე არ დაიხარჯება, გუნდიდან არ გავუშვებ, მაგრამ სკამზე დავსვამ და სანამ ფორმაში არ შევა, თამაშის უფლებას არ მივცემ.

— შესარჩევ ტურნირამდე მზადების გეგმასაც მოიფიქრებდით...

— ისევ იმ კაცის, დონეცკელი ქართველის, სოსო მაჭავარიანის იმედი მაქვს. გაისად მატში დონეცკის საერთაშორისო ტურნირში გვეპატიჟება და ხარჯების გაღებასაც თავის თავზე იღებს.

ჩვენს ფედერაციას საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა რომ მოვთხოვო, აზრი არა აქვს, რადგან ფინანსური პრობლემების გამო ამას ვერ შეძლებს. იქნებ ზამთარში ორკვირიანი შეკრება გაგვიხერხონ ბაკურიანში. აგრეთვე ვაპირებ, გუნდი ათლეტიზმსა და მძლეოსნობაში მოვამზადო. ყველაზე უკეთესს, რასაც საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გაგვიკეთებს, ის იქნება, რომ კადეტთა ნაკრებს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშის უფლება მისცეს. ვინც ამის წინააღმდეგ გამოვა, არა მგონია, ქართული კალათბურთის მომავალი აინტერესებდეს.

— შეუძლებელია, საყვალიფიკაციო ტურნირში პირველ ადგილზე გასული, თანაც ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის კალათბურთელებთ ბობოლა საკალათბურთო გუნდები არ დაინტერესებულიყვნენ.

— ამ თემაზე მთავარ მწვრთნელთან არავინ საუბრობს. ყველა აგენტი სპორტსმენებთან ცდილობს საქმის დაჭერას. იქნებ იყო კიდეც ასეთი ფაქტები, მაგრამ ამის შესახებ არაფერი ვიცი, მე არავინ დამლაპარაკებია. ისე კი, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ნაკრებიდან ბევრს საქართველოში არავინ გააჩერებს, მათ უცხოური გუნდები გადაიბირებენ.

როლანდ ლაბუჩიძე

საქართველოს კადეტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის-საკვალიფიკაციო ტურნირზე

საქართველო	თ.	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მოხ.	პასი	ჩაჭ.	ფ.	ქ.	ქ.საშ.
მარხვაშვილი	4	104	16/31	3/6	14/18	4	10	8	4	55	13,8
მდივანი	4	76	20/31	0/1	9/20	28	3	4	10	49	12,8
სანიკიძე	4	79	19/35	0/0	9/14	30	3	5	8	47	11,8
მარკოიშვილი	4	78	14/21	2/10	10/14	15	9	3	7	44	11,0
საყვარელიძე	4	81	13/21	1/5	11/17	12	6	5	9	40	10,0
ვაშაკიძე	4	87	9/14	3/10	6/10	11	4	10	11	33	8,3
ორდენიძე	4	76	7/9	2/6	3/4	11	5	3	10	23	5,8
ათუაშვილი	3	42	7/12	0/0	0/0	7	1	0	10	14	4,7
ზანგურაშვილი	3	56	4/12	0/2	4/9	8	4	0	3	12	4,0
ჩავლეიშვილი	4	64	6/21	0/2	2/4	11	2	1	4	14	3,5
გამყრელიძე	4	57	0/2	4/8	0/2	5	3	5	10	12	3,0
სულ	*4*	*—*	*115/209*	*15/50*	*68/112*	*142*	*50*	*44*	*86*	*343*	*85,7*

ჯეკსონი ინდიანას ტორონტოში გაურბის

„ინდიანა პეისერზი“ ექვსივე თავისუფალ აგენტს ვეღარ შეინარჩუნებს. ეს ხუთშაბათს გაცხადდა, მაშინ, როცა გამთამაშებელმა მარკ ჯეკსონმა თავის გეგმებზე ისაუბრა. კალათბურთელის თქმით, მან უკვე შეათანხმა კონტრაქტის პირობები „ტორონტო რეპტორზთან“ და „პეისერზის“ დატოვება გადაწყვიტა. ჯეკსონის კონტრაქტი ოთხწლიანია, კალათბურთელი ამ ხნის განმავლობაში 14 მილიონ დოლარს მიიღებს. კლუბსა და მოთამაშეს შორის ხელშეკრულება ოფიციალურად დღეს გაფორმდება.

35 წლის ჯეკსონს 13 წელიწადი დაუყვია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. კარიერის უმეტესი ნაწილი „პეისერზში“ გაატარა, ერთხანს კი „ნიუ იორკ ნიქსში“ და „ლოს ანჯელეს კლიპერსშიც“ გამოდიოდა. წინა სეზონში ჯეკსონი „ინდიანაში“ მატჩში საშუალოდ 27 წუთს თამაშობდა და 8,1 ქულას აკეთებდა.

„პეისერზს“ ძალიან სურდა ჯეკსონის შენარჩუნება, მაგრამ, ჩანს, ჯამური ხელფასის ფონდში სათანადო თანხა ვერ გამოათავისუფლა. კლუბმა შეინარჩუნა რეჯი მილერი, ჯალენ როუზი, ოსტინ კროშერი და სემ პერკინსი, რაც დაახლოებით 182 მილიონი დოლარი დაჯდა.

ჯეკსონი გრძნობდა, რომ „ინდიანას“ მისთვის სამყოფი ფული აღარ დარჩებოდა და ამიტომაც გაუბა მოლაპარაკება ცალკე „ჩიკაგო ბულზს“, ცალკე — „ტორონტო რეპტორზს“. საბოლოოდ კალათბურთელმა კანადური გუნდი არჩია, რასაც ასე ხსნის: „რამდენჯერმე ვესაუბრე „ტორონტოს“ გენერალურ მენეჯერ გლენ გრიუნვალდს და მწვრთნელ ლენი ვილკენსს. მათ მაგრძნობინეს, რომ გუნდისთვის საჭირო ვარ და ჩემი იმედი აქვთ. საბოლოო გადაწყვეტილებაზე ამ ფაქტორმა მნიშვნელოვნად იმოქმედა“.

მარკ ჯეკსონი (ბურთით)

და რა შესთავაზა ჯეკსონს „ინდიანამ“? ამის თაობაზე კალათბურთელი მეტად ფრთხილ პასუხს იძლევა: „პეისერზის“ ხელმძღვანელობასთან არ მისაუბრია. რა მნიშვნელობა აქვს, მე ტორონტოელობა მსურს“. არადა, წინა დღეს „პეისერზის“ პრეზიდენტმა დონი უოლშმა აღნიშნა, რომ ყველაფერს იღონებდა ჯეკსონის შესანარჩუნებლად. ახლა უოლში გულგატეხილია და კალათბურთელის გუნდიდან წასვლას ამგვარ კომენტარს უკეთებს: „მარკი ძალიან დაგვაკლდება. მან „ტორონტოსგან“ შესანიშნავი წინადადება მიიღო და, ცხადია, უნდა დათანხმდეს. წარმატებას ვუსურვებ. ვიცი, რომ ჯეკსონი ერთ მშვენიერ დღეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დიდი მწვრთნელი გახდება“.

სტეფანიასთან ნიგერიელი მივიდა

„სიეტლ სუპერსონიქსმა“ კონტრაქტი გაუფორმა და ორი წლით დაისაკუთრა ნიგერიელი ფორვარდ-ცენტრი ოლუმიდე ოიედეჯი. ეს კალათბურთელი წლევანდელი დრაფტის 42-ე ნომერია და 19 წლის წინათ დაიბადა ნიგერიის ქალაქ იბადაში. ეს ის ქალაქია, სადაც 1994 წელს ნიგერიის საფეხბურთო ნაკრებმა 5:1 მოუგო საქართველოს ნაკრებს.

ოიედეჯიმ საზაფხულო ლიგებში მოაწონა თავი „სიეტლის“ ხელმძღვანელობას. ბოსტონში ექვს მატჩში საშუალოდ 8,0 ქულა და 8,7 მოხსნა გააკეთა. „ოლუმიდემ საზაფხულო ლიგებში კარგი შთაბეჭდილობა დატოვა. მას ბევრი აქვს სასწავლი, თუმცა დაცვაში ენერგიული თამაშის და ფარზე მუშაობის უნარს ვერ დავუკარგავ“ — აღნიშნავს „სუპერსონიქსის“ პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი ელი უოლკერი. „ოლუმიდეს შეუძლია ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გამორჩეული მომხსნელი დადგეს. თუკი იგი ასე სწრაფად ზრდას გააგრძელებს, შესანიშნავი კარიერა ელის“ — ეს „სიეტლის“ მწვრთნელის პოლ ვესტფოლის სიტყვებია.

წინა სეზონი ოიედეჯიმ გერმანულ „ვურცბურგში“ გაატარა და მატჩში საშუალოდ 12,4 ქულას და 15,5 მოხსნას აკეთებდა. იგი გახდა გერმანიის „ოლსტარზის“ უძვირფასესი მოთამაშე და ჩატენვების კონკურსი მოიგო.

ოიედეჯი „ვურცბურგის“ მეორე კალათბურთელია, რომელსაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდმა კონტრაქტი გაუფორმა. პირველი „დალას მავერიქსის“ გერმანელი ცენტრი დირკ ნოვიცკი იყო.

1997-1998 წლების სეზონი 16 წლის ოიედეჯიმ რუსეთში, მოსკოვის „დინამოში“ გაატარა. მისი საშუალო შედეგიანობა 12,0 ქულა, 10,2 მოხსნა და 2,8 დაფარება იყო. ოიედეჯი ნიგერიის ნაკრების წევრია. შარშან აფრიკის თამაშებზე მისმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესარჩევ ტურნირში მხოლოდ ანგოლა გაუშვა წინ.

თავისუფალ აგენტთა ბაზარი

10 აგვისტო

საპრაქტიკო ძინგზი: შეინარჩუნა უკანასკნელი ჯონ ბერი.

ორლანდო მეჯიკი: აიყვანა უკანასკნელი ტროი ჰადსონი (კლიპერსიდან).

სან ანტონიო სფურზი: აიყვანა ფორვარდი დენი ფერი (კლივლენდიდან).

სიეტლ სუპერსონიქსი: აიყვანა ახალბედა ფორვარდ-ცენტრი ოლუმიდე ოიედეჯი.

ჯენტრი წარსულს ივიწყებს და ახალგაზრდობას მისტირის

ელვინ ჯენტრი ახლა უკვე ოფიციალურადაა „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ მწვრთნელი. ხუთშაბათს კლუბმა პრესკონფერენცია მოაწყო, 45 წლის სპეციალისტი საზოგადოებას წარუდგინა და მისი დანიშვნის ამბავიც დაადასტურა.

„ელვინი შეგნებული და მშრომელი კაცია, რომელსაც ძალიან უყვარს მწვრთნელის პროფესია. მან კარგად იცის კალათბურთი და ცოდნის გადმოცემის უნარიც აქვს“ — ასე დაახასიათა ახალი მწვრთნელი „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ვიცე-პრეზიდენტმა, წარსულის დიდმა მოთამაშემ ელჯინ ბეილორმა.

ჯენტრის მძიმე მემკვიდრეობა ერგო — „კლიპერსი“ წარუმატებლობის ჭაობშია ჩაფლული და ლიგის ერთ-ერთ ყველაზე უხეირო გუნდად იქცა. კლუბი 1978 წელს ბუფალოდან ლოს ანჯელესში გადავიდა და მას შემდეგ სულ სამჯერ გააღწია პლეი ოფში. 22 წლის მანძილზე „კლიპერსმა“ მხოლოდ ორ სეზონში მოახერხა უფრო მეტი მატჩის მოგება, ვიდრე წაგება. ექვს სეზონში კი სამოცზე მეტი მატჩი წაგო.

ჯენტრი ამას ყურადღებას არ აქცევს: „არ მაინტერესებს, რა ხდებოდა წარსულში. დროა, ძველი ამბები დავივიწყოთ. აქ იმიტომ ვარ, რომ მდგომარეობა გამოვასწორო. „კლიპერსი“ ახალგაზრდა გუნდია, რომელსაც დიდი პერსპექტივა აქვს“.

შეგახსენებთ, რომ აქამდე ჯენტრი ლიგის ორი გუნდის მწვრთნელი იყო. 1995 წელს 36 მატჩში უთავკაცა „მაიამი ჰითს“ (15 მოგება, 21 წაგება), ხოლო „დეტროიტ პისტონზი“ 145-ჯერ გაიყვანა მოედანზე (73 მოგება, 72 წაგება). 1990-91 წლებში „კლიპერსის“ მწვრთნელის თანაშემწე იყო.

„კლიპერსის“ ბირთვი ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდულია. გუნდის ლიდერია ფრთა ლამარ ოდომი (მარშანდელი დრაფტის მესამე ნომერი). ცენტრად მაიკლ ოლოვოკანდი (1998 წლის დრაფტის პირველი ნომერი) თამაშობს. გუნდმა ახლახან გაუფორმა კონტრაქტები ახალბედებს — დარიუს მაილზს, კენიონ დულინგს და კვინტინ რიჩარდსონს. დრაფტის დღეს კი „ორლანდოდან“ კორი მეჯიტი გადმოიყვანა. ყველა ზემოჩამოთვლილი კალათბურთელი 25 წელზე უმცროსია. ჯენტრი ამას დადებითად აფასებს, თუმცა დასძენს, ვწუხვარ, რომ თავად მე ახალგაზრდა აღარ ვარო.

ჭრელი Perla

პ ე რ ლ ა

ჭრელი Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა





ქოსტავას 47

სარგებელი

სპორტული ლატარია

"CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. I-ლი ტური

12 აგვისტო

002	ვერდერი-კოტბუსი	1,4	3,8	7,0
003	ვერდერი-კოტბუსი 0:1	2,0	3,0	2,4
004	ჰამბურგი-მიუნხენ 1860	1,9	2,9	4,0
005	კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი	1,5	3,5	6,0
006	ლევერკუზენი-ვოლფსბურგი	1,4	3,8	7,0
007	ლევერკუზენი-ვოლფსბ. 0:1	2,0	3,0	2,4
008	ფრაიბურგი-შტუტგარტი	2,5	3,0	2,5
009	ბაიერნი-ჰერტა	1,3	4,4	8,0
010	ბაიერნი-ჰერტა 0:1	1,8	3,3	2,8

13 აგვისტო

011	აინტრახტი-უნტერჰახინგი	1,7	3,0	5,0
012	შალკე-კიოლნი	1,7	3,3	4,2

გერმანია. II ბუნდესლიგა. I-ლი ტური

12 აგვისტო

015	ალენი-ზანქტ პაული 18.00	2,4	3,0	2,7
016	მიონხენგლადბ.-ზაარბრიუკენი 18.00	1,35	4,0	7,5
017	მიონხენგლადბ.-ზაარბრ. 0:1	1,9	3,2	2,6

13 აგვისტო

018	არმინია-ოსნაბრუკი 18.00	1,35	4,0	7,5
019	არმინია-ოსნაბრუკი 0:1	1,9	3,2	2,6
020	როიტლინგენი-მაინცი 18.00	2,4	3,0	2,7
021	ვალდჰოფი-ალემანია 18.00	2,0	2,9	3,6
022	ფიურტი-ქემნიცი 18.00	1,8	2,8	4,7

14 აგვისტო

023	დუისბურგი-ულმი	1,9	3,0	3,8

ინგლისი. I დივიზიონი. I-ლი ტური

12 აგვისტო

024	ბარნსლი-ნორვიჩი	1,7	3,1	4,7
025	ბლექბერნი-კრისტალ პალასი	1,5	3,6	5,6
026	ბოლტონი-ბარნლი	1,35	4,0	7,5
027	ბოლტონი-ბარნლი 0:1	1,9	3,2	2,6
028	ფულემი-ქრიუ	1,4	3,8	7,0
029	ფულემი-ქრიუ 0:1	1,9	3,4	2,4
030	ჯილინგემი-სტოკპორტი	2,3	3,1	2,8
031	გრიმსბი-პრესტონი	2,1	3,0	3,3
032	ჰადერსფილდი-უოტფორდი	2,3	3,0	2,9
033	ნოტინგემი-ვესტ ბრომვიჩი	1,7	3,1	4,7
034	ქუინზ პარკი-ბირმინგემი	2,4	3,0	2,7
035	შეფილდი-პორტსმუთი	1,9	2,9	4,0
036	უიმბლდონი-ტრანმერი	1,6	3,4	5,0

13 აგვისტო

037	ვულვერჰემპტონი-უენსდი	2,3	2,9	3,0

ინგლისი. II დივიზიონი. I-ლი ტური

12 აგვისტო

038	როვერსი-ბორნმუთი	1,5	3,6	5,6
039	კემბრიჯი-ბერი	2,3	3,0	2,9
040	ლუტონი-ნოტსი	2,1	3,0	3,3
041	მილუოლი-რედინგი	1,7	3,1	4,7
042	ნორთჰემპტონი-ბრენტფორდი	2,0	3,1	3,4
043	ოლდემი-პორტ ვეილი	2,3	3,1	2,8
044	ოქსფორდი-პიტერბრო	2,0	3,2	3,3
045	როტერჰემი-უოლსოლი	2,4	3,1	2,6
046	სტოკი-უიკომბი	1,45	3,6	6,5
047	სტოკი-უიკომბი 0:1	2,0	3,2	2,3
048	სუონსი-უიგანი	2,8	3,1	2,3
049	სუინდონი-კოლჩესტერი	1,5	3,8	5,3
050	რექსემი-ბრისტოლი	2,4	3,0	2,7

ინგლისი. III დივიზიონი. I-ლი ტური

12 აგვისტო

051	ბარნეტი-შრიუსბერი	1,45	3,6	6,5
052	ბარნეტი-შრიუსბერი 0:1	2,0	3,2	2,3
053	ბლეკპული-ჰალი	1,7	3,1	4,7
054	კარლაისლი-ჰალიფაქსი	2,3	3,1	2,8
055	ჩელტენემი-მენსფილდი	1,7	3,1	4,7
056	ჩესტერფილდი-იორკი	1,7	3,1	4,7
057	ექსეტერი-კარდიფი	2,5	3,0	2,5
058	კიდერმინსტერი-ტორკი	2,3	3,0	2,9
059	ლინკოლნი-ჰარტლპული	2,3	3,1	2,8
060	მაკლსფილდი-სკანთორპი	2,3	3,0	2,9
061	პლიმუთი-ლეიტონი	1,55	3,5	5,3
062	როჩდეილი-დარლინგტონი	2,4	3,0	2,7
063	საუთენდი-ბრაიტონი	2,3	3,0	2,9

საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-3 ტური

12 აგვისტო

064	ოსერი-ბასტია	1,8	2,9	4,4
065	ბორდო-ტრუა	1,35	4,0	7,5
066	ბორდო-ტრუა 0:1	1,9	3,2	2,6
067	გენგამი-ნანტი	2,4	2,8	2,9
068	ლილი-რენი	2,0	2,8	3,8
069	ლიონი-მეცი	1,55	3,2	6,5
070	სტრასბური-მონაკო	2,6	2,9	2,5
071	ტულუზი-სენტ ეტიენი	2,5	2,9	2,6

13 აგვისტო

072	პსჟ-სედანი	1,5	3,3	7,0
073	მარსელი-ლანსი	1,9	2,9	4,0

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-3 ტური

12 აგვისტო

074	აიაჩო-კანი	1,9	2,8	4,2
075	ბოვუა-გენიონი	2,6	2,8	2,6
076	კაენი-სოშო	2,5	2,9	2,6
077	შატორუ-ლე მანი	1,9	2,9	4,0
078	კრეტეი-ნანსი	3,0	2,9	2,3
079	ლავალი-ვასკეალი	1,6	3,0	6,5
080	ნიცა-ლორიანი	1,8	2,9	4,4
081	ნიმი-მონპელიე	3,2	2,9	2,2
082	ნიორი-ლე ავრი	2,9	2,8	2,4

13 აგვისტო

083	მარტიგი-ანუე	1,9	2,9	4,0

ბელგია. I-ლი ტური

12 აგვისტო

084	ბევერენი-შარლერუა	2,0	3,1	3,4
085	ლუვიე-ლოკერენი	2,5	3,2	2,4
086	მუსკრონი-ბეერსხოტი	1,9	3,1	3,6
087	მეხელენი-გენკი	2,5	3,2	2,4
088	ვესტერლო-ანტვერპენი	1,7	3,2	4,4

13 აგვისტო

089	ბრიუგე-გენტი	1,6	3,3	5,3
090	აალსტი-ლიერსი	2,4	3,1	2,6
091	ჰარელბეკე-სტანდარდი	2,7	3,0	2,4
092	სენტ ტრუიდენი-ანდერლეხტი	4,2	3,1	1,75

ჩეხეთი. მე-3 ტური

12 აგვისტო

094	სინოტი-ბლშანი	1,9	3,0	3,8
095	ბოჰემიანსი-სლავია	4,0	3,1	1,8
096	ბანიკი-იაბლონეცი	1,5	3,5	6,0
097	ტეპლიცე-ბრნო	1,6	3,3	5,3
098	სიგმა-პრუიბრამი	1,55	3,4	5,6
099	სპარტა-უიუკოვი	1,1	6,0	12,0
100	სპარტა-უიუკოვი 0:1	1,4	3,6	4,0

13 აგვისტო

101	პლზენი-დრნოვიცე	2,3	3,0	2,9

პოლონეთი. მე-4 ტური

12 აგვისტო

102	სტოჰილი-კატოვიცე	1,8	2,9	4,4
103	პოგონი-პლოცკი	1,6	3,3	5,3
104	ვიძევი-ლეგია	2,5	3,0	2,5

13 აგვისტო

105	გროცლიწი-ზაგლებე	2,5	3,0	2,5
106	რაძიონკოვი-ამიცა	2,8	2,9	2,4
107	ოდრა-რუხი	2,3	2,9	3,0
108	პოლონია-შლიონსკი	1,3	4,4	8,0
109	პოლონია-შლიონსკი 0:1	1,8	3,3	2,8
110	გურნიკი-ვისლა	3,1	3,0	2,2

შოტლანდია. მე-3 ტური

12 აგვისტო

111	დანდი იუნ.-მოზერუელი	2,1	2,9	3,4
112	დანფერმლაინი-სტ.ჯონსტონი	2,3	2,9	3,0
113	ჰიბერნიანი-დანდი	2,1	3,0	3,3

13 აგვისტო

114	აბერდინი-ჰართსი	2,3	3,0	2,9
115	სელტიკი-კილმარნოკი	1,25	5,0	9,0
116	სელტიკი-კილმარნოკი 0:1	1,7	3,2	3,2
117	სენტ მირენი-რეინჯერსი	7,0	3,8	1,4

თურქეთი. I-ლი ტური

12 აგვისტო

119	ბეშიქთაში-იოზგათი	1,1	6,0	12,0
120	ბეშიქთაში-იოზგათი 0:1	1,4	3,6	4,0
121	გენჩლერბირლიგი-რიზე	1,3	4,4	8,0
122	გენჩლერბირლიგი-რიზე 0:1	1,8	3,3	2,8
123	ბურსა-გაზიანთეფი	2,5	3,0	2,5
124	ერზურუმი-ტრაბზონი	3,5	3,0	2,0

13 აგვისტო

125	ისთანბული-ადანა	1,9	2,9	4,0
126	იეთფა-ანთალია	3,6	3,1	1,9
127	სამსუნი-ანკარაგიუჯიუ	1,65	3,2	5,0
128	დენიზლი-გალათასარაი	6,0	3,5	1,5

ავსტრია. მე-7 ტური

12 აგვისტო

129	ბრეგენცი-გრაცერი	2,5	3,0	2,5
130	ზალცბურგი-რიდი	1,9	2,8	4,2
131	ლინცერი-ადმირა	1,6	3,4	5,0
132	შტურმი-ტიროლი	1,8	3,0	4,2

13 აგვისტო

133	რაპიდი-აუსტრია	1,8	3,1	4,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვეიცარია. "ა" ჯგუფი. მე-6 ტური
12 აგვისტო

134	ლუცერნი-ივერდონი	1,8	2,9	4,4
135	ქსამაქსი-სენტ გალენი	2,9	3,0	2,3
136	სიონი-აარაუ	1,5	3,5	6,0

13 აგვისტო

137	ბაზელი-ლუგანო	1,75	3,0	4,4
138	გრასჰოპერი-სერვეტი	1,5	3,5	6,0
139	ლოზანა-ციურიხი	1,5	3,5	6,0

შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. მე-7 ტური
12 აგვისტო

141	ლოკარნო-ვინთერტური	2,9	3,0	2,3
142	ბადენი-ვანგენი	1,6	3,2	5,6
143	დელემონი-სოლოთურნი	1,5	3,5	6,0
144	კარუჟი-კრინსი	1,6	3,3	5,3
145	ვილი-ბელინცონა	2,4	3,0	2,7

დანია. მე-4 ტური
13 აგვისტო

146	ოლბორგი-აკადემისკი 18.00	1,9	3,0	3,8
147	ორჰუსი-მიდტიულანდი 18.00	1,75	3,4	3,6
148	ჰადერსლევი-ჰერფიოლგე 18.00	2,9	3,2	2,2
149	ლიუნგბიუ-ოდენსე 18.00	1,7	3,5	3,8
150	ვიბორგი-კოპენჰაგენი 18.00	2,0	3,2	3,3
151	სილკებორგი-ბრიონდბიუ	2,3	3,3	2,6

რუსეთი. 21-ე ტური
12 აგვისტო

152	სპარტაკი-როტორი	1,25	5,0	9,0
153	სპარტაკი-როტორი 0:1	1,7	3,2	3,2

13 აგვისტო

154	ცსკა-ფაკელი	1,5	3,6	5,6
155	კრილია-ანჟი	2,5	3,0	2,5
156	ლოკომოტივი-ნ.ნოვგოროდი	1,1	6,0	12,0
157	ლოკომოტივი-ნ.ნოვგოროდი0:1	1,4	3,6	4,0
158	ურალანი-დინამო	3,8	3,0	1,9
159	ალანია-სატურნი	1,9	2,9	4,0
160	როსტსელმაში-ჩერნომორეცი	2,4	2,9	2,8
161	ზენიტი-ტორპედო	2,4	2,8	2,9

შვედეთი. მე-15 ტური
12 აგვისტო

162	ფრიოლუნდა-გიოტებორგი	4,0	3,4	1,7

13 აგვისტო

163	აიკ-ჰელსინგბორგი	1,7	3,3	4,2
164	ელფსბორგი-გაის	1,5	3,5	6,0
165	ჰალმსტადი-სუნდსვალი	1,35	4,0	7,5
166	ჰალმსტადი-სუნდსვალი 0:1	1,9	3,2	2,6
167	ტრელებორგი-ნორჩიოპინგი	2,3	3,0	2,9
168	იორგრიტე-ჰამარბი	1,9	2,9	4,0

ნორვეგია. მე-19 ტური
12 აგვისტო

169	ჰაუგესუნდი-რუსენბორგი 17.00	6,5	4,0	1,4

13 აგვისტო

170	ბრანი-ბოდიო გლიმტი	1,5	3,6	5,6
171	ლილესტრიომი-ტრომსიო	2,3	3,1	2,8
172	მოლდე-სტარტი	1,35	4,0	7,5
173	მოლდე-სტარტი 0:1	1,9	3,2	2,6
174	მოსი-ბრინი	1,7	3,3	4,2
175	სტაბეკი-ვოლერენგა	1,6	3,4	5,0
176	ვიკინგი-ოდ გრენლანდი	1,7	3,3	4,2

იტალია. თასის I-ლი ტური
13 აგვისტო

177	ვიტერბეზე-კიევო	2,6	2,7	2,7
178	ალბანო-ბრეშელო	2,0	2,5	4,4
179	ასკოლი-ჩიტადელა	2,1	2,5	4,0
180	პესკარა-ვენეცია	2,4	2,8	2,9
181	აველინო-ატალანტა	4,0	2,9	1,9
182	ბრეშა-ტრევიზო	1,5	3,3	7,0
183	სავოია-სიენა	2,2	2,7	3,4
184	ჩეზენა-ტერნანა	2,2	2,7	3,4
185	კროტონე-ემპოლი	2,5	2,7	2,8
186	ჯენოა-ანკონა	1,5	3,3	7,0
187	მონცა-პიაჩენცა	2,5	2,7	2,8
188	პიზა-კოზენცა	2,5	2,7	2,8
189	რავენა-პისტოიეზე	1,7	2,9	5,3
190	სალერნიტანა-კალიარი	2,3	2,8	3,1
191	ვარეზე-ტორინო	3,8	2,8	2,0
192	ფერმანა-სამპდორია	3,8	2,8	2,0

ინგლისი. სუპერთასი (უემბლიზე)
13 აგვისტო

193	მანჩესტერი-ჩელსი 16.00	2,3	3,0	2,9

პორტუგალია. სუპერთასი. I მატჩი
13 აგვისტო

194	პორტუ-სპორტინგი	1,9	3,0	3,8

ჰოლანდია. სუპერთასი
13 აგვისტო

195	ეინდჰოვენი-როდა	1,65	3,3	4,7

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ᲭᲔᲜᲘᲐᲡ ᲙᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲚᲝᲒᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲐ



ტიმ ჰენმანი



პიტ სამპრასი

ცინცინატი. ოჰაიო. „მასტერი“. საპრიზო 2 950 ათასი $

ცინცინატის ტურნირის მესამე წრეს მეტწილად განთესილები შეეწირნენ. ბრიტანელმა ტიმ ჰენმანმა მოულოდნელად ამერიკელი პიტ სამპრასი დაამარცხა და ეს ამბავი დიდად გაიკვირვა: მათი ადრინდელი ექვსი შეხვედრიდან ექვსივე სამპრასს მოეგო. თამაშის მსვლელობისას „პისტოლ პიტმა“ ექიმს უხმო და ტკივილგამაყუჩებელი აბები ჩაყლაპა, რის გამოც მაყურებელს შესაძლოა ეფიქრა, ამერიკელი ჯანზე ვერ არის და იმიტომ წააგო, მაგრამ პრესკონფერენციაზე სამპრასმა მოკლე სიტყვით ყოველგვარი ჭორის საფუძველი მოსპო. „ტიმი ყველანაირად მომერია — თქვა მან — დიდებულად თამაშობდა, აწოდებდა არაჩვეულებრივად და ერთი-ორი ისეთი ბურთი ჩამისვა, გავოცდი, მართალია, მეც ვერ ვიყავი საჭირო სიმაღლეზე, მაგრამ ტიმის გამარჯვება უფრო მისი დამსახურებაა“. ახლა ჰენმანი სამპრასის ვარჯიშის ამხანაგია და ცხოვრებაშიც ახლოს არიან, ამიტომ ხომ არ შეიძლება, ვიფიქროთ, რომ სამპრასმა მეგობრობის გრძნობას მოუხადა ხარკი? სწორი დასკვნის გამოსატანად თვითონ თამაშის განხილვა იქნებოდა უპრიანი.

პირველი გეიმის დასრულებისას საერთო აზრი ისეთი იყო, რომ „პისტოლ პიტს“ კიდევ ერთი იოლი გამარჯვება უნდა რგებოდა — მან მეტოქის გეიმი მოიგო... მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. მეექვსე გეიმამდე ბევრი არაფერი, მერე კი ჰენმანმა 13 გათამაშებიდან მეტოქეს 12 მოუგო და შედეგად სეტიც — 6:3; მეორე სეტიც მისი უპირატესობით დაიწყო, ოღონდ თავიდან ორი ბრეიკ-პოინტი გაფლანგა და მხოლოდ მეხუთე გეიმის ბრეიკ-პოინტის გამოყენებამ დააწინაურა ბრიტანელი. მცირე უპირატესობა მან ხელიდან აღარ გაუშვა და მატჩი 6:3, 6:4 მოიგო. მეთხუთედფინალში ჰენმანი ფრანგ ფაბრის სანტოროს ხვდება, მასთან დადებითი ბალანსი (2-1) აქვს და ამიტომ იმედიანადაა.

სამპრასის ძლევის მერე პრესკონფერენციაზე ეს თქვა: „ჩვენ ბევრი დაძაბული თამაში გვქონია — ამბობს ჰენმანი და მართალია. უიმბლდონის ორი ნახევარფინალი გავიხსენოთ, რომლებიც სამპრასმა დიდი გაჭირვებით მოუგო ბრიტანელს — როგორც იქნა, დავამარცხე და კმაყოფილი ვარ, მაგრამ შინ თამაშის დარი მაინც არაფერი ყოფილა. როცა ინგლისში გამოვდივარ, თავს სულ სხვანაირად ვგრძნობ“.

წააგო ევგენი კაფელნიკოვმა და რატომღაც ობიექტური მიზეზი რომ არ დაესახელებინა... თუმცა ამ შემთხვევაში მის ნათქვამს ინტრიგანობად ვერ მოვნათლავთ. ბუნებამ რუსის შედეგზე მართლაც ცუდად იმოქმედა. წვიმის გამო გადადებული მატჩები კაფელნიკოვმა ღამე დაასრულა, ამას წყვილებში თამაში დაერთო და შედეგად ჟენიას მხოლოდ 5 საათი ეძინა. მეორე დილას ფრანგ არნო კლემენს გამოუძინებელი ეთამაშა და „კი ჟმალ წაგო“ 1:6, 4:6.

ცოტა მეტი იბრძოლა მარატ საფინმა. მეორე რუსის მეტოქე ნახსენები სანტორო იყო და წინა კვირას „მასტერსის“ მომგები კაცისგან პირველი სეტის მეტოქისთვის ასე ჩაბარებას არავინ ელოდა. მერე მარატმა ხელი გამოიღო, მაგრამ ფრანგი მშვენიერ ხასიათზე იყო და ტაი-ბრეიკში იქაც იმარჯვა. მატჩის ანგარიშია 6:1, 7:6 (7:3).

მესამე წრის მეოთხე და ბოლო უღბლო განთესილი ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი გახლავთ, იგი ესპანელმა ფერნანდო ვისენტემ დაამარცხა. ანდრე აგასის ბარიერის დაძლევამ ესპანელი, ეტყობა, დიდად გაამხნევა და გუშინწინ „სკადის“ სახელის შესაფერისი მოწოდებები ჩრადაც არ ჩააგდო. პირველი წრე ოზმა საკმაოდ იოლად მოიგო, მერე ესპანელმა ორი ტაი-ბრეიკი დაინარჩუნა და თამაშიც: 3:6, 7:6 (7:3), 7:6 (7:3).

ფილიპუსისმა წაგებას მოკლე კომენტარი გაუკეთა, დღეს ჩემმა მოწოდებებმა თავისი ფუნქცია უხეიროდ შეასრულეს და მეტოქისას ძნელად ვუმკლავდებოდიო (მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა).

მეოთხედფინალში არცთუ სახელიანი ხალხი ითამაშებს. გამონაკლისი გუსტავო კუერტენია, რომელმაც მესამე წრეში ავსტრიელ სტეფან კუბეკთან პირველი სეტი ისე უზრუნველად დათმო, კაცი იფიქრებდა, ისევ მზემ ხომ არ დაჰკრა ან იქნებ კუჭი აეშალაო, მაგრამ გუგა მერე დაიქოქა და ქვა ქვაზე არ დატოვა. შემდეგ ეტაპზე იგი უეცრად გაახალგაზრდავებულ ვეტერანთან, ამერიკელ ტოდ მარტინთან ითამაშებს.

მესამე წრე. ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი, 15) — პიტ სამპრასი (აშშ, 2)— 6:3, 6:4; გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 4) — სტეფან კუბეკი (ავსტრია) — 1:6, 6:1, 6:2; არნო კლემენი (საფრანგეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 5) — 6:4, 6:1; ტოდს ინკვისტი (შვედეთი, 7) — მაჭა მირნი (ბელარუსი) — 6:4, 6:3; ფაბრის სანტოროს (საფრანგეთი) — მარატ საფინი (რუსეთი, 8) — 6:1, 7:6 (7:3); ფრანკო სქილარი (არგენტინა, 13) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) — 6:4, 7:5; ფერნანდო ვისენტი (ესპანეთი) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 16) — 3:6, 7:6 (7:3), 7:6 (7:3); ტოდ მარტინი (აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) — 6:2, 6:4.

მეორე წრე. გადადებული მატჩები. ტიმას ინკვისტი (შვედეთი, 7) — ჰარელ ლევი (ისრაელი) — 6:4, 6:1; ფაბრის სანტოროს (საფრანგეთი) — სებასტიან გროსჯანი (საფრანგეთი) — 6:2, 6:3.

რას მერჩით, ხალხო, რად მწუნობთ...

მანჰეტენ ბიჩი, კალიფორნია. „ლოს ანჯელეს ოუფენ“. საპრიზო 535 ათასი $

„ლოს ანჯელეს ოუფენზე“ მხოლოდ ერთი მეოთხედფინალური თამაში შედგა, მაგრამ ცენტრალური: მეოთხედ განთესილმა ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა სიაში მომდევნო ადგილას მყოფ სერენა უილიამსთან წააგო. სერენამ პირველსა და მეორე წრეში წვრილფეხობას ისე დამაჯერებლად გადაუარა, მარტინესის იოლად დამარცხებაც უწინასწარმეტყველეს. გამართლდა, თუმც მარტინესი ხომ ელიტის შვილია და ამიტომ უმცროსი უილიამსს ნახევარფინალში გასასვლელად მეტი ჯაფა დაადგა. პირველი სეტი ამერიკელს იოლად დარჩა, მეორე უფრო გაჭირვებით ესპანელმა მოიგო, ხოლო დასკვნითი ისევ სერენასი იყო. ზანგი ჩოგანს ისე გამართულად ხმარობდა, ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო, მერე ორი დათმო და საბოლოო წერტილი კი თამაშს მარტინესის არაზუსტმა ბექჰენდმა დაუსვა — 6:2, 4:6, 6:2. უილიამსი პირველი ნახევარფინალისტია.

პრესკონფერენციაზე გამარჯვებულმა უპირატესად თავის ჩინებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გაუსვა ხაზი, ნერვები არაჩვეულებრივი მაქვსო. ცოტა ადრე ლინდსი დევენპორტმა სწორედ საწინააღმდეგო დაიჩივლა. მეოთხედფინალში გასასვლელად იგი ფრანგ ან-გიელ სიდოს შეხვდა და თავისი არამყარი ფსიქოლოგიის გამო საქმე თავში საცემად გაიხადა. პირველი სეტი ტაი-ბრეიკამდე მივიდა და იქ დევენპორტმა 7 ქულა გაუჯანჯღლებლად, ერთიმეორის მიყოლებით მიითვალა, მეორე სეტში კი საქმე კიდევ უკეთ წარმართა, ანგარიში 5:2 გახდა მის სასარგებლოდ და აგერ მატჩ-პოინტიც! ყველაფერი წამებში უნდა მორჩეს, მაგრამ არა, მატჩ-პოინტი დაიკარგა. მეორე, მესამე... და როცა სიდომ ნახა, რომ მეტოქემ ხუთი მატჩ-პოინტი გაფლანგა, ხელახლა ამოძრავდა. და კვლავ ტაი-ბრეიკი გახდა საჭირო, რომელიც ფრანგმა 7:4 მოიგო. რაღაც მანქანებით ლინდსიმ საჭირო სულიერი რეზერვების მოშველიება შეძლო და არცთუ ძლიერ მეტოქეს საბოლოოდ აჯობა, მაგრამ მასმედია ყველაზე მეტად მაინც მის არეულ თამაშს უკლიდა ირგვლივ — ხომ არ გადაიღალა ჩოგბურთელიო, აინტერესებდა მეოთხე ხელისუფლებას. შეკითხვა საფუძვლიანია, დევენპორტმა წლეულს ავსტრალიის ღია პირველობა და სხვა ტურნირიც მოიგო, 21-მატჩიანი წაუგებელი სერია ჩაატარა და საერთოდ, ნაყოფიერად გაისარჯა, რასაც დიდი ძალა სჭირდება.

„გადამწვარი არა და გადაღლილი ნამდვილად ვარ — უთხრა ლინდსიმ ჟურნალისტებს — ოღონდ მხოლოდ ფსიქოლოგიურად...“ „ფიზიკურად?“ — ჩაურთო მავანმა მკვირცხლმა ჟურნალისტმა, რაზეც ლინდსიმ მსუბუქი იუმორით უპასუხა: „კი მინდა, რომ გითხრათ, ფიზიკურადაც გადავიღალე-მეთქი, მაგრამ ასე არ არის და ვერ მოვიტყუებთ“. სამი მეოთხედფინალი გასაკართია და მონაწილეებში ამერიკელები ბატონობენ. დევენპორტის გარდა რვა საუკეთესოში ემი ფრეზერი და ლიზა რეიმონდი მოხვდნენ. პირველმა არანჩა სანჩეს-ვიკარიო გაადგო და ამაზე მეტს მასზე არას ვიტყვით, მეორემ კი გუშინწინ ხმა აიმაღლა და ცოტა მეტი ადგილი უნდა დავუთმოთ. რეიმონდი ამერიკის ქალთა ოლიმპიურ ნაკრებში თავის კანონიერ ადგილს ითხოვს.



ლინდსი დევენპორტი

ვითარება ასეთია: წყვილებში სათამაშოდ ამერიკის ჩოგბურთის ფედერაციამ ვინუს და სერენა უილიამსები შეიგულა, ერთად ხშირად უთამაშიათ და სიდნეიშიც კარგად გაუგებენ ერთმანეთსო. რეიმონდი კი პრინციპში სწორედ წყვილად თამაშშია განთქმული და ამ საქმეში უილიამსებზე მაღალი ადგილი უჭირავს. ამ დღეებში რეიმონდმა თავისი მოთხოვნა ოფიციალურად გამოთქვა და მასმედიას იმედიანად ესაუბრა. „არ მოვითმენ, თუ ვინმე გადავლას დამიპირებს. ნაკრებში ადგილს ვიმსახურებ და მეწყინა, როცა გვერდი ამიარეს. წყვილებში ჩვენთან კი არა, დედამიწაზეც ბარე ორი ვერ შემედრება და აქ კი რა ხდება?“ — ამბობდა რეიმონდი გუშინწინ მანჰეტენ ბიჩში დაჯა ბედანოვაზე გამარჯვების შემდეგ. ბედანოვა, მოგეხსენებათ, ის გოგოა, ნატალი ტოზია რომ გამოთიშა შეჯიბრიდან. ჰო, მართლა... რეიმონდისა და ტოზიას ერთი ბედი ეწიათ, ნაკრებში არც ერთი არ მიიწვიეს, თუმც წესით სიდნეიში ორივე უნდა წასულიყო.

ოფიციოზი რაღას ამბობს? ნაკლები ეჭნება სათქმელი, რადგან გარდა იმისა, რომ რეიმონდი წყვილებში თამაშს უილიამსზე მეტად იმსახურებს, სერენას თურმე წყვილების რეიტინგი საერთოდ არ ჰქონია. წესით, რეიტინგული ქულები ერიცხება ისეთ მოთამაშეს, ვისაც წყვილთა სამი ტურნირი აქვს ნათამაშევი, სერენას კი ერთი აკლდება. ამერიკელ ქალთა მწვრთნელი, ბილი ჯინ კინგი იხტიბარს მაინც არ იტეხს, სერენას ნაკრებში მიწვევა მართებულად მიაჩნია და თავად პატარა უილიამსიც შემდეგს ამბობს: „ოლიმპიური გუნდის შედგენა სპეციფიკური საქმეა, მას დიდი ყურადღება სჭირდება. ჩემი მიზანი ერთეულებში თამაში იყო, მაგრამ არ გამოვიდა, თუმც წყვილებში ხომ ვარ... მეელის მოპოვების შანსი მაინც მაქვს“... და რეიმონდი: „ოლიმპიადა ჩემი ოცნება იყო. ახლა ოცნებას მართმევენ. არავითარი სინდისის ქეჯნა! რასაც ვაკეთებ, სწორია და ასეც გავაგრძელებ“.

მეორე წრე. ლინდსი დევენპორტი (აშშ, 2) — ან-გიელ სიდო (საფრანგეთი) — 7:6 (7:0), 6:7 (4:7), 6:2; ემი ფრეზერი (აშშ) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 7) — 6:3, 3:6, 6:3; ლიზა რეიმონდი (აშშ) — დაჯა ბედანოვა (ჩეხეთი) — 6:4, 6:4;

მეოთხედფინალი. სერენა უილიამსი (აშშ, 5) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 4) — 6:2, 4:6, 6:2.

დავით გულუა

მანოლო საისი და ლორან ჟალაბერი

საპყართა ქარავანი

„ტური“ როგორც ფრანგული რევოლუცია: თავის ნაშობს თავადვე სპობს

დოპინგთან ბრძოლის საბჭოს (დბს) მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომლის შესახებაც გუშინ გაუწყეთ, ველოსპორტის სამყარო ორ ნაწილად გახლიჩა. ერთნი ამბობენ, რომ მრბოლები მეტად უნამუსოდ იქცევიან, აკრძალულ ნივთიერებებს რომ იღებენ, მეორენი კი თვლიან, ვიღაც-ვიღაცეებს სპორტსმენთა სახელის გატეხვა სურთო. გარკვეულწილად ორივე მხარე მართალია, ხოლო რომელი გაიმარჯვებს, დრო გვიჩვენებს.

პროფესიული ველოსპორტი ჯერ კიდევ ორი წლის წინ აზარალა დოპინგმა. 1998 წლის „ტურზე“ „ფესტინას საქმე“ ბომბივით გასკდა. ახლა კი, დბს-ს ცნობით, ბევრმა მრბოლმა მიიღო ისეთი მედიკამენტები, რომლებიც აკრძალულ ნივთიერებებს შეიცავს. „ტურზე“ სულ 71 კაცი შემოწმდა. მათ საერთო ჯამში 96 დოპინგ-კონტროლი გაიარეს, აქედან 45 პროცენტი დადებითი აღმოჩნდა.

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს დოპინგსა და ექიმის მიერ გამოწერილ, აკრძალული ნივთიერებების შემცველ წამლებს, განაცხადა, რომ მრბოლებმა ნებადართული მედიკამენტები მოიხმარეს. მხოლოდ ორი სპორტსმენის საქმეა საეჭვო, თუმცა მათ სახელებს და ეჭვის საფუძველს ჯერჯერობით მაინც არავინ ამხელს.

ლუის გარსია დელ მორალისმა, „ტურის“ ზედიზედ ორჯერ მომგები ამერიკელის, ლენს არმსტრონგის ექიმმა, ესპანურ გაზეთ „ელ მუნდოსს“ მეტად კატეგორიული ტონით განუცხადა: „პელოტონში დოპინგის გამოყენების ერთი შემთხვევაც არ ყოფილა! ყველა მრბოლმა „ტურის“ დაწყების წინ ორგანიზატორებს იმის დამდასტურებელი დოკუმენტები წარუდგინა, რომ მათ ეს წამლები უნდა გამოეყენებინათ. როცა აკრძალული ნივთიერებების გამოყენება ლეგალურია, ისინი დოპინგიდან ჩვეულებრივ პრეპარატად იქცევიან“.

ფრანგულ გამოცემათა უმეტესობამ მეტისმეტი სიმკაცრე გამოიჩინა „ლეკიპის“ მიერ შერქმეული „რეცეპტების დოპინგის“ მიმართ. „ფრანს-სუარი“ ირონიულად შენიშნავს, წლეულს ვითომ ავადმყოფების „ტურს“ დავესწარითო. „დიდი ილუზია“ — ასეთი სათაურით გამოეხმაურა ახალ სკანდალს „ლა დეპეშ დიუ მიდი“. „ლა პროვანსისთვის“ კი ეს „უდიდესი თაღლითობისა და სიცრუის „ტური“ იყო. მხოლოდ „ლა ვუა დიუ ნირი“ ფრთხილობს, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასარკვევიო.

ესპანურ პრესას კი სრულიად განსხვავებული პოზიცია უკავია. პირინეელებს მიაჩნიათ, რომ ველოსპორტის წინააღმდეგ შეტევები ისევ საფრანგეთიდან იწყება. სწორედ ასე წერია ესპანურ სპორტულ გაზეთ „ასში“. „მარკას“ აზრით კი, საფრანგეთი კვლავ თავს დაესხა „ტურს“ და პელოტონს.

ესპანურ გუნდ „ონსეს“ სპორტული დირექტორი მანოლო საისი ამბობს: „მავი ხელი ველოსპორტის მოხრჩობას აპირებს“ — მისი ბანესტოელი კოლეგა ეუსებიო ივნსუე კი ველოსპორტის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაზე საუბრობს, რომელიც, მისივე სიტყვებით, მეტადსაინტერესოდ მომზადდა საფრანგეთში.

1984 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კლოდ კრიკელიონი კი, ვინც ახლა ბელგიური „ლოტოს“ სპორტული დირექტორია, გაიძახის, „სკანდალიზირებული“ ვარო. „როცა რომელიმე მრბოლს ასთმა ანდა ალერგია სჭირს, მოიძებნება ხალხი, ვინც ამას უცნაურად, სკანდალურადაც აღიქვამს. თითქოს მრბოლს არა აქვს უფლება, ავად გახდეს და თავს უწამლოს“ — თქვა კრიკელიონმა.

1997 წლის „ტურის“ გამარჯვებულის ულრიხის სამშობლოში გერმანიაში „დი ველტი“ წერს. დოპინგთან ფრანგების ორწლიანი გაფთრებული ბრძოლის შემდეგ მსოფლიოს უპრესტიჟულესი ტურნირი „ტურ დე ფრანსი“ ახალ, უფრო დიდ სკანდალში გაეხვია.

თუმცა „ტურის“ დირექტორი ჟან-მარი ლებლანი ასე სულაც არ ფიქრობს. იგი, ისევე როგორც ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელები, აცხადებს, მრბოლთა ორგანიზმში აღმოჩენილი აკრძალული ნივთიერებები იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მათ დოპინგი მიიღეს, ამას ჯერ კიდევ დამტკიცება სჭირდება და სკანდალზე საუბარი ცოტა ნაადრევიაო.

ჩვენც დავუჯეროთ ბატონ ლებლანს და მოთმინებით დაველოდოთ საქმის საბოლოო გარჩევას. ხოლო თუ როგორ წარიმართება იგი, დროდადრო გაცნობებთ.

გაიოზ თალაძვაძე

იტალიელი გზდს ესპანეთში დაეწია



ჯოვანი ლომბარდიმ ფინიშის ხაზი თავგანწირვით გადაკვეთა

„ბურგოსის ტური“ გამარჯვებული იტალიელი ლეონარდო პიეპოლი გახდა. შეჯიბრის ბოლო, მეოთხე ეტაპი კი მისმა თანამემამულე ჯოვანი ლომბარდიმ მოიგო ფინალურ სპრინტში.

მთელი გზის მანძილზე პიეპოლის თანაგუნდელები კარგად აკონტროლებდნენ პელოტონს და არავის მისცეს ხერხი შეტევის განხორციელების საშუალება. არადა, ამის შესაძლებლობა ნამდვილად იყო, რადგან ფინიშამდე 60 კილომეტრით ადრე მრბოლებს პირველი კატეგორიის სიმაღლე ელოდათ. ასე იყო თუ ისე, გაქცევა ვერავინ მოახერხა, სპრინტში კი ლომბარდიმ სკოტ სანდერლენდსა და სტეფანო გარძელის აჯობა.

28 წლის პიეპოლისთვის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმატებაა კარიერაში. „მერკატონე უნოს“ ყოფილ მრბოლს წლეულს კარგი სეზონი უდგას და ესპანეთში ბელიც წყალობს, რადგან „ბურგოსამდე“, აპრილში „არაგონის ტურიც“ მოიგო. ასე რომ, 26 აგვისტოს დასაწყებ „ვუელტაზე“ იგი შეიძლება ერთ-ერთ ფავორიტად ჩავთვალოთ, მით უმეტეს, რომ ძლიერთაგან უმეტესობა ძალიან სუსტად გამოიყურება.

მაგალითად, რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პლოტი) 26-ე ადგილს დასჯერდა„ ალექს ცულე (შვეიცარია, ბანესტო) 27-ე იყო, აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — 37-ე, რომ აღარაფერი ვთქვათ „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულ ლენს არმსტრონგზე (აშშ, პოსტალი), რომელმაც საბოლოო ჩათვლაში 74-ე ადგილი დაიკავა. ისე, ამერიკელის მიზანი „ვუელტა“ მაინც არაა, მას ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვება სურს და ამისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებო, აცხადებს.

გაგი გურული

ბურგოსის ტური

მეოთხე ეტაპი

მედინა დე პომარი — ბურგოსი, 164 კმ

1. ჯოვანი ლომბარდი (იტალია, ტელეკომი) — 3 სთ 57 წთ 35 წმ
2. სკოტ სანდერლენდი (ავსტრალია, პალმანსი)
3. სტეფანო გარძელი (იტალია, მერკატონე უნო)
4. დენიდ კლინჯერი (აშშ, ფესტინა)
5. გენადი მიხაილოვი (რუსეთი, ფარმ ფრიტსი) — ყველას იგივე დრო

საბოლოო ჩათვლა

1. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, ბანესტო) — 8 სთ 30 წთ 37 წმ
2. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) — +25 წმ
3. პასკალ ერვე (საფრანგეთი, პოლატი) — +34
4. რაიმონდას რუმსასი (ლიტვა, ფასა ბორტოლო) — +35
5. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +59

ჭკვიანმა ლონდონში მიდიან

ფულის შოვნაც ინტელექტუალური თამაშია

საქართველოს გონიერთა ნაკრები

გონებრივი თამაშების ოლიმპიადის (MSO) გამართვა ინგლისელებმა მოიფიქრეს. იდეის ავტორებად ოთხი ცნობილი ალბიონელი საჭადრაკო მოღვაწე ითვლება. დევიდ ლეიმ (ცნობილი საჭადრაკო პროგრამა CYRUS-ის ავტორი), რეიმონდ კინმა (საერთაშორისო დიდოსტატი), ტონი ბუზანმა და ჯონათან ტისდალმა 4 წლის წინ პირველი ამგვარი ოლიმპიადა გამართეს, თუმცა ჯერჯერობით გონებრივი თამაშების ოლიმპიადად წოდებულ მასშტაბურ ღონისძიებას, ჭეშმარიტი ოლიმპიადისგან ის განასხვავებს, რომ იგი 4 წელიწადში ერთხელ კი არა, ყოველ წელს რამდენჯერმე იმართება. რიგით მეოთხე ასპარეზობის ლონდონის ეტაპზე საქართველო საკუთარი ნაკრებით წარდგება. ამის შესახებ ნუკუბიძის ქუჩის 199-ში მდებარე საჭადრაკო კლუბში გამართულ პრეზენტაციაზე გვაუწყეს ჟურნალისტებს.

პრეზენტაციას საქართველოში პირველი და ჯერ ერთადერთი საჭადრაკო კლუბის, „საქართველოს ამომავალი ვარსკვლავის“ დამაარსებელი (1992 წელს) და ხელმძღვანელი გიორგი ზომერიკი უძღვებოდა. მისი თქმით, ორმა ქართველმა გასული წლის ოლიმპიადაზეც იასპარეზა, მაგრამ ახლა 27 კაციანი საქართველოს დელეგაცია თურმე 7 სახეობაში აპირებს გამოსვლას. ჭადრაკში, ნარდსა და ბრიჯში დიდი იმედების დამყარებაც შეიძლება, რადგან ამ სახეობებში ჩვენს ქვეყანას პროფესიონალი მოთამაშენი წარადგენენ. აი, რამდენიმე მათგანიც: საქართველოს ოლიმპიური საჭადრაკო ნაკრების წევრი ბაადურ ჯობავა, ნარდში მსოფლიოს ექსჩემპიონი დემურ მაღლაკელიძე, ბრიჯში საქართველოს სამგზისა და ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონები — არჩილ და ირაკლი გარაშვილები და საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი გონა გოშაძე. გოს, რევერსს, შაშსა და ნარდს რაც შეეხება, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ქართველები მასში მოყვარული მოთამაშეებით გამოვლენ.

გონებრივი თამაშების ოლიმპიადამ უკვე მოასწრო ერთობ წარმომადგენლობით შეჯიბრად ქცევა. გასულ წელს მასში 60 ქვეყანა მონაწილეობდა და წლეულს მეტს ელიან. საპრიზო ფონდი 100 ათას გირვანქას აღწევს, ხოლო „ალექსანდრა პალასი“, სადაც სხვადასხვა ხალხის ჭკვიანი შვილები მიიყრიან თავს, ლონდონის უპრესტიჟულესი ნაგებობათაგანია. ოლიმპიური ტურნირების უმრავლესობა შვეიცარული სისტემით ჩატარდება, მხოლოდ გოში შეჯიბრი მოეწყობა მაკ-მაჰონის სისტემით.

ფინანსები? საქართველოში უფულობის გამო წუწუნი ჩვეულებრივ ამბად იქცა, თუმცა პრეზენტაციაზე ამგვარი რამ არ ყოფილა. კლუბს საკუთარი ძალებით შეგროვილი 18 ათასი დოლარი უკვე ჰქონია და 27 ათასის მოძიებას გეგმავს, გენერალური სპონსორი კი ქართულ დელეგაციას არ ჰყავს. ყოფილა მოლაპარაკებები „ჯორჯიან გლას ენდ მინერად უოტერს კომპანისთან“ და „კომპაქთანაც“, მაგრამ ეს უფრო მომავლის საქმეა, მანამდე კი 19-დან 28 აგვისტომდე ქართველები მსოფლიოს ინტელექტუალთა სარბიელზე პირველ ნაბიჯებს გადადგამენ.

ენკვისტი წავიდა, მაგრამ საფოსტო მარკაზე დარჩა

სახელგანთქმულ შვედ მძლეოსან ქალს, ლუდმილა ენკვისტს თავის ქვეყანაში სპეციალურ საფოსტო მარკაზე აღბეჭდავენ.

ლუდმილა ენკვისტმა მსოფლიოს ჩემპიონობა 1991 წელს რუსეთისა და ქალიშვილობის გვარი (ნარაკელენკო) ასპარეზობისას მოიპოვა. 1997 წლის ათენის მსოფლიოს პირველობაზეც იგივე წარმატება გაიმეორა, ოღონდ როგორც შვედეთის მოქალაქემ.

მოგეხსენებათ, იგი შვედეთის სახელით მას მერე გამოდის, რაც შვედ აგენტს იოჰან ენკვისტზე გათხოვდა.

საინტერესოა, რომ ენკვისტი პირველი ქალია, რომელმაც 100 მეტრზე თარჯრბენში შვედებს პირველი ოლიმპიური ოქრო მოუტანა, სკანდინავიელებმა კი თავგამოდება საფოსტო მარკაზე ასახვით დაუფასეს.

და მაინც: ენკვისტის ყველაზე დიდ გამარჯვებად მის მიერ სიმსივნის დამარცხებას მიიჩნევენ. შეგახსენებთ, რომ შარშან, როდესაც მკერდზე ოპერაცია გაიკეთა, ოთხი თვეც არ იყო გასული, როცა სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

სიდნეის ოლიმპიადაზეც სურდა, რომ ატლანტური გამარჯვება გაემეორებინა, მაგრამ ტრავმის გამო ეს აუსრულებელ ოცნებად დარჩება.

გიგა გურასაშვილი

გერმანია

I ტური

დორტმუნდი 1:0 ჰანზა

1:0 ჰერლიხი (61)

II ბუნდესლიგა

I ტური

კიკერსი 1:0 ოგერჰაუზენი

ჰანოვერი 1:1 ნიურნბერგი

ჩეხეთი

III ტური

ლიბერეცი 2:0 ბუდეიოვიცე

თურქეთი

I ტური

ძოჯაელი 0:4 ფენერბაჰჩე

შვეიცარია

B ჯგუფი. VII ტური

ტუნი 1:4 იანგ ბოიზი

ვარჯიში ცაში

ეს ჟურნალია. კინო მერე იქნება. ფრისტაილის მსოფლიოს თასის მორიგი ტური კანადაში, ბლექქომბში გაიმართება. ავსტრალიაში კი იქაური ჩემპიონი ჯეკი კუბერი ვარჯიშობს ბულერის მთებში. ეს ვარჯიში, მხოლოდ ვარჯიში როდია. თანაც ერთი რამ მობილურის რეკლამაშიც ჩართავენ.

ძველი ილეთი

ჰოლანდიის ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა პირველი პრესკონფერენცია გამართა, როგორც ეროვნული თანამდებობის კაცმა და საზოგადოებას თანაშემწე, რუდი კროლიც წარუდგინა. ამ პრესკონფერენციის თავისებურება კი ის იყო, რომ იგი ბავშვთა საფეხბურთო ბანაკში ჩაატარეს. ვან გაალმა ბავშვებს ბურთი აუკენწლა, მერე კი მათი თხოვნით კარატეს ორიოდე ილეთიც უჩვენა. ამ კაცის კარატისტობა ჯერ კიდევ იმ დროიდანაა ცნობილი, როცა 1996 წელს ვენის „პრატერზე“, ჩემპიონთა ლიგის ფინალისას ვან გაალმა კარატეს ილეთი უჩვენა მსაჯს, აი, როგორ ჩაწიხლეს „აიაქსის“ ფეხბურთელიო.

ამოსაცნობი

ბრაზილიურ ენერგომაგნატს, კონცერნ „პეტრობრასს“ ლოგოს შეცვლისადმი მიძღვნილი ღონისძიება აქვს ნიუ იორკის ბირჟაზე. ამიერიდან ეს ორი გოლიათი განუყოფელია. აქ არიან „პეტრობრასის“ პატრონი ენრი ფილიპე რეიხსტლული (შუაში), ნიუ იორკის ბირჟის თავმჯდომარე რიჩარდ გრასო (მარცხნივ) და „პეტრობრასის“ ფინანსური თავკაცი რონი ვას მორეირა. ვინც დარჩა, თქვენ გამოიცანით.

პრემიერაზე

ამერიკის უგანთქმულესმა შავმა რეჟისორმა სპაიკ ლიმ ახალი ფილმი — „კომედიის ნაღდი მეფეები“ გადაიღო. პრემიერა ჰოლივუდში მოეწყო და ამერიკის უგანთქმულესი შავები ესწრებოდნენ. პარკინსონით დაინგრეული მუჰამედ ალი ქალიშვილების, მეიმეისა (მარცხნივ) და ჰანას თანხლებით მივიდა პრემიერაზე.

გახედნა

ლუშანიდან ჰენგაიმდე
მღელვარე და ავი ზღვაა...
ლუშანიდან ჰენგაიმდე
გაცურვა რაა...
ამ ორ ნავსადგურს შორის
მარად არეული და ბობოქარი
ბოჰაის ყურეა. პეკინელ
ფიზკულტურის
მასწავლებელს, 36 წლის
ჟანგ იანს თავზე ხელი აუღია
და 50 საათი და 22 წუთი
ყოფილა ამ ოხერ წყალში.
გადაუცურავს 124
კილომეტრი და პირველი
კაცი შექნილა ეს მღვრიე
ყურე რომ გახედნა.
გმირია, გმირი!

ჩხეკ

კვებეკი, ალმარი. „ელფი ჯიეის“ წლის უკანასკნელი მთავარი ტურნირი, რა თქმა უნდა გოლფში. სხვანაირად „დუმორიე ქლესიქი“. მერვე ორმოდე მისული ამერიკელი ყვანჯოსანი პეტ ჰერსტი ფოტორეპორტიორობასაც უთავსებს თავის ძირითად ხელობას.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიქრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge